ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №38 (1739) 5 - 11 ოქტომბერი, 1999 წ. ● ფასი 50 თეთრი



ვახტანგ გოგუაძე:

2

ხომ იცის შევარდნაძემ, მეც დამიჭერს და დამთავრებულია მისი კარიერაც



ფრიდონ ინჯია:

**ძალიან მეშინია იმისა, რომ, თუ ხელისუფლება არ შეიცვალა, უსამართლობის ტენდენცია კვლავ გაგრძელდება...**

მესამე გვერდი



გოგი ოჩიაური:

**საქართველოს თითქოს განგრენა სჭირს...**

მესამე გვერდი

**რუსები ძლიერ მიწისძვრას წინასწარმეტყველებენ**

მესამე გვერდი

შემოხაზეთ №6 ბლოკი „სახალხო ფრონტი-ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“

# თავისუფლება, პური, სამართალი!

**სტალინის მეორე ცოლის აღსასრული**

მეთორმეტე გვერდი



**ბრეჟნევი და ღირსების ორდენი!**

მეცამეტე გვერდი

**ვინ გვყავს ასარჩევი, ანუ ვინ ვინ არის**

მერვე გვერდი

## ნათაძეს აკრძალული ხერხებით ებრძვიან

მთაწმინდაზე მაჟორიტარი დეპუტატობის ყველაზე რეალური კანდიდატის - ნოდარ ნათაძის წინააღმდეგ საბრძოლველად მოწინააღმდეგეებმა აკრძალული ილეთების გამოყენება დაიწყეს. ბოლო დროს პრესის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე დეპუტატობის კანდიდატად კენჭს არ იყრის, რაც სიმართლეს არ შეეფერება. როგორც ჩანს, ყველაზე პატიოსან პოლიტიკოსად წოდებული ნათაძის კონკურენტობა ვიღაცას ხელს არ აძლევს და პატიოსან ორთაბრძოლაში გამარჯვების შანსსართმევს, რის გამოც მისი საბოლოოდ თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული ასეთი ცრუ ინფორმაციის გავრცელებით, ჩვენთან საუბარში ბატონ ნოდარს არ დაუკონკრეტებია, ისე კი, მისი აზრით, ამგვარი ჭორების გავრცელება მოქკავშირის წითელ კანდიდატებს და მათი სატელიტი პარტიების წევრების „ნაჩალნიკები“ უნდა იყოსო, გვითხრა.

ნოდარ ნათაძის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანიის ერთ-ერთი ელემენტი საკომუნიკაციო საშუალებების მწყობრიდან შეგნებულად გამოყვანაც გახლავთ. 4 თვეა სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ბინის ტელეფონი გათიშულია კაბელის დაზიანების მიზეზით(?!) თუმცა 9 სართულიან სამი სადარბაზოს შემცველ კორპუსში დანარჩენი ყველა მაცხოვრებლის ტელეფონი მუშაობს (?!).

ყველაზე ადვილი და იაფი ცილისწამება ის არის, ცოცხალ კაცს მოუგონო, არ არსებობო. როგორც ჩანს, ამაზე უკეთესი გამოსავალი ნათაძის მოწინააღმდეგეებმაც ველარ გამონახეს და ამიტომ ბრძოლის ასეთი სამარცხვინო გზა აირჩიეს.

**ჩეჩნეთის მუფთი: „ეს ჯიჰადი კი არა, სიცრუეა“...**

მეორე გვერდი

ელექტრონული ვერსია Http:// www.opentxt.org.ge/sakartvelo

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### გაშიშვლებული რუსეთი



რუსეთის თავგახურებული პოლიტიკოსები იმდენად გათავხედნენ, პირდაპირ აცხადებენ, რომ თუ ჩეჩენი ტერორისტები საქართველოს შეაფარებენ თავს და აქ ბაზებს მოაწყობენ, მაშინ მათ საქართველოს ტერიტორიაზეც დავბომბავთო, თან, მაგალითად, მოჰყავთ ამერიკელთა მიერ ლიბიის და ავღანეთის ტერორისტთა ბაზების დაბომბვა, ხოლო ისრაელის მიერ ლიბანის დაბომბვა, ე.ი. რუსეთის თვალში საქართველო ტერორისტთა ბუდეა და არა სუვერენული სახელმწიფო. თუმცა, რა გასაკვირია ეს იმ პოლიტიკოსებისაგან, რომლებიც რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მოტივით ჩეჩნეთში მშვიდობიან მოსახლეობასაც არ ინდობენ და თავზე ბომბებს აყრიან, ხოლო საქართველოს აფხაზი ერის უფლებების დაცვის შელახვის პრეტენზიებს უყენებენ. მოკლედ, რუსებმა ის უკანასკნელი ფოთოლიც შემოიძარცვეს, რომელიც მათ სიშიშვლეს ფარავდა.

### პური მეპურემ არ უნდა აცხოს?

ქალბატონი ლანა ღოღობერიძე ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნეს, რაც მისი საქართველოდან ოთხწლიან გამგზავრებას ნიშნავს, მაშასადამე, იმ საქმიანობიდან ჩამოცილებასაც, რაც ყველაზე უკეთ გამოსდიოდა, ეს კი უბრალოდ, ქართული მხატვრული ფილმების გადაღება იყო, რაც ასე მოსწონდა მაყურებელს.

პური მეპურემ უნდა აცხოსო, ნათქვამია. ჩვენთან კი პოლიტიკოსობა გახდა პურის ჭამის ყველაზე რეალური საშუალება, ამიტომაც პურისმცხობლობა აღარავის უნდა, ეს არის მიზეზი, რომ კინორეჟისორები პარლამენტის სპიკერატში მუშაობენ, ან საფრანგეთში ჩინოვნიკურ სამუშაოს თანხმდებიან.

### მკვდარს არ უნდა აჰკიდოთ, მაგრამ არც ეროვნული ცნობიერება არ უნდა დავკარგოთ

რუსეთს თურმე ყველაზე დიდი ვალები ჰქონია მსოფლიოში და იგი 160 მილიარდ დოლარს აღწევს. საქართველოში „მოღვაწე“ ზოგიერთი პოლიტიკოსი კი კვლავ იმედით შესცქერის რუსეთს, რომ იქიდან რძისა და თაფლის მდინარეები წამოვა. ამას ჰქვია მკვდარი მკვდარს ეკიდებოდაო. თუ მაინცდამაინც აკიდებაზეა საქმე, რაღა მკვდარს ვეკიდებით, არ სჯობია ისეთი ვინმე ვნახოთ, ვინც სისხლსავსეა, რათა ჩვენს დაშრეტილ ქვეყანას ცოტა სისხლი მაინც გადაუსხას? თუმცა, აქაც ცოტა სიფრთხილეა საჭირო, რომ მოწამლული სისხლი არ შემოგვაპარონ და ქართული ეროვნული ცნობიერება მთლიანად არ დაგვეკარგოს.

### სად ველოსიპედი და სად ლიმუზინი?



საფრანგეთში „უავტომობილო დღე“ გამოუცხადებიათ და ამ დღეს თურმე მინისტრებიც კი ველოსიპედებით დადიოდნენ.

ახლა წარმოვიდგინოთ, საქართველოშიც რომ ჩატარდეს ამგვარი ღონისძიება, როგორი საყურებელი იქნებიან ჩვენი ღიპმოზრდილი და სიმსუქნით აქოშინებული მინისტრები? ამიტომაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამგვარი ღონისძიება ჩვენშიც ჩატარდეს, რადგან ჩვენი მინისტრები ვერაფრით შეელევიან თავიანთი ლიმუზინების ფაფუკ სავარძლებს.

### მუქარა მუქარაზე



ურთიერთმუქარა საარჩევნო კამპანიის შემადგენელ ნაწილად იქცა. ხელისუფლება ოპოზიციას ემუქრება, რომ ფრთხილად იყვნენ, თორემ არჩევნების მერე თავს წააგებენ. ბატონი მიხეილ სააკაშვილი არჩევნების შემდეგ პარლამენტის გარეთ დარჩენილი ბათუმური ბლოკის ლიდერებს ჰპირდება, რომ იზრუნებს მათ შემდგომ ოთხწლიან დასვენებაზე. თუ რა დასვენებას მოუწყობს მმართველი პარტია არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ოპოზიციის ლიდერებს, ამას მგონი დიდი მკითხაობა არ სჭირდება. სამაგიეროდ, არც ძველი პროკურორი ვახტანგ რაზმაძე უპირებს თავზე ხელის გადასმას ხელისუფლების წარმომადგენლებს. ასე რომ, სკანდალურ სასამართლო პროცესებს უნდა ველოდოთ ნოემბრის თვიდან.

## ინტერვიუ

# ვახტანგ გოგუაძე: ხომ იცის შევარდნაძემ, მეც დამიჭერს და დამთავრებულია მისი კარიერაც...

***– ბატონო ვახტანგ, ამ ბოლო დროს დამარცხებულ, ხელმოცარულ პოლიტიკოსად გიხსენიებენ ხშირად...***

– დამარცხებული ვარ, ბატონო, დამარცხებული უნდა ვიყო. მე ჩემი ხალხის ბედით უნდა ვიცხოვრო, დამარცხებულია ჩემი ხალხი, შეურაცხყოფილია, დამცირებულია ჩემი ხალხი, ასე უნდა ვიყო, მე ღმერთს იმას არ ვეხვეწები, დეპუტატი გამხადე და ბევრი ფული მომეცი – მეთქი, „პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ“– მეთქი, ასე ვთხოვ.

***–ხშირად „წინასწარმეტყველებთ“ და თქვენი პროგნოზები მართლდება ხოლმე, რის გამოც სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაშიც გდებენ ბრალს...***

– მე არც სპეცსამსახურებთან ვთანამშრომლობ (ისინი ჩემი ყველაზე დიდი მტრები არიან) და არც წინასწარმეტყველი გახლავართ. უბრალოდ, სიმართლეს თვალებში ვუყურებ, მოვლენებს ვაკვირდები და ყველაფერს თავის სახელს ვარქმევ.

***– რა სახელს მოუძებნით იმ სურათს, ტერაქტის გახსნის შემდეგ რომ განვითარდა. მხედველობაში მაქვს ბორის კაკუბავასთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნა და ტერაქტთან მჭიდრო კონტაქტში თქვენი და თქვენი მეგობრების აქტიურად მოხსენიება?***

– არ მინდა, ახლა თავის მართლება დავიწყო, არ ვარ, ბატონო, აქლემი(?!) – მეთქი. ტერორისტობას მაბრალებენ, მინდა გკითხოთ თქვენ და თქვენს მკითხველს, ხელისუფლების მხრიდან რასაც სჩადიან, არ არის ეს მორალურ-ფსიქოლოგიური ტერორი ჩვენზე? რაში სჭირდებათ? საქართველო ჯაშუშებით არის სავსე, რომლებმაც გაყიდეს ქვეყანა და ამ ხელისუფლებას ჩემზე მწარედ არავინ ამხელს. მე მაგათ სამზარეულო მთლიანად გამოვფინე, აი რას მერჩიან!

ოთხი წელია, გაიძახიან, ტერაქტი დაიგეგმაო. ოთხი წელია, ჩემი დაჭერა უნდათ. ახლა კაკუბავას მოუხსნეს იმუნიტეტი, მაგრამ ერთ საიდუმლოს გეტყვით, კაკუბავა ნაკლებად აინტერესებთ, ჩემთან შედარებით. გოგუაძის მიმართ სხვა ინტერესები აქვთ. აგერ, რუსეთის სახალხო-პატრიოტულ წრეებში და გენერალიტეტში გარკვეული ავტორიტეტი მაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენების საშუალებას არ მაძლევენ.

***– თქვენ ისეთ ნოტებზე საუბრობთ, თუ უნდათ, დაგიჭერენ კიდეც, მაგრამ დასაპატიმრებლად სამხილი ხომ სჭირდებათ. მოეპოვებათ რამე?***

– იმის სამხილი როგორ ექნებათ, რაც ბუნებაში არ არსებობს. მტკიცებულება რად უნდა, ჩაგიდებს ჯიბეში ნარკოტიკს ან რაღაცას და...

***– კი, მაგრამ... ეს პრობლემა თქვენ არ უნდა გაწუხებდეთ. ვახტანგ გოგუაძეს ნარკოტიკს ხომ არ ჩაუდებენ?***



– ხელისუფლებას, რომელიც ასე ცრუობს, ყველაფერი შეუძლია. გენერალური პროკურორი ტელევიზიით აცხადებს, მეტი სამხილი რაღად გინდათ, ტელეფონით ესაუბრა ტერორისტსო. რაღაზე შეიძლება ამათთან ლაპარაკი.

იგორ გიორგაძემ რომ დამირეკოს ახლა, არ შემიძლია, გენაცვალე, შენთან ლაპარაკი-მეთქი, ვუთხრა და დავუკიდო ტელეფონი? ეს ნორმალური ადამიანის საქციელი ხომ არ იქნება?

***– მაინც რისთვის გიჭერენ, ბატონო ვახტანგ?***

გაგრძელება მე-5 გვ

## ჩრდილოეთ კავკასია

# ჩეჩნეთის მუფთი: „ეს ჯიჰადი კი არა, სიცრუეა“...

*ახმედ ჰაჯი კადიროვი 41 წლისაა. დაამთავრა ბუხარის სასულიერო სასწავლებელი და ტაშკენტის ისლამის ინსტიტუტი. 1989 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში გახსნა ისლამის ინსტიტუტი და 1994 წლამდე ჩეჩნეთში ომის დაწყებამდე მისი რექტორი იყო. იბრძოდა ჩეჩენ მოხალისეთა რიგებში რუსული ჯარების წინააღმდეგ. 1995 წელს ვედენოში აირჩიეს მუფთიდ, მუსულმანთა წინამძღოლად. ცნობილია თავისი შეურიგებლობით, ე.წ. ვაჰაბიტების მიმართ. უკანასკნელ ორ წელიწადში მასზე სამი თავდასხმა მოეწყო. მესამე თავდასხმისას დაიღუპნენ მისი მცველები, მათ შორის სამი ნათესავი.*

სექტემბრის დასაწყისში ჩეჩნეთის მუსულმანთა წინამძღოლი, ახმედ-ჰაჯი კადიროვი შეხვდა რუსეთის პრემიერს, ვლადიმერ პუტინს. ეს შეხვედრა, შეიძლება ითქვას, სასწაულია: ჩეჩნეთის ხელისუფლება და რუსეთის ხელმძღვანელობა ერთმანეთთან შეხვედრას ერიდებიან, ჩეჩენთა სულიერმა ლიდერმა კი გადალახა ეს, ე.წ. ტაბუ და რუსეთის პრემიერს შეხვდა. ამ ინტერვიუშიც ამ თემაზეა საუბარი და საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე, ვაჰაბიტებზე, მათს რწმენაზე და მიზნებზე.

– მე ჩამოვედი მოსკოვში ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანთა საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დასასწრებად და როგორც ამ საბჭოს წევრი, მოვხვდი რუსეთის მთავრობის სახლში. სერიოზული საუბარი შედგა. მე ვუთხარი პუტინს: „მოდი, გავყოთ დანაშაული დაღესტნის ომზე ორად – ერთი ნახევარი დანაშაულისა თქვენმა მხარემ აიღოს თავზე, მეორე ნახევარს კი ჩეჩნეთი გაინაწილებს. ეს ომი არ უნდა არც დაღესტანს, არც ჩეჩნეთს. მაგრამ არიან დაინტერესებული პირები ორივე მხრიდან. ეს ომი ბადებს ბევრ კითხვას, რომელზეც, პირადად მე, პასუხები არ გამაჩნია. მე ვუთხარი პუტინს: „თქვენ რომ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა გეცნოთ, დღეს დაღესტანში ომი არ იქნებოდა-მეთქი. პუტინი არ დამეთანხმა, მაგრამ მე მაინც ასე ვფიქრობ.

***– როგორი დამოკიდებულება გაქვთ თქვენ ბასაევისა და ხატაბის მიერ დაღესტანში გამოცხადებული ჯიჰადის მიმართ?***

– ეს სიცრუეა. მე გამოვედი ჩეჩნეთის ტელევიზიით მას შემდეგ, რაც ეს მოვლენები დაიწყო დაღესტანში. შევახსენე მათ, ვისაც დაავიწყდა, რომ ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში ჯერ კიდევ მაშინ მოქმედებდნენ მეჩეთები, როცა ჩვენთან ერთი მეჩეთიც არ იყო. ჩეჩნები მეზობლებთან დადიოდნენ რჩევისათვის, თუ რომელ დღეებში იწყებოდა რელიგიური დღესასწაულები. ახლა კი ჩვენ ვიძახით „ჯიჰადს“ და მივდივართ იქ. მე ვთქვი ტელევიზიით: „ვფიცავ ალაჰის სახელით, ეს არაა ჯიჰადი. წაიყვანეთ თქვენი მოტყუებული შვილები ამ რაზმებიდან, გააჩერეთ ისინი“. გამგებმა გაიგოს.

მე მათ შევახსენე, რომ ჩვენ გამოვაცხადეთ შარიათი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით მისი განხორციელება და ამიტომ, რა შეგვიძლია სხვებს ვუჩვენოთ? მოდით, დავამყაროთ ჯერ წესრიგი საკუთარ სახლში და მერე ვუთხრათ მათ: „ჰეი, ძმებო, ნახეთ, როგორ სამოთხეში ვცხოვრობთ! მაგრამ ისეთი „სამოთხე“, როგორშიც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, არავის არ სჭირდება. მთელმა მსოფლიომ იცის, თუ რა ხდება დღეს ჩვენთან. ახლა „წესრიგს“ ვამყარებთ მეზობლებთან? ათასი დევნილი, უსახლკარო, დანგრეული სოფელი...

მაგრამ ამაში რუსეთის ხელმძღვანელობაა დამნაშავე. კარგი, ვთქვათ, ჩეჩნეთის საქმეებში რუსეთი არ ერევა, ჩვენ დამოუკიდებლები ვართ, ესე იგი, როგორც გვსურს, ისე ვცხოვრობთ. მაგრამ დაღესტანი ხომ რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია და იმ ორმა სოფელმა, რომელსაც რუსეთის ჯარები ბომბავენ, ორი წლის წინ გამოაცხადა ისლამური წესებით ცხოვრების შესახებ, რომელიც არც დაღესტანის კონსტიტუციაში ჯდება და არც რუსეთის კანონებში.

***– თქვენ რელიგიურ ადამიანებად მიიჩნევთ იმ ბოევიკებს, რომლებიც დაღესტანში იბრძვიან?***

– ჩემთვის ძნელია ისინი მუსულ-

გაგრძელება მე-6 გვ

ინტერვიუ

*გოგი ოჩიაური:*

# საქართველოს თითქოს განგრენა სჭირს...

*დაბადებულა ცხრაას ოცდაშვიდში, 10 იანვარს, შუაფხოში, მაგრამ ისე, არხოტელი ხევსურია. ზოდიაქოს ნიშნით – ნიამორია, სარწმუნოებით – ყმაი ლაღი იახსარისა და მჯაჭველი ხმელის გორისაი, თანაც, მართლმადიდებელი ქრისტიანი. პროფესიით – მოქანდაკე. საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე. შარშან აშშ ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ იქნა „წლის ადამიანად". ჰყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი. ეროვნულ მოძრაობაშია 1989 წლის 9 აპრილიდან.*

*მიაჩნია, რომ ყველა დროის ქართველ მოქანდაკეთა შორის უძლიერესია ნიკოლოზ კანდელაკი. მისი „იმერლის პორტრეტი", როგორც დიდოსტატი კონსტანტინე იტყოდა, იგავმიუწვდომელია.*

*ერთად ერთი ჰობი აქვს – სიცოცხლე!..*



*– ბატონო გოგი, გაზეთ „საქართველოს" მკითხველები მოგესალმებიან და კიდევ მრავალი წლის ჰობს გისურვებენ! მოგვიყევით, საიდან მოდიხართ, ვისგან მოდიხართ და ვისთან ერთად.*

– სიამოვნებით. მამა, ალექსი ოჩიაური, მწიგნობარი კაცი გახლდათ, სოფლის მასწავლებელი. აგროვებდა ფოლკლორულ, კერძოდ, ეთნოგრაფიულ მასალებს. მოესწრო პირველი წიგნის გამოცემასაც. ცხრაას სამოცდათორმეტში მიიცვალა 86 წლისა. ახლახან მისი მეხუთე წიგნიც შეემატა მკითხველის თაროს. ასე იტყვიან, თორემ, სადღეისოდ რომ წიგნს არავინ და ვერავინ ყიდულობს, ყველამ ვიცით.

დედაჩემმა მეტხანს გაუძლო ცხოვრების ჭაპანს, 93-ისა აღესრულა. სხვათაშორის, ისიც მწიგნობრობდა. ორი პატარ წიგნი დედასაც აქვს: „სწორფრობა ხევსურეთში" და „ხევსურული ქრონიკები".

ოთხი და-ძმა ვართ. უფროსი და, დედიკა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია. მისი მომდევნო, თინათინი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორია. ჩემი ძმა, ირაკლი, გეცოდინებათ, საქართველოს სახალხო მხატვარია და არ აკლია რეგალიები. მე ნაბოლარა ვარ.

„მთაწმინდელი" გახლავართ, ბესიკის 27-ში ვცხოვრობდით საბავშვო ბაღიდან მოყოლებული – ასპირანტობამდე. ომის მძიმე წლები კვლავ შუაფხოში გავატარეთ.

1945-ში შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. ერეკლე ტატიშვილი იყო დეკანი, თითქმის უგამოცდოდ ჩამრიცხა. მერე არნოლდ ჩიქობავამ გადამიყვანა თავისთან. ვარლამ თოფურია მასწავლიდა ქართულს. ენათმეცნიერებისათვის ვიყავი გამზადებული, მაგრამ... ჯერ ერთი, გული სხვაგან მიწევდა და, მეორეც, ერთხელ ისეთი რამ ჩავიდინე, ვბერდები კაცი და ახლაც მრცხვენია. მოვატყუე ბატონი ვარლამი, პრაქტიკულების ჩათვლის რვეულში სიყალბე ალმომიჩინა. საერთოდ მივატოვე უნივერსიტეტი. ჩემს მეგობრებს ჩემი ხის ნაკეთობები (ჩემს ძმას ვბაძავდი ხოლმე!) დავით ანდღულაძისთვის უჩვენებიათ. მას, თავის მხრივ, როსტომ შადურისათვის უჩვენებია. დიდი თანამდებობა ეკავა. შადურს აკადემიის ხელმძღვანელობისათვის ეთხოვა, მიმიხედეთ ამ ახალგაზრდასო, და იქაც უგამოცდოდ მოვხვდი იაკობ ნიკოლაძესთან. ერთი წელი ვისწავლე უშუალოდ მის სახელოსნოში. შემდეგ, სამი წელი – სილოვან კაკაბაძესთან. ბოლოს, ნიკოლოზ კანდელაკთან დავამთავრე და მის მოსწავლედ ვთვ-

*გაგრძელება მე-6 გვ.*

ინტერვიუ

*ფრიდონ ინჯია:*

# ძალიან მეშინია იმისა, რომ, თუ ხელისუფლება არ შეიცვალა, უსამართლობის ტენდენცია კვლავ გაგრძელდება...



*– საქართველოში წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაა. ბევრი პარლამენტისკენ იმიტომ ისწრაფვის, რომ ცხოვრება უკეთ მოიწყოს, გარკვეული „კრიშა" გახდეს ან დეპუტატის იმუნიტეტი გამოიყენოს. რა მიზნები აქვს ფრიდონ ინჯიას?*

– ჩემთვის პარლამენტის წევრობა ნიშნავს მონაწილეობა მივიღო ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში. გამოვიყენო ის გამოცდილება, რაც ბოლო 6-7 წლის განმავლობაში, მინისტრად ყოფნის დროს შევიძინე. ხელისუფლების ორივე შტო უნდა იყოს ერთ მუშტად შეკრული და უნდა იცავდეს სახელმწიფოს ინტერესებს. მრავალი წლების განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენლები ურთიერთდაპირისპირებულნი იყვნენ. ამის შედეგად ეროვნული მეურნეობა დაეცა, მცირეოდენი საწარმოები თუ მუშაობენ და ისინიც იძულებულნი ხდებიან კანონი დაარღვიონ, რომ იარსებონ. საერთოდ, ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა: ირღვევა საქართველოს მოქალაქეთა უფლებები, ირღვევა კონსტიტუცია, წამყვანი საწარმოები გაჩერებულია, შიმშილი, უსახლკარობა და ბევრი სხვა უბედურებებიც გვჭირს. ყველაფერი იყიდება უცხოელებზე. 1994-1995 წლების აქციონირების ეტაპი პრაქტიკულად შეჩერებულია. მიზეზი კი ის არის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის სრულყოფილი. მთავრობა დაბნეულია და უსუსური, მინისტრთა კაბინეტი არ არსებობს. ეროვნული მეურნეობის განვითარებისათვის არანაირი პრაქტიკული ზომები არ ტარდება.

*– ბოლო წლების კატაკლიზმების შედეგად სამეგრელო ერთ-ერთ ჩამორჩენილ კუთხედ იქცა. ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. ასეა მარტვილშიც, სამეგრელოს იმ რაიონში, სადაც როგორც დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი, თქვენ იყრით კენჭს. რას პირდებით თქვენს ამომრჩევლებს, რითი შეძლებთ მათ დახმარებას?*

– მე ლეიბორისტული პარტიის სიით ვიყრი კენჭს. ჩვენს პროგრამაში დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნული მეურნეობის განვითარებას, მომსახურე პერსონალის, მასწავლებლების, ექიმების და სხვათა უფლებების მტკიცე დაცვას.

შეუძლებელია გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყანას განვითარების პრიორიტეტი არ ჰქონდეს. შეუძლებელია, ჩვენთან ჩამოსული უცხოელი და საქართველოს მოქალაქე ერთი და იგივე უფლებებით სარგებლობდეს. მსოფლიოს ზესახელმწიფოების მოქალაქეებს პრიორიტეტი აქვთ. ჩვენთან კი, შინაური თუ გარეული, ყველა თანასწორუფლებიანია.

როგორ შეიძლება უცხოეთიდან შემოსული საქონელი უფრო იაფი ღირდეს, ვიდრე ეს ქართველ მეწარმეს უჯდება! სად არის ყბადაღებული ეროვნული ინტერესები!

*– დღეს, შეიძლება ითქვას, კავშირგაბმულობა ერთადერთი დარგია, რომელიც გამართულად მუშაობს და მსოფლიო სტანდარტებს უახლოვდება. ალბათ გული გწყდებათ, საათივით აწყობილ საქმეს რომ ჩამოგაშორეს?*

– კავშირგაბმულობა იმდენად მრავალფეროვანი და საჭირო დარგია, იმდენად იცვლება მომსახურების დონე, რომ ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამ სფეროს შეალია და მისი სპეციალისტია, არა მგონია

*გაგრძელება მე-5 გვ.*

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### რუსები ძლიერ მიწისძვრას წინასწარმეტყველებენ

„კომსომოლსკაია პრავდას" რედაქციაში ტულის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ასეთი შინაარსის წერილი მიიღეს: „გაფრთხილებთ მოსალოდნელი ძლიერი მიწისძვრის შესახებ. ჩვენს ხელსაწყოებზე (ისევე, როგორც აზერბაიჯანის (4.06.99წ.), თურქეთის (17.08.99წ.), საბერძნეთის (07.09.99წ.) მიწისძვრების წინ, მიწისქვეშა ბიძგების მაუწყებელი ქანქარა კვლავ ამოქმედდა. მიწისძვრის დრო და ზუსტი კოორდინატები რამდენიმე საათის ფარგლებში მიწისძვრამდე შეიძლება დავადგინოთ მხოლოდ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით შესაბამისი ქვეყნების მეტეოსადგურებთან და სეისმოლოგებთან. დღეს ჩვენი ხელსაწყოები ორიენტირებულია სამ წერტილზე: ჩრდილოეთ იტალია, ბულგარეთი და ბაქო. დაგვეხმარეთ ამ ქვეყნების მთავრობებზე გასვლაში, რომ ვიხსნათ ადამიანები. ჩვენი გაფრთხილება თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობებმა ყურად არ იღეს. შედეგი ცნობილია. ჩვენი კოორდინატებია: რუსეთი, ქ. ტულა, ლენინის პრ. №92, ტულის სახ. უნივერსიტეტი, ო. მარტინოვი, პროფესორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი.

***რედაქციისაგან:*** *თუ რუსი მეცნიერები მართლა მივიდნენ იმ დონემდე, რომ რამდენიმე საათით ადრე შეუძლიათ დაადგინონ მიწისძვრის თარიღი, მაშინ არც ჩვენს სპეციალისტებს აწყენდათ მათთან კონტაქტის დამყარება, ჩვენც ხომ სეისმურად საშიშ ზონაში ვცხოვრობთ.*

### პოლიტიკა კანიბალიზმია?

ცნობილი ამერიკელი მსახიობი ალეკ ბოლდუინი აცხადებს – პოლიტიკა კანიბალიზმის ერთ-ერთ ფორმად იქცაო.

კანიბალიზმი კაციჭამიობას ნიშნავს, მაშასადამე, პოლიტიკოსები კაციჭამიებს არის შედარებული. ისე, თუ გადავხედავთ საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს, ზოგიერთი პოლიტიკოსი მართლაც კაციჭამიობის ნიჭით საკმაოდ არის დაჯილდოვებული.

### სად XX საუკუნე და სად აღმაშენებლის ხანა



შესანიშნავმა ქართველმა მსახიობმა ბატონმა თენგიზ არჩვაძემ განაცხადა: XX საუკუნეს აღმაშენებლის ხანა მირჩევნია, „მერსედესს"-ცხენიო...

ამ სიტყვებში დიდი წუხილი და ტკივილია დღევანდელი საქართველოს მდგომარეობის გამო, სწორედ ამიტომაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონი თენგიზი, როგორც ქვეყნის პატრიოტი და მამულიშვილი, ამჯობინებს აღმაშენებლის ხანას, როცა საქართველო „ძლევაი საკვირველს" ქმნიდა, მტერს ხერხემალს უმტვრევდა და ბედაურზე შემომჯდარი საზღვარს ავლებდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდის.

### რუსეთ-ჩეჩნეთის ომი დაიწყო

თუ რუსეთი კვლავ შემოიჭრება ჩეჩნეთში, იარაღს მეტი ადამიანი აიღებს ხელში, ვიდრე გასულ ომში – განაცხადა იჩქერიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა.

რუსეთმა, ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, რაშიც ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი ბრალს თვით რუსეთის ხელისუფლებას სდებს, აგრესია კვლავ განახორციელა ჩეჩნეთის მიმართ. რუსული დივიზიები უკვე შეიჭრნენ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე და წინ ფრთხილად მიიწევენ. რამდენიმე მცირემასშტაბიან სამხედრო შეტაკებას უკვე ჰქონდა ადგილი. რუსეთ-ჩეჩნეთის ომში ჩეჩნეთის მხრიდან ვარაუდობენ 50 ათასი მებრძოლის გამოსვლას, რუსეთის მხრიდან უნდა ვიფიქროთ, რომ მინიმუმ 200000-იანი ჯავშანტექნიკით შეიარაღებული არმია გამოვა. ძალები საკმაოდ არათანაბარი იქნება, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსები ჰაერიდან დაუბრკოლებლად ბომბავენ ჩეჩენთა პოზიციებს. მაგრამ ჩეჩენთა მხარეს არის სამშობლოსა და ისლამის რწმენისათვის ფანატიკური ბრძოლის უნარი და წარსულ ომში მიღებული დიდი გამოცდილება. ასევე ისლამური სამყაროს დიდი ფინანსური და საბრძოლო დახმარება. თუ გავიხსენებთ ჩეჩნეთ-რუსეთის 1994-96 წლების ომს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩეჩნები პარტიზანული ომის მეთოდებით იბრძოლებენ და მთებსა და მიუვალ ადგილებს შეფარებულნი, სისხლს გაუშრობენ რუსებს, ყოველ შემთხვევაში, რუსეთს იოლი გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონდეს და თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენი ხალხისგან დიდ დარტყმებს უნდა ელოდეს.

### ან ეს ხელისუფლება, ან — აფხაზეთი



3 ოქტომბერს აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა ქართველების გარეშე. უნდა ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტად კვლავ სეპარატისტული რეჟიმის მეთაურს არძინბას აირჩევენ. მიუხედავად საერთაშორისო სამართლით დაგმობილი სეპარატიზმისა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან არჩევნებზე მაინც მივლინებული იქნენ უცხოელი დამკვირვებლები, რაც აღნიშნული არჩევნებისადმი საერთაშორისო ინტერესის გამოხატულებაა. უკვე მეორედ ტარდება საყოველთაო და დემოკრატიულად წოდებული არჩევნები, რაც, გვინდა თუ არ გვინდა, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი აფხაზეთისათვის წინსვლის გამოხატულებაა. ჩვენს დოყლაპია ხელისუფლებას კი არანაირი რეალური პოლიტიკური პროგრამა არ გააჩნია აფხაზეთის დასაბრუნებლად. აქედან გამომდინარე, დროა ხალხმა გამოიტანოს დასკვნა და ან კვლავ ეს ხელისუფლება დატოვოს და აფხაზეთის დაკარგვას შეეგუოს ან ეს ხელისუფლება დაუმსახურებელ პენსიაზე გაუშვას და აფხაზეთის რეალურად დამბრუნებელი ახალი ხელისუფლება მოიყვანოს.

არჩევნები - არჩევნები

# შემოხაზეთ №6 ბლოკი „სახალხო ფრონტი-ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“

## თვითმმართველობა საქართველოში თითქმის არ არსებობს

***ინტერვიუ სახალხო ფრონტის აპარატის ხელმძღვანელთან, საზოგადოება „სამგორის“ გამგეობის წევრთან, დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატთან ახალგორში, ბატონ ტრისტან ბერიანიძესთან***

***— ბატონო ტრისტან, ჩვენი საზოგადოება გიცნობთ, როგორც ეროვნული მოძრაობის აქტიურ წევრს, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში აქტიურად ჩაბმულ მოქალაქეს. გვაინტერესებს, როგორი დამოკიდებულება გაქვთ 31 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით?***

— არჩევნები არის ხელისუფლების ლეგიტიმაციის ერთადერთი და უტყუარი წყარო თანამედროვე მსოფლიოში, ჩვენს სინამდვილეში კი საკითხავი ის არის, რამდენად მიეცემა საშუალება ამომრჩეველს გააკეთოს სწორი არჩევანი და არჩევნების შედეგებიც შესაბამისად დაფიქსირდეს გაყალბების გარეშე.

დღეს საქართველოში ამომრჩეველს სწორი, ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არჩევანის გაკეთების საშუალება ნაკლებად აქვს, რადგან ხელისუფლება და ფულიანი პარტიები და საარჩევნო ბლოკები შესანიშნავად ახერხებენ თითქოს თავისუფალი, მაგრამ მეტწილად უფულო მასმედიის საშუალებით (მე ამას უფრო „რეპტილურ“ მასმედიას ვუწოდებდი, როგორც უწოდებდნენ მე-19 საუკუნეში პოლიტიკოსებზე გაყიდულ პრესასა და ჟურნალისტებს). თავს მოახვიონ ამომრჩეველს საკუთარი პიროვნება და პარტიები. ჩვენი მასმედია ნაკლებად სთავაზობს ამომრჩეველს პარტიათა პოლიტიკურ პლატფორმებსა და შეხედულებებს, სატელევიზიო გადაცემებში და საგაზეთო წერილებში უფრო აშუქებენ ამა თუ იმ პოლიტიკური ფიგურებისა და პარტიების ურთიერთდაპირისპირებასა და მათ შორის დამოკიდებულებების გარკვევას, ამიტომ ამომრჩეველთა უდიდეს ნაწილს წარმოდგენა არა აქვს ამა თუ იმ პოლიტიკოსისა თუ პარტიის პოლიტიკურ შეხედულებებზე და მიზნებზე, ამიტომ იგი ხმასაც იმის მიხედვით მისცემს, თუ რამდენად ბევრჯერ ხედავს ამა თუ იმ პოლიტიკოსს ან პარტიას ეკრანზე ან გაზეთის ფურცლებზე, ანდა, რამდენად ბევრ ჭორსა და მხარდასაჭერად შეთითხნილ ამბებს მოისმენს. ამიტომ არსებობს დიდი საშიშროება იმისა, რომ პარლამენტში მოხვდნენ ბევრი შემთხვევითი, ამა თუ იმ პიროვნებაზე თუ პარტიაზე ჩამოკიდებული პირები და ისეთი პოლიტიკური ძალები, რომლებიც არ გაითვალისწინებენ ქვეყნის ინტერესებს. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქვეყნის ინტერესებისათვის არასასურველი პარლამენტის სავარაუდო არჩევის ძირითადი მიზეზებია ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანა.

***— თქვენ აპირებთ მაჟორიტარული წესით კენჭი იყაროთ ახალგორის №31 საარჩევნო ოლქში, როგორია თქვენი აზრი, როგორც მაჟორიტარი კანდიდატისა საქართველოში მესამე სექტორის როლზე?***

— ჩემი, როგორც მაჟორიტარი კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია მესამე სექტორის განვითარებისათვის ხელშეწყობა, როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე ახალგორის რაიონის დონეზე. უტყუარია, რომ დემოკრატია სამოქალაქო საზოგადოების გარეშე არ არსებობს. და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ინტერესები გვკარნახობს, რომ არასამთავრობო სექტორის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს ხელისუფლების ყველა შტომ და მათ შორის პარლამენტმაც. მე ვეცდები განხორციელდეს და პირველ რიგში ხელი შევუწყო ახალგორში სათემო ტიპისა და ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. რაც შეეხება მოსახლეობის სამართლებრივ განათლებას, შევეცდები, წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც შეძლებისდაგვარად მოვახერხო, რადგან მე მიმაჩნია, რომ საზოგადოების სამართლებრივ შეგნებაზე და კულტურაზეა დამოკიდებული ქვეყნის სიძლიერეც და სისუსტეც.

***— რა არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველოში დამკვიდრდეს სამოქალაქო საზოგადოება?***

— სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებისათვის საქართველოში დემოკრატიულ კანონებთან ერთად ძირეული და აუცილებელი პირობაა ადგილობრივი (საკრებულოები, გამგეობები) და უმაღლესი (პარლამენტი, პრეზიდენტი, სამინისტროები) ხელისუფლების მოღვაწეობის მაქსიმალური საჯაროობა, მოსახლეობამ უნდა იცოდეს ხელისუფლების მოღვაწეობის შესახებ ყველაფერი, ყოველ შემთხვევაში, სურვილის შემთხვევაში მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ გაეცნოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებს, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს, დაფინანსების სხვა წყაროებს, თანამდებობის პირთა შემოსავლებსა და ბიოგრაფიებს და სხვა. ხელისუფლება დღევანდელი კანონმდებლობით ვალდებულია ნებისმიერი ინფორმაცია, თუკი ის არის სახელმწიფოს საიდუმლოება არაა, მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მომთხოვნს.

***— საქართველოში თვითმმართველობისაკენ უკვე გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული, თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?***

— დღესდღეობით საქართველოში თვითმმართველობა, შეიძლება ითქვას, „ოჩოფეხებზე“ დგას და ადგილიდან ვერ იძვრის. სრულფასოვანი თვითმმართველობის დამკვიდრებისათვის აუცილებელია ხალხის მიერ არჩეული იქნას არა მხოლოდ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოები, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლებაც – გამგებლები და ქალაქის მერები. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ თვითმმართველობა საქართველოში არ არსებობს.

***— თქვენ ლილოს მაცხოვრებელი ხართ, რას იტყოდით თქვენს დასახლებაზე და მის პრობლემებზე?***

— არასამთავრობო სათემო ტიპის ორგანიზაციების ჩამოყალიბების აუცილებლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ლილოს დასახლება, სადაც მე ამჟამად ვცხოვრობ. როგორც ყველა დასახლებულ პუნქტში, ისე ჩვენთანაც უამრავი კერძო ხასიათის პრობლემებია. ესენია: დანაგვიანებული ქუჩები, დაგვიანებული პენსიები და ხელფასები, დანგრეული გზები, წყლისა და ელექტროენერგიის პრობლემები და სხვა. ამას ყველა ხედავს, მოქალაქეები ცალ-ცალკე აყენებენ აღნიშნულ პრობლემებს, მაგრამ მოგვარებით არ გვარდება, არც მოგვარდება, ან გაურკვეველი დროით გადაიდება. თუკი ეს პრობლემა ხელისუფლების წინაშე არ დააყენა ადამიანთა ორგანიზებულმა ჯგუფმა, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ამ პრობლემასთან უშუალოდ შეხებაში მყოფი ადამიანები. საზოგადოება „ლილო“-მ დღიდან ჩამოყალიბებისა, საზოგადოება „სამგორთან“ ერთად და დამოუკიდებლადაც დააყენა მრავალი პრობლემა ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე, რომლებიც ასე თუ ისე წყდება. მაგალითისათვის მოვიყვან რამდენიმეს: ლილოს დასახლებაში საზოგადოება „ლილოს“ და საზოგადოება „სამგორის“ ინიციატივით შეგროვდა ხელმოწერები დასახლებაში დანგრეული გზების შეკეთების მოთხოვნით და წარედგინა თბილისის საკრებულოს. ხელმოწერებმა შედეგი გამოიღო და ამ დღეებში დაიწყეს ლილოს დასახლებაში გზების შეკეთება. ჩვენი მოთხოვნით დაიდგა დასახლებაში ქუჩის ტელეფონები. დაყენებული გვაქვს მრავალი სხვა პრობლემებიც, რომლებიც გადაიჭრა და ზოგიც გადაჭრის პროცესშია.

***— რამ განაპირობა თქვენი არჩევანი, იყოთ პარლამენტარი, და თანაც ახალგორის მაჟორიტარი დეპუტატი?***

— მე პირადად მაქვს ახალგორთან მიმართებაში მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები, რომლის განხორციელებასაც, არჩევის შემთხვევაში, ძალის დაუზოგავად ვეცდები. ამ მიზნებიდან ერთ-ერთზე ზემოთ ვისაუბრე, როცა არასამთავრობო სექტორის განვითარებას შევეხე. მაქვს სხვა მიზნებიც, რომლებიც ეხება მცირე ბიზნესის განვითარებას, თვითმმართველობის განვითარებას, იმ კუთხისათვის დამახასიათებელი მეურნეობის განვითარებაში ხელშეწყობას და სხვა.

***— გაქვთ თუ არა არჩევნების ობიექტურად ჩატარების იმედი?***

— მე ყველანაირად ვეცდები არცერთ პოლიტიკურ ძალას არ მივცე საშუალება კანონის დარღვევისა და არჩევნების გაყალბებისა.

***— გისურვებთ წარმატებებს, გმადლობთ.***

დეპუტატობის კანდიდატი

## „მოქალაქეები“ ხელფასების გაზრდას ლარის ინფლაციით აპირებენ?!

***ინტერვიუ უპარტიო იურისტთან გია თოიძესთან***

***— ბატონო გია, როგორ არჩევნებს ელით?***

— ცხადია, ობიექტურზე საუბარი ზედმეტია, თუნდაც იმიტომ, რომ მმართველი პარტიის ხელში არის უზარმაზარი ფინანსური საშუალებები, რომლებსაც მიზანმიმართულად გამოიყენებენ. პატრიოტული ორგანიზაციები, თუნდაც ჩვენი ბლოკი „საქართველოც“ ვერ შეძლებენ მწირი ფინანსური მდგომარეობის გამო სააგიტაციო-საპროპაგანდო ფურცლების გავრცელებას, სხვადასხვა ბიულეტენების დაბეჭდვას, სარეკლამო რგოლების მომზადებას, რომლებიც გარკვეულ წილად მაინც თამაშობს მოსახლეობის მენტალიტეტზე, მის ფსიქიკაზე, ეს იქნება დაბრკოლება ჩვენი ბლოკისთვის და მეორეც, ის ბერკეტული თანამდებობები, რომლებსაც მმართველი პარტია ფლობს, აძლევთ იმის საშუალებას, რომ არჩევნები ჩატარდეს არაობიექტურად, ზეწოლით, გაყალბებით.

***— იქნებ კონკრეტული ფაქტების შესახებ გვითხრათ რამე?***

— ასეთი ფაქტები, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ჩვენ საგამოძიებო პროცედურას ვერ ჩავატარებთ ახლა. თუ თვალს გავაყოლებთ დაკარგული თანხების ოდენობას, რომელზეც მხოლოდ მმართველ ძალას მიუწვდება ხელი, გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ეს ვიფიქროთ. იმ მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რომელიც დღეს მმართველ პარტიას აქვს, ნებისმიერ საშუალებას გამოიყენებენ, აკრძალულს თუ ნებადართულს.

***— „მოქალაქეები“ თავის „მოღვაწეობას“ ამ ხნის მანძილზე წარმატებულად მიიჩნევენ. თქვენ როგორ შეაფასებდით?***

— ერთადერთი, ობიექტურად რომ დავაფიქსიროთ, საგარეო პოლიტიკა გახლავთ, რომელსაც ისინი, ხშირ შემთხვევაში, შევარდნაძის ფაქტორს უკავშირებენ, მაგრამ პოსტსაბჭოურ სივრცეში არიან ყოფილი საბჭოური რესპუბლიკები, რომელთაც წარმატებები აქვთ, თუმცა არ ჰყავთ ისეთი გამოჩენილი ფიგურა, როგორიც შევარდნაძეა. თუნდაც ის ფაქტი, რომ მოლდავეთი უფრო მალე გახდა ევროგაერთიანების წევრი, ვიდრე საქართველო, მეტყველებს იმაზე, რომ საერთაშორისო მოვლენებში გეოპოლიტიკური მოტივაცია უფრო უკეთ თამაშობს, ვიდრე ამა თუ იმ პიროვნების ავტორიტეტი.

თუმცა ამ თავისთავად მოვლენას მოქალაქეთა კავშირი – მმართველი ელიტა თვითრეკლამის მიზნით შევარდნაძეს აწერს.

იგივე შეიძლება ითქვას თურქმენეთზე. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები შუა აზიის ამ რესპუბლიკაში ხშირია, მაგრამ გაეროს დადგენილებით ახლა მიმდინარეობს მუშაობა, რათა თურქმენეთს მიენიჭოს ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსი, რასაც თავისი დანიშნულებით, სტრატეგიული არეალით მიაღწია ამ უკანასკნელმა.

თუ ჩვენ მაინც ჩავთვლით, რომ „მოქალაქეების“ მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა დამაკმაყოფილებელია, სხვა პოლიტიკური მოვლენები აბსოლუტურ უმრავლესობაში კრახის დონეზეა. კრახი განიცადა საშინაო პოლიტიკამ, რომელშიც მე ვგულისხმობ უშიშროების, შს ორგანოების მუშაობას, ეკონომიკას, მრეწველობას, განათლებას, ჯანდაცვას. არცერთი ეს მიმართულება არ აკმაყოფილებს საერთაშორისო დემოკრატიულ ნორმებს.

***— საარჩევნოდ მოქალაქეებმა დაპირებების ახალი ვარიანტი შექმნეს, რომელიც ალბათ, საკმაოდ ეფექტურად იმოქმედებს მოსახლეობაზე.***

— მათ ყველაზე მტკივნეული პრობლემა საკუთარი რეკლამისთვის გამოიყენეს. ეს არის საშუალო ხელფასის 200-დან 230 ლარამდე გაზრდა. ეს უბრალოდ სასაცილოა. დღეს, როცა მოსახლეობას 12-20 ლარს ვერ აძლევენ, როგორ შეძლებენ 1 ან 2 წელიწადში ამ მინიმალური თანხის 200 ლარამდე გაზრდას. რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ აქვთ არჩევნების შემდეგ ლარის კურსის კატასტროფული დაცემა.

ეს, ჩემი აზრით, წინასაარჩევნო ტრიუკი უფროა.

***— ისევე, როგორც წინა არჩევნების დროს, მილიონი სამუშაო ადგილის დაპირება, არა?***

— ქვეყანაში დოვლათი რომ იყოს, მოსახლეობა დასაქმდეს, ამას მრეწველობის„ წარმოების განვითარება სჭირდება. დღეს კი სუფთა სპეკულაციის მოდელი არსებობს, ქუჩებში იყიდება პროდუქცია, რომელმაც საბოლოო გამყიდველამდე 5-9 ხელი მაინც გაიარა. თუ ამ მეხუთე და მეცხრე ხელს გულისხმობდნენ თავის დროზე, როცა მოსახლეობას მილიონ სამუშაო ადგილს ჰპირდებოდნენ, რა თქმა უნდა, ეს ცივილიზებულ ფორმულირებას არ შეეფერება.

***— მმართველი პარტიის ერთადერთ დამსახურებად ლარის კურსის სტაბილურობის შენარჩუნება შეიძლება მივიჩნიოთ, არა?***

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა. ლარის კურსი სტაბილიზაციას განიცდის, მაგრამ ეს ეკონომიკური აღმავლობის შედეგი კი არ არის, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება, არამედ პენსია-ხელფასების გაუცემლობისა. ფიზიკურად მიმოქცევაში არ არის ის რაოდენობა ლარისა, რომელიც დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს, რაც ლარის კურსს დროებით უნარჩუნებს სტაბილურობას.

ეს კი ანტიეკონომიკური ქმედება გახლავთ. სხვა თავმოსაწონიც არაფერი აქვთ.

***— რა სიახლეს ელით არჩევნებისგან?***

— თითქმის არაფერს. ხელისუფლებაში, ცხადია, მოვლენ ისევ „მოქკავშირი“ და „აღორძინება“. რაც შეეხება მესამე ძალას, ის იქნება, ვისაც პრეზიდენტი ფსევდოოპოზიციის საუკეთესო კანდიდატად მიიჩნევს, ამის მაგალითი უკვე 10 წელია გვაქვს.

***— მოგეხსენებათ, ამ ხელისუფლებას არაეროვნულს უწოდებენ ხშირად...***

— ხელისუფლება და საერთაშორისო ორგანიზაციები მმართველი ძალის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ქმნიან საქართველოში დემოკრატიისა და ცივილიზაციის მშენებლობის მოდელს ან ყოველ შემთხვევაში, ასე ცდილობენ დაანახონ დანარჩენ მსოფლიოს. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლისგან ძალიან შორსაა. ქვეყნის და ერის მტრებმა შეძლეს და ქართველ ერს დააკარგვინეს ღირსების გრძნობა, ანუ გრძნობა საკუთარი თავისა და ქვეყნის ფლობისა. როცა ადამიანს ეს ეკარგება, მას უქრება პატრონის გრძნობის შეგრძნება და ქართველი კაცი საქართველოში ველარ გრძნობს თავს ქვეყნის პატრონად, ის მეორეხარისხოვან ადამიანად არის ქცეული, რომლის მთელი პოტენციალი მიმართულია იქეთ, რომ უმცირესი ოდენობით მაინც მოიპოვოს სარჩო-საბადებელი და გამოკვებოს ოჯახი. როცა ხორციელი მოთხოვნილებები წინა პლანზე გამოდის, მაშინ ყველა სულიერ ფასეულობაზე საუბარი უკვე ზედმეტია.

დღევანდელი პერიოდი ძალიან ჰგავს XIX საუკუნის ბოლო პერიოდს. მე მახსენდება ილია ჭავჭავაძის ბრძოლა სოციალ-დემოკრატებთან. ილია ჭავჭავაძე მაშინ სოციალისტურად განწყობილ მოღვაწეებს მოუწოდებდა, შეშვებოდნენ ამ იდეებისთვის ბრძოლას და ჯანსაღ ნაციონალიზმში დაბრუნებულიყვნენ. დღეს, ასე ვთქვათ, კოსმოპოლიტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სიო ხელახლად ამოაქროლეს და ყველანაირად ცდილობენ, ნაციონალიზმი დაასამარონ. არადა, ეს ძალიან ჯანსაღი იმუნიტეტური მოვლენაა ადამიანის ფსიქიკაში, რომელიც თვითგადარჩენისკენ არის მიმართული.

მე არა მგონია 3 მლნ ქართველი, რომელიც საკუთარი თავის ყოფნა-არყოფნაზე ფიქრობს, საშიშროებას წარმოადგენდეს ნაციონალიზმის თვალსაზრისით კავკასიისთვის ან თუნდაც ევროპისთვის. მით უფრო, როცა დღეს მსოფლიოს ახალი პოლიტიკური იდეა აღარ აქვს, იგი შიშველი აგრესიის ამარა დარჩა. ამ იდეის გამტარებლები ცდილობენ, ერთპოლუსიანი მსოფლიო შექმნან, სადაც დანარჩენი ერები გარკვეულწილად დაემორჩილებიან მავანთა ნება-სურვილს. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფხიზლე გვჭირდება ჩვენი მეობის შენარჩუნებისათვის.

**მანანა ლოგჯანიძე**

## ფრიდონ ინჯია:

# ძალიან მეშინია იმისა, რომ, თუ ხელისუფლება არ შეიცვალა, უსამართლობის ტენდენცია კვლავ გაგრძელდება...

მე-3 გვერდიდან.

ვინმემ მისი ჩამოშორება შეძლოს. ალბათ, კავშირგაბმულობის ყოველი მუშაკი თავის სპეციალობაზე ავადმყოფურად არის შეყვარებული. ამ მრავალათასიან არმიას ჯერ ახსოვს ხელფასის დაგვიანება. ძალიან მწყინს, რომ საქართველოს რადიო მიხეილ ჯანგირაშვილის ხელმძღვანელობით იძულებულია გაიფიცოს, რადგან მათ რამოდენიმე თვის განმავლობაში გასამრჯელო არ აუღიათ. მე მიმაჩნია, რომ პროტესტის ეს ფორმა მიუღებელია. მე ვთხოვ და მოვუწოდებ მათ, სხვა გზები ვეძებოთ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კონსტიტუციის III მუხლის პირველი პუნქტის ქვეპუნქტში ნათლად წერია: მხოლოდ საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი, კავშირგაბმულობა, საბაჟო, სახელმწიფო მნიშვნელობის ნავსადგურები, პორტები, აეროდრომები და სხვა.

დემონოპოლიზაცია უფლებას იძლევა აგებულ იქნას ალტერნატიული სატელეფონო ქსელები, მაგრამ ის, რაც სახელმწიფოსია და მომგებიანია, სახელმწიფოს განმგებლობაში უნდა იყოს. მითუმეტეს მაშინ, როცა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილი არ არის.

ჩვენი უპირველესი ამოცანა კი მოსახლეობის ხელფასით დაკმაყოფილებაა. როცა შევძლებთ რაიონებში თითო სკოლის აშენებას, შემდეგ უკვე სტრატეგიულ ობიექტებზეც ვიზრუნებთ. თუ მაინცდამაინც გაყიდით, ისე უნდა გაიყიდოს, რომ საქართველოს მასზე განსაკუთრებული განმგებლობა არ დაეკარგოს. ნაწილი სჯობია ჩვენს მოქალაქეებზე გაიყიდოს აქციების სახით აუქციონზე და არა უცხოელებზე.

***– როგორ ფიქრობთ, ქვეყანაში რომელი დარგები უნდა იყოს წამყვანი და რისი გაკეთება შეიძლება პერსპექტივაში ამ მიმართულებით?***

– საქართველოს პრიორიტეტულ დარგებად მიმაჩნია სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა. არის ელექტროენერგია – ე.ი. მუშაობს პურისა და საკონსერვო ქარხანა, ჩაის, ხე-ტყის, ქვის დამუშავების წარმოებები, ქიმია, მეტალურგია... ენერგეტიკაზე მრავალი დარგია დამოკიდებული.

აქვე მინდა ორიოდე სიტყვით ქვეყნის განვითარების ჩემეული პროგრამა შემოგთავაზოთ. მიმაჩნია, რომ საგადასახადო პოლიტიკა სასწრაფოდ არის შესაცვლელი. თბილისში უნდა იყოს დაბეგვრის 15%-იანი, მაგისტრალებზე – დაწყებული რუსთავიდან თბილისის გადაკვეთით მცხეთა, ხაშური, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმის ჩათვლით 10 %-იანი. ამ მაგისტრალების გასწვრივ 30 კმ-ს მანძილის დაშორებით 5 %-იანი, 30 – კმ-ს ზემოთ კი 3 %-იანი განაკვეთები.

მარტვილის რაიონში ერთ-ერთი ფაბრიკის დირექტორთან შეხვედრისას გამოითქვა აზრი, ათპროცენტიანი გადასახადიც რომ იყოს, 10-ჯერ მეტს შევქმნიდითო. ისმება კითხვა: რა სჯობს? ეხლა, როცა შემოსავალი იმალება, თუ ის რომ ნაკლები გადასახადი იყოს და 10 ჯერ მეტი შეიქმნას?

უნდა შემცირდეს მაკონტროლებელი ორგანოების რიცხვი კერძო საწარმოებში და ამ ორგანოდ მხოლოდ საგადასახადო სამსახური უნდა დარჩეს.

მიღებული უნდა იქნას კანონი, რის საფუძველზეც ეროვნული მეურნეობის გარკვეულ მიმართულებებზე შეიძლება უცხოელთა მონაწილეობა. მომგებიან დარგებში მათი მონაწილეობის ფაქტორი უნდა შემცირდეს, ხოლო თუ დარგი წამგებიანია და ჩვენ შესაბამისი ტექნოლოგია არ გაგვაჩნია, იქ შეიძლება უცხოელთა რაოდენობის გაზრდა.

მისაღებია კანონი, რის საფუძველზეც იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რომელიც საქართველოში იწარმოება ან შეიძლება მისი წარმოების დაწყება და ამავდროულად ის ჩვენთან იმპორტით შემოდის, საბაჟო გადასახადი უნდა გაიზარდოს. შესაბამისად, ჩვენი წარმოება ერთგვარად დაცული იქნება. მაგალითისთვის, შემოტანილი ღვინო ხუთჯერ ძვირი გახდება, ვიდრე ადგილობრივი.

უნდა მოხდეს სასამართლო და ხელისუფლების სხვა შტოების ერთმანეთისაგან ნამდვილი გამიჯვნა. კონსტიტუციაში ისეთი მუხლის შეტანაა საჭირო, რომელიც ყველა სახის სეპარატისტულ მცდელობებს შეზღუდავს.

აუცილებელია სამსახურში მყოფი ადამიანების მიმართ ხელფასების ინდექსირება, გამომდინარე სამომხმარებლო კალათიდან. სამართალდამცავი ორგანოების რაოდენობის შეზღუდვა ქვეყნის მასშტაბით, მათი უზრუნველყოფა ხელფასებით და იმ პიროვნებების კანონით დასჯა, ვინც დაუშვებს ხელფასების დაგვიანებას ან გაცემას კანონით დადგენილ ვადებში.

ასევე გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია შეიარაღებული ძალების შესახებ შესაბამისი კანონის მიღებაც. უნდა აიკრძალოს პრივატიზაცია პირდაპირი გაგებით უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. ეს უნდა იყოს განსაკუთრებული შემთხვევა ან განხორციელდეს შემდეგ ეტაპზე, როცა საწარმო იქნება აქციონირებული ან შესყიდული საქართველოს მოქალაქეების მიერ, იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომელიც მიღებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ, მანამდე კი მისაღებია კანონი პრივატიზაციის დროებით შეჩერებაზე.



სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციების რაოდენობა შესამცირებელია ორჯერ. მათ შორის სამინისტროებისა და დეპარტამენტების რაოდენობა ორჯერ და მეტად მათი გაერთიანებებითა და შერწყმით. სამინისტროების რაოდენობა თხუთმეტს არ უნდა აღემატებოდეს. ყოველგვარი მარეგულირებელი ორგანოები გასაუქმებელია. ეს ნიშნავს, რომ უნდა იყოს სახელმწიფო მონოპოლია იქ, სადაც საჭიროა და სხვაგან ყველგან უნდა მოქმედებდეს საბაზრო ეკონომიკა. ის იქნება დამრეგულირებელი და არ უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს ჩარევა კერძო ბიზნესში, მეწარმეობაში, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე საგანგებო შემთხვევასთან არ გვექნება საქმე. ამით კორუფციაც გარკვეულწილად შეიზღუდება.

კანონით აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობის პირთა პირადი პასუხისმგებლობა უნდა

გაგრძელება მე-7 გვ.

---



## ინტერვიუ

## ვახტანგ გოგუაძე:

# ხომ იცის შევარდნაძემ, მეც დამიჭერს და დამთავრებულია მისი კარიერაც

მე-2 გვერდიდან.

– განსხვავებული იდეოლოგიური მრწამსისათვის... არ შეიძლება, ვახტანგ გოგუაძე თავისი ცხოვრების წესით, აზროვნებით, სარწმუნოებრივი თვალსაზრისიდან გამომდინარე, ტერაქტში გაერიოს, მაგრამ რა?

მეორეც, კარგად ვიცი, ხელისუფლება ჩემნაირმა კაცმა არ უნდა ჩამოაგდოს, იმას ჩამომგდებს გამოუგზავნიან...

შევარდნაძესთან ამ ცოტა ხნის წინ ასეთი რამ ითქვა: თუ რუსეთის ხელისუფლებაში სახალხო-პატრიოტული ძალები მოვიდნენ, შეიძლება „სტავკა" გოგუაძეზე გააკეთონო. ეს სისულელეა, რა თქმა უნდა. აქ გოგუაძე კი არა, ვინმე პოლკოვნიკი მოვა, ამათ თავები რომ... ასე რომ, მინდა შიში გავუქარწყლო ბევრს.

დროზე სჯობია გაახილონ თვალები და სწორი დასკვნები გამოიტანონ.

***– ბატონო ვახტანგ, ტელეფონზე საუბრების უკანონო მოსმენას გადააყოლეს უშიშროების ყოფილი მინისტრი შოთა კვირაია. ახლანდელი მინისტრის ხელში დეპუტატთა საუბრების ჩუმად მოსმენამ მტკიცებულების სახე როგორ შეიძინა?***

– ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ. მე და ვალერი კვარაცხელია ადვოკატს ვეძებთ და ვაპირებთ, სასამართლოში ვიჩივლოთ, მაგრამ რად გინდა?.. თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში სამართალი არსებობს? არ დაიჯეროთ! მაგრამ საჩივარს ამ დღეებში სასამართლოში მაინც შევიტანთ, გარდა ამისა, ვაცნობებთ მსოფლიოს ყველა საელჩოს, რაც ჩვენთან ხდება.

***– კი, მაგრამ გამარჯვების იმედი თუ არ გაქვთ, საჩივარი რატომ შეგაქვთ სასამართლოში?***

– ჩვენთან ამერიკის გავლენის გამო გამარჯვება მართლაც გამორიცხულია. მსოფლიო დაპყრობილი ჰყავს ამერიკას და მისი მითითებით ხდება ყველაფერი ეს. შევარდნაძეს რაში აწყობს ახლა, მე რომ დამიჭიროს? ხომ იცის, მეც დამიჭერს და დამთავრებულია მისი კარიერაც. არა იმიტომ, რომ ჩემს გამო ვინმე თავს გამოიდებს. ჩემი დაჭერა ლაკმუსის ქაღალდივით იმოქმედებს. ვახტანგ გოგუაძის კატეგორიის კაცს რომ ციხეში ჩასვამს, ის ხელისუფლება აღსასრულის წინაშე დგას.

***– საჩივრის მიზანზე ვსაუბრობდით...***

– დიახ, გითხარით, ამერიკის გავლენის გამო ჩვენთან გამარჯვება მართლა გამორიცხულია, რუსეთში კიდევ არ ვიჩივლებ. განსაკუთრებულად შეიძლება ჩინეთს მივმართო და დახმარება ვთხოვო, ვაჟკაცი ქვეყანაა და თანაც თავის დროზე ოფიციალურად ვიყავი ჩასული და კარგი ურთიერთობები დავამყარე.

მე დოკუმენტს ვუქმნი იმათ, ვინც ქვეყანა გაძარცვა, ნიურნბერგის პროცესის სურათს ნახავთ მალე. გერმანელ ფაშისტებს თავისებურად მაინც უყვარდათ თავის ქვეყანა (შეაჩვენოს ღმერთმა ყველანაირი ფაშიზმი!), ესენი კი? უცხოეთის ფაშიზმს როგორ შეიძლება ემსახურო? მე ვამხილებ ამათ ძალადობას. ბევრი ადამიანი დაინახავს სიმართლეს.

***– ბატონო ვახტანგ, თავის დროზე, როცა უშიშროებაში გიბარებდნენ, არ ცხადდებოდით. ახლა საქმე კიდევ უფრო გართულდა და თქვენი დაპატიმრების საშიშროება უფრო რეალური გახდა. გულახდილად რომ თქვათ, ალბათ, გეშინიათ არა?***

– გაგიკვირდებათ, მაგრამ ერთ უცნაურ რამეს მაინც გეტყვით. თქვენ იცით, რომ მინდა დამიჭირონ? უახლოეს პერიოდში, ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოში ისეთ რაღაცას ვხედავ, ისეთ მღვრიე ტალღას ვგრძნობ, სჯობია, „იქ" ვიყო. ხომ არაფერს არ ვეკარები, რაღაცას მაინც დამაბრალებენ, „იქ" კი უფრო დაცული ვიქნები.

***– საქართველო ჯაშუშებით არის სავსეო, ბრძანეთ. ვინ იგულისხმეთ ჯაშუშებში?***

– კგბ-ს ყველა ყოფილი აგენტი დღეს „ცრუ"-ს აგენტია.

***– თუ ეს მართალია და თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ამ ინფორმაციის მოპოვება, მაშინ ხელისუფლებაც ინფორმირებული იქნება, არა?***

– დიახ, და სწორედ ამიტომ იქცა საანეკდოტოდ ლუსტრაციის კანონის მიღება. აგენტები თვითონ არიან და კანონი ვისთვის უნდა მიიღონ? ვახტანგ გოგუაძეზე კი ამგვარი ვერაფერი შეთხზეს. სხვათაშორის, ყველა ხელისუფლებამ დამიპირა, მაგრამ ვერ მოახერხეს. მოდით, ერთს მეც გკითხავთ და მიპასუხეთ. თქვენი აზრით, „ცრუ"-ს აგენტი რომ დაიჭირონ საქართველოში, თუ ამხელენ?

***– ვერაფერს გეტყვით...***

– მაშინ მე გეტყვით. მთელი უშიშროების სამინისტრო „ცრუ"-ს ემსახურება და ახლა დასკვნა თქვენ გამოიტანეთ. ამასწინათ პრესაში წამოსცდათ, „ცრუ" დაგვეხმარა ტერაქტის გახსნაშიო და მერე სასწრაფოდ იუარეს.

***– თუ ტერაქტის აღმოჩენა-გახსნა შეთხზულ-გამოგონილია, მაშინ უცხოეთის სპეცსამსახურების მხრიდან დახმარების აღმოჩენაზე საუბარი ან მერე მისი უარყოფა რაში დასჭირდათ ჩვენს სამართალდამცავებს?***

– ტერაქტის პროვოცირების „ცრუ"-სეული მეთოდი ასეთია: ვიღაცას მართლა გამწარებულს, გაბრაზებულს მონახავს და ააგორებს ტალღას (კი არ ეტყვიან, „ცრუ"-დან ვართო!), გააბამს მახეში და სურვილისამებრ მიამსგავსებს საჭირო სურათს... მერე... მაგრამ მე მაგის ჩიტი არა ვარ, ამგვარ რამეებს წამოვეგო.

მე ღვთისმშობლის ხატის წინაშე დავიფიცე, ტერაქტთან არანაირი შეხება არ მქონია-მეთქი. სარწმუნოებისას რას გააგებინებ ამ ურჯულოებს, თორემ, როგორ შეიძლება, არ ერწმუნო ადამიანს, რომელიც ამას აკეთებს?

***– გამოდის, რომ თქვენი უმთავრესი მტერი დასავლეთია?!***

– დიახ. შევარდნაძე კლინტონს შეჰპირდა, რომ საქართველოში ალაგმავს პატრიოტულ ძალებს და იქნება მხოლოდ ამერიკული პროპაგანდა. აქამდე ბევრს არ სჯეროდა ეს, მაგრამ ახლა 90%-მა მაინც შეიგნო. ამერიკამ არა მარტო დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, არამედ რეგიონებადაც დაშალა სსრკ. ის, რაც აფხაზეთში მოხდა და რაც ამჟამად ჩეჩნეთში ხდება, დასავლეთმა დაიწყო. ვინც ჩეჩნეთი წაართვა რუსეთს, იმან წაართვა აფხაზეთი საქართველოს. ჩვენ დიდი პოლიტიკის პატარა ჭანჭიკი ვართ. პატარა ბიჭებს რომ აგულიანებენ დიდი ბიჭები, აჩხუბებენ და სანამ ცხვირპირს არ დაასისხლიანებინებენ, მანამ ხარხარებენ, ასე გვიკეთებენ ჩვენც. აფხაზეთი და სამაჩაბლო რომ ჩამოეშორებინათ, ეს პირდაპირ გეგმაში ჰქონდა ამერიკას, რათა საქართველოს მიწიერი-სახმელეთო საზღვარი მოშლოდა რუსეთთან. ამათ ერთმანეთი ფეხზე არ წამოაყენონ, თორემ ველარ ვიპარპაშებთო. დიდად სამწუხაროა, მაგრამ არ შემიძლია, არ გითხრათ. ჩვენი ხელისუფლება ლიდერისტატია ომის წამოწყებისა აშკარა დამარცხების გარანტიით. ომს კი პოლიტიკური ჭკუის დეფიციტი იწვევს. თუ იწყებ ბრძოლას, უნდა მოიგო კიდეც.

რა გარანტია გაქვს გამარჯვებისა, რუსეთს რომ ებრძოლები? სად გაგონილა, ყავარჯნიანი კაცი მსოფლიო ჩემპიონს, ძალოსანს შეეჭიდოს?

ამერიკა კი პატივს სცემს მხოლოდ ძალას. ბევრი ქვეყანა გააუბედურა და ჩვენც დაგვღუპავს. ტყუილა ჰგონია ჩვენს პრეზიდენტს „ცრუ" და ამერიკა უძლეველი. ეს უკანასკნელი მარცხს მარცხზე განიცდის, მთელი აზია, ჩრდილოეთ კორეა, ჩინეთი, ინდოეთი აბობოქრებულია და ნეიტრონის ბომბს უმიზნებს ამერიკას. მალე ყველაზე საშიში მტერი ირანი იქნება. საგარეო პოლიტიკაში სასტიკ მარცხს განიცდის, რუსეთის ფეხზე წამოდგომით კი თეთრი სახლი და პენტაგონი შოკირებულია. ერთ-ერთმა გამოჩენილმა ამერიკელმა მოღვაწემ, პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ამასწინათ განაცხადა, თუ ამერიკა თავს არ გაანებებს კავკასიასა და შუა აზიაში რუსეთის წინააღმდეგ ომს, შეიძლება თავზე რუსეთის ბირთვული იარაღი მივიღოთო.

***– ბატონო ვახტანგ, მოკლედ, თქვენი ანტიამერიკული განწყობა გვაფიქრებინებს, რომ სასწაულის ძალით (წინასწარმეტყველება უკვე ხომ შეგიძლიათ) ისევ სპიკერი რომ გახდეთ, პირველ რიგში, რუსეთის ხელმძღვანელ პირებს მოიპატიჟებდით საქართველოში.***

– სულაც არა. პირველად ამერიკულ პროგრესულად მოაზროვნე დემოკრატთა დელეგაციას მოვიწვევდი და გავაცნობდი ჩემს თვალსაზრისს ამერიკის იმპერიის მიმართ. ვთხოვდი, მხარი დაუჭირეთ იმ ჰუმანისტურ კონცეფციას, რომელიც ამერიკაში მუშავდება პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების მიერ. იქნებ ამერიკულმა აგრესიამ უკან დაიხიოს, შეცვალოს კურსი და მსოფლიოსთან შერიგების გზა გამონახოს, იქნებ ავიცილოთ თავიდან ბირთვული ომი, რომლის რეალური საფრთხე სახეზეა.

მანანა ლოჩანიძე

ინტერვიუ

*გოგი ოჩიაური:*

# საქართველოს თითქოს განგრენა სჭირს...

*მე-3 გვერდიდან.*

ლი თავს.

***– დაასახელეთ ის პირველი თქვენი ნამუშევარი, რომლითაც თქვენ ყველაზე მეტად ხართ კმაყოფილი.***

– მერწმუნეთ, მე არა მაქვს ისეთი ნამუშევარი, რომლითაც აბსოლუტური კმაყოფილება მიგრძვნია. არა მაქვს და, აწი, ალბათ, აღარც მექნება! მე ვინ ვარ, როცა მიქელანჯელო სიკვდილის წინ ნანობდა, ახლა ვხვდები, რაც უნდა და როგორც უნდა გამეკეთებინა, მაგრამ რაღა დროსო!

ისე, თუ მაინცდამაინც ვიტყვით, მოგახსენებთ. ჩემი, როგორც მოქანდაკის, შედარებითი შემოქმედებითი განტვირთვა მოხდა „დიდების მემორიალის" შექმნის დროს. იქ იყო ასეთი კომპოზიცია – „რეკვიემი" (უცნობი ჯარისკაცის საფლავი).

პირველი პრეზიდენტის გარშემო უამრავი მაღალინტელექტიანი, განსწავლული და ინტელიგენტი ადამიანი იყო, მაგრამ, ვერც იმას მივჩქმალავთ (რასაც ასე უკიჟინებენ პუტჩისტები!), რომ იყვნენ ულირსებიც, ეროვნულ მოძრაობას შემთხვევით მიტმასნილი ხალხი. შეუჩნდნენ პრეზიდენტს, ოჩიაურის ძეგლი ვაკის პარკში, არაეროვნული პოზიციის მქონე ძეგლია და ავილოთო. აიღეს, მაგრამ მალევე გაასწორეს თავიანთი შეცდომა. მხატვართა კავშირმა ბოდიში მომიხადა. ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, ბატონმა როინ მეტრეველმა მომიბოდიშა.

ერთი სიტყვით, „რეკვიემი" ბევრს მოსწონდა. შესაძლოა, ინგლისის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, მარგარეტ ტეტჩერი პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნე არ იყოს, მაგრამ ნახვით რომ ბევრი რამ ექნება ნანახი, ესეც უეჭველია, ძალიან მოიწონა იგი.

***– თქვენს შემოქმედებას, რასაკვირველია, ობიექტური შემფასებელი თავის დღეში არ ჰკლებია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას საერთო-სახალხო მოწონება და აღიარება სდევდა თან: „ზღვა", „კენტავრი", „აჯანყება", „რეკვიემი", „ვაჟა-ფშაველა"... მაგრამ, მაინც ხომ არ ყოფილა შემთხვევა, როცა რეცენზენტმა გული გატკინათ?***

– დაღებითი რეცენზიებით ნამდვილად განებივრებული ვარ, მაგრამ ასეთი რამ მაინც მოხდა: მაქვს მე ასეთი კომპოზიცია – დაჩეხილი ქალის პორტრეტი, წელან თქვენ რომ „ნაგვემ ჭირისუფლად" მონათლეთ. ვინ რას უწოდებს მას და ვინ – რას! ზუსტად ვერც მე გეტყვით, რა ჰქვია მას. დიახ, „რეკვიემისა" არ იყოს, ესეც ერთ ღამეში გააქვრეს კომუნისტების დროს და მთელი წელიწადი სადღაც გადამალული იყო. სხვათაშორის, მერე ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა და ვაჟა ლორთქიფანიძემ, განყოფილების გამგე იყო მაშინ, მომიბოდიშეს. მითხრეს, ეს გაუგებრობაა და ჩემი თანდასწრებით უსაყვედურეს ანდრიაძეს, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს, ეს რატომ მოხდაო! ამ ორ პიროვნებას ასეთი გულისხმიერებისათვის მადლიერების გრძნობით ვიხსენებ. დამაიმედეს კიდევაც, ალვადგენთო, მაგრამ არ დასცალდათ. აღდგა იგი 1990 წლის 26 მაისს, ეროვნული ხელისუფლების დროს.

იმ პერიოდში, როცა ძეგლი დამალული იყო, მხატვართა კავშირმა, კოკა იგნატოვისა და ჯემალ ლოლუას ინიციატივით კრება მოიწვიეს. კრებამ აღშფოთება გამოთქვა ასეთი თვითნებობის გამო. აღსანიშნავია, რომ მათი მხარე დაიჭირეს ქართველმა მწერლებმაც. პროტესტი წარუდგინეს ხელისუფლებას, რაც უიშვიათესი შემთხვევა იყო საბჭოთა სინამდვილეში. მართალია, ამ ბოლო დროს, ძალიან შეაჩვიეს ენა და კალამი ზოგიერთებმა მწერლებისა და თვით დიდი ილიას კრიტიკას, მაგრამ ფაქტია – ქართველი მწერლები ყოველთვის ეროვნულ ინტერესებს ქომაგობდნენ.



და აი, სრულიად მოულოდნელად, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში", ცარცის ქაღალდზე... როცა ჟურნალი ცარცის ქაღალდზე გამოდის, როგორც წესი, ცუდი ჟურნალია! ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ გახლავთ, ეს ბერნარდ შოუმ შენიშნა პირველად: ჟურნალი თუ ცარცის ქაღალდზე დაიბეჭდა, მასში არც უნდა ჩაიხედოთო!

***– ოტიას უყვარს ხოლმე, იოსელიანს, თქმა: ღვინო კი არ უნდა იყოს ბროლის ჭიქაში, თვითონ ღვინო იყოს ბროლივით და, თუ გინდ, თიხის ჯამით მოგართვანო!***

– ასპროცენტიანია!.. ჰოდა, ქალბატონმა ლეილა თაბუკაშვილმა, ადრე რომ არაჩვეულებრივ დამოკიდებულებას იჩენდა ჩემს მიმართ, დაწერა სპეციალური წერილი, რომელშიც მხარი დაუჭირა ამ ძეგლის აღებას!

***– პირველი თქვენი ნამუშევარი, რომელმაც დაგანახათ თქვენც და საზოგადოებასაც, რომ პროფესიონალი შემოქმედი ბრძანდებით.***

– ცოტა უხერხულია ამის ხაზგასმა, მაგრამ რახან მეკითხებით... მეოთხე კურსზე ვიყავი, როცა მივიღე ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან დიმიტრი უზნაძის პორტრეტის შეკვეთა. მეამაყება, რომ ეს ქანდაკება დღესაც დგას უნივერსიტეტის სკვერში.

***– პარტიაში, რასაკვირველია, არ ყოფილხართ.***

– რასაკვირველია! ბავშვობიდანვე არ მქონია ოდნავი სიმპათიაც კი კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი. დედაჩემის ერთი ძმა, პოეტი ლადო ბალიაური, შეიწირა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ. გადასახლებაში, შუა აზიაში დაიღუპა. ქალიშვილი დარჩა პირველი მეუღლისაგან. მეორე ძმა, თომა ბალიაური, ჩოლოყაშვილის ძმადნაფიცი გახლდათ, მაგრამ საფრანგეთს არ გაჰყვა მათ და არხოტს აღარ გასცილებია. დღესაც ერთობ პოპულარულია მისი სახელი ხალხში. 1934-ში მოჰკლეს. მამაჩემი 1931-ში დაიჭირეს, კოლექტივის წინააღმდეგ რატომ აგიტაციას ეწევიო. მალე გამოუშვეს, მაგრამ 37-ში ისევ დაიჭირეს, ჩოლოყაშვილს თანაუგრძნობდიო. მოხდა პარადოქსული რამ: ლავრენტი ბერიას ენკავედეს მინისტრად დანიშვნამ უშველა. ბერიამ მაშინ ეჟოვის დროს დაჭერილი ხალხი გამოუშვა. რა თქმა უნდა, ყველა არა.

გარდა ამისა, მთაში ვარ, ძირითადად, ნაზარდი. ცხრაას ოცდაერთში ხევსურთ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ბოლშევიკების შემოსვლას. სხვათაშორის, მარტო ხევსურებმა. არავინ მხარი არ აგვიბა. დაწვეს, გადაბუგეს იქაურობა. 1922-ში აჯანყდნენ, ისევ გადაუარეს. ცხრაას ოცდაოთხში, იცით, საერთო აჯანყება იყო და ხელს რატომ დაგვაკლებდნენ!.. 1937-ში, პროკურორი იყო ერთი, იურისტი, ქვლივიძე. დადიოდა ხალხში და ავრცელებდა ხმას – სულ მალე ბატონიშვილის ჯარი შემოვა და ვინც მხარს დაუჭერთ, ხელი მოგვიწერეთო. გააბრიყვეს ხალხი, მოაწერინეს, 37-ში ყველა მოთავე მიახვრიტეს. 1951-ში, ეს არც იცის, მგონი, ქართველმა ხალხმა, ხევსურები ბარში ჩამოასახლეს. კომუნისტებს უყვარდათ ჩუმ-ჩუმად პარპაში. თითო-ოროლა ოჯახი დარჩა და... არხოტი ახლა დანგრეულია სულ.

საქართველოს თითქოს განგრენა სჭირს. განგრენოზულ სხეულს რომ ერთ კიდურს მოჰკვეთენ, სხეული ამას ვერ გრძნობს, არ სტკივა. სტალინის სიკვდილის შემდეგ, დააბრუნეს ხალხი, მაგრამ ეს აღარაა ის ხევსურეთი, აღარ არიან ნამდვილი ხევსურები. ტალავრიან ხევსურს ვეღარ ნახავთ ხევსურეთში! აღარც ის წესი, აღარც ის ადათი! უმდიდრესი ფოლკლორი! უმდიდრესი კანონთა კრებული! უნიკალური! ფოლკლორისა და კანონთა კრებულზე აღტაცებულნი ლაპარაკობდნენ დიდი ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე...

გარდა ამისა, ჩემს თვალწინ ავარვარდა 9 მარტისა და 9 აპრილის სისხლის კალოები! თქვენ კი მეკითხებით, კომპარტიის წევრი თუ იყავითო!

***– ეროვნულ მოძრაობაში როდიდან თვლით თავს?***

– ბავშვობიდანვე, სხვა პოზიცია, თუ არა ეროვნული, არა მქონია და ამას სულაც არ ვაძლევდი პოლიტიკურ დატვირთვას. ნებისმიერი ერის შვილი თავის ერზე რომ ფიქრობდეს, ოცნებობდეს და ლოცულობდეს, ამაში რა არის მაინცდამაინც პოლიტიკური! მე ერთი პატიოსანი მხატვარი ვიყავი (როგორც პოეტსაც, დრამატურგსაც და ბელეტრისტსაც, ყველას მწერალს ვუწოდებთ, ასეა ჩვენთანაც!), თანაც, პოლიტიკურობის თვალსაზრისით, ბევრჯერ ნაგვემი, არ ვცდილობდი, ცეცხლზე ნავთი დამესხა და მეაქტიურა, მაგრამ 9 აპრილი სრულიად განსხვავებული თარიღია. 9 აპრილმა, ბუნებრივია, ყველა, ვინც არ იყო კომუნისტურ შხამნაჭამი და ისინიც, ვინც განთავისუფლდა ამათგან, ერი გააღვიძა. ესაა ეროვნული მოძრაობის დამსახურება, რომელსაც ზვიადი და მერაბი ედგნენ სათავეში. 9 აპრილს ღრმად თანავუგრძნობდი. იმ ახალგაზრდების სიმამაცე...

***– ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებ, მეუღლე. შვილები...***

– ჩემი მეუღლეა გულნაზი ლორთქიფანიძე. ხელოვნებათმცოდნეა, ხელოვნების ისტორიის მუზეუმში მუშაობს. სხვათაშორის, მამამისს, ივანე ლორთქიფანიძეს, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. დახვრიტეს 1937 წელს. ხოლო მის მეუღლეს, ანუ თქვენს მონა-მორჩილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მეორე აქტზე მაქვს ხელი მოწერილი და, ვიმედოვნებ, არ დამხვრეტენ. ქალიშვილები: ნანა – ფერმწერია, მისი ქალიშვილი ნინო, ახლახან მიიღეს ბალეტში სოლისტად – ნინო ოჩიაური. ხათუნა – არქიტექტორია. ორივენი აკადემიაში ასწავლიან. ოთხი შვილიშვილიდან, ჯერჯერობით, ერთადერთი ვაჟია, გიორგი ზაუტაშვილი.

***– ნელ-ნელა მივადექით ეროვნულ მოძრაობასთან თქვენს დამოკიდებულებას. როდის დაიწყეთ „ეროვნულებთან" აქტიური ურთიერთობა?***

– დიდი აქტივისტი თავის დღეში არ ვყოფილვარ. ჩემს ბუნებაში ჩემს ხასიათში არაა მოწოდება საერთოდ. მაგალითად, პარლამენტისათვის კარგი ორატორობა კარგი რამ არის, მაგრამ, მთავარი მაინც კანონშემოქმედებაა, ისეთი კანონპროექტის შემუშავება, რომელიც ყველაზე ოპტიმალურად იქნება მისადაგებული ქვეყნის ინტერესებთან.

თავიდან, მოგეხსენებათ, ერთადერთი ეროვნული მოძრაობა იყო „სახალხო ფრონტის" სახელწოდებით. ეს გახლდათ ჩამოყალიბებული, არაფორმალური ორგანიზაცია. ლიდერი ზვიად გამსახურდია იყო, ხოლო თავმჯდომარე, რასაკვირველია, ბატონი ნოდარ ნათაძე გახლდათ. იმ პერიოდში საკმაოდ ხშირ-ხშირად მიხდებოდა ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრა, რომელსაც ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობისას ვხვდებოდი ხოლმე მამამისთან, ბატონ კონსტანტინესთან ერთად.

„სახალხო ფრონტში" მაშინ ჩემი ინიციატივით მთელი აკადემია გაერთიანდა. ერთხელ ბატონმა ზვიადმა მკითხა, „ჰელსინკის კავშირში" რატომ არ შემოდიხარო. მივუგე, არ შემიძლია პარტიაში გაწევრიანება-მეთქი. გაკვირვებით შემომხედა: მერე ვინ გითხრა, „ჰელსინკის კავშირი" პარტიააო! მეც არ მიყვარს პარტიულობა, არანაირი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ ცხოვრებაშიო!

მერე მთხოვა მეყარა კენჭი დუშეთის რაიონში, ამ ძალიან საინტერესო რეგიონში. ტერიტორიით ეს რაიონი აჭარის ტოლია. შიგ შედის ისტორიული პროვინციები: მთლიანად ფშავი, მთლიანად ხევსურეთი, გუდამაყარი, ქართლის საარაგვაო და ლიქვანო-მჭადიჯვრის მხარე. ეს რეგიონი ეროვნული მოძრაობისათვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მაშინ გამსახურდია ხელისუფლების სათავეში უეჭველ მოსვლას არ ელოდა. მე ვუთხარი, დუშეთის რაიონი აუცილებლად უნდა მოიგოთ, რადგან აქაა სწორედ ხელისუფლებაზე ზემოქმედებისათვის მეტად სტრატეგიული ბუნებრივი გაზი, სამხედრო გზა და წყალსაცავი. ჰოდა, იყარე კენჭი, მოიგე და იმოქმედეო! კატეგორიული უარი ვთქვი. ეს საქმე იმდენად უცხოა ჩემთვის, ვერაფერს გავხდები და ჩაგიგდებთ არჩევნებს-მეთქი. მერე ბატონი გოგი ხოშტარია მომიგზავნა. იმასაც უარი ვუთხარი, ახლა მეგობრები დამესივნენ, გინდა თუ არა, იყარე კენჭიო. ბოლოს ნოდარ ნათაძემაც მთხოვა. ნათაძე „სახალხო ფრონტს" თავმჯდომარეობდა და სიმპათიურად ვუყურებდი. საერთო მეგობრებიც გვყავდა. ამიტომ ვიფიქრე – ბოლოს და ბოლოს, რა მოხდება-მეთქი და დავთანხმდი.

საინტერესო დეტალი: ზვიად გამსახურდიამ ტელევიზიაში გამოსვლისას გამოაცხადა: გოგი ოჩიაური კენჭს იყრის „სახალხო ფრონტის" სახელით, მაგრამ ისე, ჩვენიაო. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, განა „სახალხო ფრონტიც" ჩვენი არაამეთქი?! ჩემი აზრით, მთავარი იყო, კომუნისტებისათვის გვეჯობნა, თორემ ყველა დანარჩენ პარტიას ნუთუ ერთი მიზანი არა აქვს საბოლოოდ, ეროვნული დამოუკიდებლობა-მეთქი?! თურმე, მაშინაც შეინიშნებოდა რაღაც განსხვავებული ინტერესები, რომელიც მერე და მერე, უფრო და უფრო გაღრმავდა, გაფართოვდა, და ბოლოს, სადამდეც მიგვიყვანა, ქვეყანამ ნახა.

ასე იყო თუ ისე, იმ არჩევნებში გავიმარჯვე, მაგრამ რაოდენ დასანანია, რომ პარლამენტს არ მიეცა საშუალება ნორმალურად ემუშავა და, საბოლოოდ, საერთოდაც განდევნეს.

***– ჩვენ მაგ მომენტს კიდევ მივუბრუნდებით, ბატონო გოგი, რამდენ წევრს აერთიანებს დღეისათვის მხატვართა კავშირი?***

– ორიათასს გადასცდა უკვე. ყველგან და ყოველთვის მხატვარი რაოდენობრივად მეტია მწერალზე. ჩვენი პროფესია ხელოსნობა უფროა. მხატვრობა ისწავლება სასწავლებლებში, ინსტიტუტებში, აკადემიებში. სამწერლო ინსტიტუტი კი არ არსებობს.

***– კავშირის თავმჯდომარედ როდის აგირჩიეს?***

– შარშანწინ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველად ჩატარდა ნამდვილი არჩევნები. განა არ იყვნენ ღირსეუ

*გაგრძელება მე-7 გვ*

ჩრდილოეთ კავკასია

# ჩეჩნეთის მუფთი: „ეს ჯიჰადი კი არა, სიცრუეა"...

*მე-2 გვერდიდან.*

მანებად ჩავთვალო. ისინი უარყოფენ ყველაფერ ახალს, რაც წინასწარმეტყველის სიკვდილის შემდეგ შეიქმნა. უწოდებენ მას „ბიდია". ჩვენთვის კი სწორედ ეგენია „ბიდია", რადგან აქამდე ისინი არ ჩანდნენ. მათთან ძნელია დიალოგის გამართვა, რადგან არავითარ არგუმენტს არ უსმენენ. მათ კონკრეტული მიზნები, ამოცანები, პროგრამა აქვთ და მორჩა.

***– გვითხარით, არსებობენ შეუიარაღებელი ვაჰაბიტები? თქვენ მიგაჩნიათ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც იზიარებენ მათ შეხედულებებს, მაგრამ იარაღის აღებას და ომს არავისთან არ აპირებენ?***

– არა, ყველა ის ადამიანი შეიარაღებულია. მიზნების მისაღწევად ისინი ატყუებენ ადამიანებს, მოისყიდიან მათ. ვინ ამარაგებს მათ? ეს ადამიანები ჩეჩნეთში რუსეთის ტერიტორიის გავლით ჩამოდიოდნენ, თანაც ჯგუფებად. სად იყვნენ რუსეთის ვიზების სამსახური, საბაჟო, მესაზღვრეები. მე ეს კითხვა დავუსვი პუტინსაც. ასე რომ, აქ ბევრი კითხვა და ეჭვი ჩნდება იმის შესახებ, თუ ვინ დგას მათ უკან და რა უნდათ მათ. ჯიხადი? აი, თუ დაღესტნელები შეცვლიდნენ ხელისუფლებას ისევე, როგორც ჩეჩნეთში და რუსები შეიყვანდნენ იქ ჯარს, დაღესტნელები კი შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, მაშინ ეს სულ სხვა თემა იქნებოდა. ახლა კი ისინი თანახმანი არიან იცხოვრონ რუსეთის შემადგენლობაში და გაუშვი, იცხოვრონ. ისინი ნაცლელები არ არიან. მათთან ყველაფერი ნორმალურადაა: ლოცვას არავინ უშლით, მეჩეთი, მედრესე უნდათ, აქვთ, ყველანაირ რიტუალს ასრულებენ. ჩვენ კი მათ, ესე იგი, ისლამურ რესპუბლიკას ვახვევთ თავზე ძალით. არა, ეს პოლიტიკაა, შეკვეთაა, აბსურდია...

***– თქვენ გამორიცხავთ, რომ ბოევიკებს აქვთ რელიგიური მიზნები?***

– მე ამ მიზნებს ვერ ვხედავ. თანამედროვე მსოფლიოში არავინ არავის იარაღით არ ახვევს თავზე საკუთარ რელიგიას. წინასწარმეტყველის დროინდელი ომების შემდეგ ითქვა, რომ ისლამმა შეავსო აუცილებელი სივრცე და რწმენის ძალით გავრცელება არაა მიზანშეწონილი. არის საკითხის პოლიტიკური მხარეც. ისლამში პატივს სცემენ მოლაპარაკებებსა და ხელშეკრულებებს. ბოევიკებს რომ განეცხადებინათ, ვწყვეტთ ხასავ-იურტის ხელშეკრულებას და ომს ვუცხადებთ რუსეთსო, მაშინ კიდევ გასაგები იქნებოდა. თუმცა, ეს ხომ არ მოხდა.

***– თქვენ მასხადოვთან დაახლოებულ ადამიანად მთვლიან, თუმცა თქვენი პოზიცია განსხვავდება ოფიციალური ჩეჩნეთის პოზიციისაგან.***

– არა, ასე არაა. ჩეჩნეთის ხელისუფლებაც ასეთივე შეხედულებებს იზიარებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაღესტანში ჩეჩნეთის ოფიციალური ქვედანაყოფები არ იბრძვიან. იქ იმყოფებიან ჯგუფები, რომლებიც მასხადოვს არ ემორჩილებიან. ხელისუფლები ჩემზე ადრე უნდა გამოსულიყვნენ საჯაროდ და უნდა დაეგმოთ თავდასხმა დაღესტანზე. რატომღაც ეს არ გააკეთეს. აი, საკითხავი ეს არის...

***– რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ შეწყდეს ეს ომი?***

– ამოიშანთოს ის ბოროტება, რომელიც ისლამით ინიღბება და გამოირიცხოს მისი გავრცელება ყველა იმ რესპუბლიკებში, სადაც მშვიდობიანი ცხოვრება სურთ.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი", №36.

*ფრიდონ ინჯია:*

# ძალიან მეშინია იმისა, რომ, თუ ხელისუფლება არ შეიცვალა, უსამართლობის ტენდენცია კვლავ გაგრძელდება...



*მე-5 გვერდიდან.*

ამაღლდეს, განსაკუთრებით პირველი პირებისა. განა დასაშვებია, როცა პედაგოგი ხელფასს ვერ იღებს და განათლების მინისტრი კი თანამდებობაზე რჩება?

აგრეთვე კანონით უნდა ხდებოდეს საბაჟოსა და იმ სტრატეგიული ობიექტების ნაციონალიზაცია, რომელიც საქართველოს კონსტიტუციითაა გათვალისწინებული.

**– *ბატონო ფრიდონ, კვლავ მარტვილის რაიონს და თქვენს ამომრჩევლებს დავუბრუნდეთ. რითი ანუგეშებთ მათ სამომავლოდ?***

– მარტვილი საკმაოდ დიდი რაიონია. აქ სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მეჩაიეობა და მელვინეობა. ეს რაიონი მდიდარია მინერალური წყლებით, აუცილებლად უნდა განვითარდეს ქვის დამუშავება, აბრეშუმი, საკონსერვო მრეწველობა და ა.შ. უცხოელ ინვესტორებს განსაკუთრებით სიმინდის ზეთი აინტერესებთ. მე ვფიქრობ, რომ ამ დარგის აღორძინებისათვის, მის დასაფინანსებლად მოიძებნება ბანკები თუ საინვესტიციო ორგანიზაციები.

საქართველო ყოველწლიურად 100 მილიონამდე დოლარს იღებს დახმარების სახით, რომელთა ნაწილი ფინანსთა სამინისტროს მიღმა შემოდის. თუ ეს თანხა სამართლიანად იქნება განაწილებული და რიგითობის დაცვით წელიწადში თითო რაიონი ერთ მილიონს მიიღებს, შესაბამისად კი სოფლებზეც გადანაწილდება, ეროვნული მეურნეობაც წინ გადადგამს ნაბიჯს.

მინდა აღვნიშნო, რომ რაიონში აღმასრულებელი ხელმძღვანელი აუცილებლად ადგილობრივი მოსახლეობიდან უნდა აირჩეს. მას, აგრეთვე უნდა გააჩნდეს გარკვეული კაპიტალი როგორც ქონების, ისე ცოდნის სახით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ჩამოსული შარვალ-კოსტუმის ანაბარა.

**– *ნათქვამიდან გამომდინარე, თქვენ არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი გაქვთ?***

– ნამდვილად იმედი მაქვს, მაგრამ ბევრი რამაა გასაკეთებელი. თუ მე მოსახლეობამდე მივიტან ჩემს პროგრამას და დავარწმუნებ მის ცოტა უკეთესობაში სხვასთან შედარებით, ალბათ, ამომრჩეველი დამიჭერს მხარს. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ თუ ფრიდონ ინჯია მოვიდა პარლამენტში, ყველაფერი თავისით მოვა. საქმე მხოლოდ ერთობლივი ძალებით კეთდება.

**– *თქვენ აფხაზეთში იარაღით ხელში იბრძოდით, თან საკომუნიკაციო საშუალებების მოწესრიგებაზეც ზრუნავდით, ომის შემდეგ კი აქტიურ დახმარებას უწევდით პარტიზანებს. როგორ გესახებათ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის გზები, რა არის ამისათვის საჭირო?***

– ახალი პარლამენტის უპირველესი საზრუნავი აფხაზეთის დაბრუნება უნდა იყოს, დღეს კი ეს პრობლემა, როგორც ვხედავთ, უკანა პლანზე გადავიდა. მე გავლილი მაქვს ეს ომი და მიბრძოლია კიდეც ყველა გაგებით. ვცდილობ, ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია გავრცელდეს. მივაღწიეთ იმას, რომ იქ კავშირგაბმულობას ჩვენ ვაკონტროლებთ. ასევე უნდა დავიბრუნოთ ჩვენი უფლებები აფხაზეთში გამავალ რკინიგზაზე. დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება კი მხოლოდ სამხედრო გზით მესახება, დანარჩენი ზღაპარია. ზოგიერთს მიაჩნია, თუ აფხაზეთს ეკონომიურად დავიმორჩილებთ, ჩვენსკენ წამოვაო. ესეც მცდარი შეხედულებაა, იარაღით წართმეულს უკან ლანგრით არავინ მოგართმევს.

**– *მასმედიაში არაერთხელ დაფიქსირდა თქვენი და თქვენი ადვოკატების პოზიცია უზენაესი სასამართლოსადმი, რომელშიც მათ ბრალს სდებთ ტენდენციურობასა და გარკვეული დაკვეთის შესრულებაში, რაც საბოლოოდ თურქული მხარის გამართლებაში გამოიხატება. ვის უნდა „ჯეოსელის“ ჩაძირვა და დამატებითი ინფორმაცია ხომ არ მოგეპოვებათ ამ საქმის ირგვლივ?***

– უზენაესმა სასამართლომ ვალერი ხრუსტალის თავმჯდომარეობით ჩაიდინა დანაშაული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამას ალბათ გავარკვევთ, რადგან ბოლო პერიოდში ჩვენთვის საკმაოდ ხელმოსაჭიდი ფაქტები ამოტივტივდა. ეს საქმე ასე ადვილად არ დამთავრდება. ხრუსტალს მხოლოდ სიტყვიერი გაკიცხვა არ ეყოფა, ჩვენს კანონმდებლობაში ადეკვატური ზომები მოიძებნება ასეთი ქმედებებისათვის. დაკონკრეტებისაგან ამჯერად თავს შევიკავებ.

გასათვალისწინებელია, რომ თურქეთის სასამართლო ითვლება როგორც ეროვნული ინტერესების დამცველ სასამართლოდ. მე მოვიკითხე და გაირკვა, რომ სტამბულის სასამართლოზე არც ერთ უცხოელს ჯერ არ გაუმარჯვია. მაგალითად, თურქული კრედიტიდან შულავერის ფაბრიკამ ორნახევარ მილიონად შეიძინა მატყლი, რომელიც სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ამ ფაქტზე აღძრული საქმე ჩვენებმა მოსკოვში მოიგეს. აღმოჩნდა, რომ ეს სასამართლო გადაწყვეტილება სტამბულის სასამართლომ უნდა დაადასტუროს. ეს კი პრაქტიკულად შეუძლებელია. აქ კი, ქართულ სასამართლოში „ჯეოსელის“ სასარგებლოდ ასი კი არა, ორასპროცენტიანი გადაწყვეტილების სწორად მიღება შეუძლებელი გახდა. სირცხვილი იმ ადამიანს, ვინც მოღალატე აღმოჩნდა.

ჟურნალისტების, იურისტების ნაწილი მოითხოვს, ეს მასალები მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს, პროცესში ალბათ საერთაშორისო კლასის იურისტებიც ჩაერთვებიან, რათა დაანახონ ხრუსტალს, თუ როგორი დიდი შეცდომა დაუშვა. შეიძლება დაკვეთითაც იყო. ესეც გამოაშკარავდება, დაუმალავი საქართველოში არაფერია.

**– *რამდენადაც ვიცით, ქალვაჟი გყავთ და ორივე თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. თქვენ ალბათ შეგეძლოთ ისინი უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპის ქვეყნებში ან ამერიკაში გაგეგზავნათ, მაგრამ ქართული სასწავლებლები ირჩიეთ. ეს პატრიოტული მოსაზრების შედეგია თუ სხვა რამ პრინციპისა?***

– კარგი სპეციალობის მიღება საქართველოშიც შეიძლება, მთავარია, ამისი სურვილი გქონდეს. მე შეიძლება ამ საკითხში კონსერვატორი ვიყო და თანამედროვეობას ჩამოვრჩებოდე, გამოცდილების მისაღებად ერთი ან ორი თვით, ალბათ, ყოველთვის შეიძლება წასვლა, სწავლა ვისაც უნდა, აქაც ისწავლის.

**– თქვენი სანუკვარი ოცნება ...**

– ძალიან მინდა, რომ ჩემი, თქვენი შვილები, სრულიად საქართველოს ახალგაზრდები ბედნიერები იყვნენ და საქართველომ მანამ იარსებოს, სანამდეც დედამიწა იქნება, რომ ჩვენს ქვეყანაში ღამსახურებისამებრ ყველამ თავისი მიიღოს.

**– *გაზეთ „საქართველოს“, რამდენადაც ვიცი, სისტემატიურად კითხულობთ. თქვენი მოსაზრება ამ გაზეთზე და რას გვისურვებდით?***

– თქვენი გაზეთი ერთ-ერთი პოპულარულია და მას არა მარტო მე, ათასობით მკითხველი ჰყავს. გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს და ლამაზ პირად ცხოვრებას.

– გმადლობთ.

ესაუბრა
ირმა ურბეხაშვილი

***რედაქციისაგან:***

***„ჯეოსელ“ – „გურტელის“ სასამართლო პროცესების თაობაზე არაერთხელ დაიწერა ქართულ პრესაში და მათ შორის, ჩვენს გაზეთშიც, სადაც საჯაროდ დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია იმის შესახებ, რომ არ შეიძლება უცხო ქვეყნის მოქალაქეები „ვაჯეჯილოთ“ საქართველოში და ქართველ კაცს სიმართლე დავუკარგოთ.***

***ამ შემთხვევაში, როგორც ხშირად ხდება, „წერე და იკითხეს“ პრინციპით მიუდგნენ სასამართლოს მოხელეები და მათი მფარველები პრესის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და თურქების მხარე დაიჭირეს.***

***ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ ახლო მომავალში კვლავ მივუბრუნდეთ ამ თემას და უკვე ჟურნალისტური გამოძიების საშუალებით მოვფინოთ ნათელი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნამოქმედარს, ანუ საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანოთ არა მხოლოდ ცალკეულ მოსამართლეთა, არამედ საერთოდ, რეფორმირებული სასამართლოს შუქჩრდილები.***

*გოგი ოჩიაური:*

# საქართველოს თითქოს განგრევა სჭირს...

*მე-6 გვერდიდან.*

ლი მხატვართა კავშირის თავმჯდომარეები! იყვნენ, როგორ არა! მაგრამ ისინი მაინც დანიშნულნი იყვნენ. ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები შარშანწინ ჩატარდა პირველად.

1992 წლის მერე მხატვართა საზოგადოებას საერთოდ ჩამოვშორდი. უახლოესი მეგობრების გარდა, აღარავის ვხვდებოდი. არ ვიცოდი და ახლაც არ ვიცი, ბევრის პოზიცია და უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩამეგდო, არ ვურთიერთობდი მათთან. ისე, პროფესორი ვარ ქანდაკების ფაკულტეტზე და ლექციებს ვატარებდი. ჩვეულებრივ განვაგრძობდი ჩემს საქმიანობას – პედაგოგობას. რამდენიმე უზრდელს, რომლებიც ჩემთან მაინცდამაინც ახლო არასოდეს ყოფილან, დაგვიანებული სალამი შევნიშნე! ამის იქით არავის გადაულახავს საზღვარი. თუმცა, ერთი რეაქციული გამოხდომაც იყო – აგერ, ახლახან, ვიღაც-ვიღაცეებმა დალეწეს ჩემი სადიპლომო ნაშრომი, აკადემიაში რომ იდგა. „აჯანყება“ ერქვა. ბავშვმა გავაკეთე მაშინ და, ამდენად, ჩემთვის ფასეული იყო.

**– *აა, „1905 წელი“?***

– „905 წელი“ თვითონ შეარქვეს. არანაირი კავშირი არ ჰქონია მას ცხრაას ხუთი წლის რევოლუციასთან! ეს მაშინ უწოდეს ასე იმიტომ, რომ „გასულიყო“!

პროფესორ-მასწავლებლების მხრივ ისევ ისეთ სითბოსა და კოლეგიალურ დამოკიდებულებას ვგრძნობ, როგორც უწინ.

**– *ალტერნატივა თუ გყავდათ მხატვართა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე არჩევნებისას?***

– იყვნენ კი. განსვენებული ჯანბერიძე, გოცაძე და გუნია.

სხვათაშორის, არჩევნებამდე კაი ხნით ადრე, ჩემთან მოვიდნენ ახალგაზრდა მხატვრები და კატეგორიულად მთხოვეს დავთანხმებულიყავი თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატად. მეც ასევე კატეგორიული უარი ვთქვი. მოდიოდნენ კიდევ და კიდევ. ბოლოს, მითხრეს, რა გენაღვლება, იყარე კენჭი, იქნებ ვერც გახვიდეო. მეც გავიფიქრე, ჩემი პოზიციის გამო, ყველაზე ცოტა ხმას მივიღებ და რაღაზე გავჭირვეულდე-მეთქი. დავთანხმდი და მოხდა პირიქით – აბსოლუტურმა უმრავლესობამ მე მომცა ხმა! ძალიან დიდი ანგარიშით მოვიგე არჩევნები.

თქვენ გსმენიათ, რომ შემოქმედებით კავშირებში, ვთქვათ, იგივე მწერალთა კავშირში. თეატრალურ საზოგადოებაში, კინოში, მგონი, მუსიკაშიც, თვითონ შიგნით მოხდა დაპირისპირება. არავითარი ამდაგვარი ჩვენთან არ მომხდარა! საოცარია ასეთი რამ, ან ასეთი დეტალი ავიღოთ: ის ჯგუფი, რომელიც ჩემთან მოდიოდა და დაჟინებით მთხოვდა თანხმობას კენჭისყრაზე და რომელმაც თურმე საკმაოდ იაქტიურა ჩემს მხარდასაჭერად, ერთხელაც აღარ გამოჩენილა ჩემთან, როგორც უკვე თავმჯდომარესთან, რაიმე თხოვნით, ხელმა ხელის დაბანის პრინციპით! არავითარ შემთხვევაში! ეს მეტად მნიშვნელოვანი და მისასალმებელი ფაქტია.

მერწმუნეთ, ისიც არ ვიცი, ჩემსავე ორგანიზაციაში – მხატვართა კავშირში – რომელშიც იმდენივე წევრია, რამდენიც წელიწადი ქრისტეშობიდან დღემდე, ამოდენა ორგანიზაციაში, ვინაა ჩემი პოზიციის მხარდამჭერი და ვინ – წინააღმდეგი, დღემდე არ ვიცი. საერთოდ არ იგრძნობა არანაირი განსხვავებულობა.

**– *თქვენს ძმას, ეტყობა, უფრო ნეიტრალური პოზიცია უჭირავს, არა?***

– არა, არა, ირაკლის ხაზგასმულად და მკვეთრად ეროვნული პოზიცია უკავია. შერიგებისაც არ სჯერა – მტერთან რა შემარიგებსო! ჩემზე კატეგორიული და ჩემზე შეურიგებელია ჩემი ძმა!

**– *ახლა კი, ყველაფერი ის, რისი გახსენებაც შეგიძლიათ იმ ტრაგიკულ დღეებთან დაკავშირებით, 1991 წლის 22 დეკემბერს რომ დაიწყო.***

– დავიწყებ იმით, რომ ჩემს ბიოგრაფიაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღე, რა თქმა უნდა, 26 მაისია! როცა ეროვნული დამოუკიდებლობის დეკლარაციას ხელი მოეწერა. მასზე ხელისმოწერა ძალიან დიდი პატივი გახლდათ ჩემთვის.

მე, ბუნებრივია, კატეგორიული მოწინააღმდეგე გახლდით კომუნისტური მოძღვრებისა, მაგრამ კომპარტიის წევრებში არაერთი და ორი მეგობარი მყოლია. მთავარია, ვინ რას ფიქრობს და აკეთებს საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ვის როგორი დამოკიდებულება აქვს ეროვნულ იდეოლოგიასთან!..

მაგონდება, 28 ოქტომბრის არჩევნების წინ, აკაკი ბაქრაძის ინიციატივით თათბირზე შევიკრიბენით. წაგვიკითხეს დეკლარაცია – „მიმართვა ქართველ ხალხს“. ტექსტი, დაახლოებით ასეთი იყო: ყოველი ღონე ვიხმაროთ ჩვენი მიზნის მისაღწევად: კომუნისტების ოთხასიათასიანი არმიიდან არცერთი არ მოხვდეს მომავალ პარლამენტში! სხვათაშორის, ახლანდელი შემზარავი ტერმინი რომ ვიხმაროთ, შეკრებილი გახლდათ „ელიტარული ინტელიგენცია“. ვინც ახლა ბულაპუტჩისტია, ყველა იქ იყო! ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, უხერხული მდგომარეობა.

მივეცი საკუთარ თავს უფლება, რომ მეთქვა შემდეგი: მართალია, მე არა ვარ კომუნისტური პარტიის წევრი, მაგრამ ამით სულაც არ ვკკლუცობ. პარტიაში მყავს მე მეგობრები, რომლებისთვის სულერთი როდია ჩვენი სამშობლოს ბედი. როგორ თვლით მათ ხალხის მტრებად?!

ჯერ ერთი, ამით ძალაუნებურად უწყობთ ხელს ერის გახლეჩას. ამ 400000 კაცს ოჯახები ჰყავთ, ცოლ-შვილი, მოყვარე-მძახლები, დეიდაშვილ-მამიდაშვილები. ეს ნახევარი საქართველოა! როგორ დავუპირისპიროთ ამოდენა ლაშქარი უპარტიოთა არმიას-მეთქი!..

ადგა თამაზ ჭილაძე და მითხრა: ცივმა ოფლმა დამასხა, არ ვიცოდი, რას იტყოდი და შენ აგაშენა ღმერთმაო! როგორ, ხალხო, მე ვარ თქვენი მტერი?! ჭაბუა ამირეჯიბიც ქიწრებოდა თათბირს.

დღევანდელი გადასახედიდან ეს დიდი პროვოკაცია გახლდათ, მაგრამ საოცარი ისაა, რომ, როგორც მერე გაირკვა, ჩემსა და გიორგი შენგელაიას გარდა, თათბირის ყველა მონაწილე კომუნისტური პარტიის წევრი ყოფილა!

ნეტავი ვინმე იტყოდეს, რომ ბატონ ზვიადს ისეთივე აგდებული დამოკიდებულება ჰქონდა კომპარტიის წევრებთან, როგორც თავად პარტიულებს ახასიათებდათ სხვების მიმართ!

მაგრამ, როცა პარლამენტის კომუნისტმა დეპუტატებმა გეკაჩეპეს გაუგზავნეს მისალოცი დეპეშა, ზვიადმა მათ თავაზიანად უთხრა: ვინაიდან თქვენ გეკაჩეპეს უჭერთ მხარს, ესე იგი, ჩვენს ხელისუფლებას გმობთ და, მგონი, უხერხული უნდა იყოს, ისევ პარლამენტში თქვენი დარჩენაო!.. თუმცა, ერთიც დაუმატა (ეს ყველაფერი ტრანსლაციის დროს ითქვა პირდაპირ ეთერში და, ვისაც უნდა, გაიხსენებს!): თქვენს შორის კარგი პროფესიონალი და მაღალზნეობრივი პიროვნებებიც არიან და, თუ მათი სურვილი იქნება, სიამოვნებით დავასაქმებდითო!

**– *კი მაგრამ, ბატონო გოგი, გეკაჩეპეს, კომუნისტებმა კი არა, თვითონ პრეზიდენტმა გამსახურდიამ დაუჭირა მხარი და დღედაღამ სულ კრემლთან ჰქონდა სატელეფონო კავშირიო, – ამტკიცებენ ყოფილი ოპოზიციონერები, განსაკუთრებით კი, ბატონები: თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი.***

– ბლეფია ეგა!

**– *გამსახურდიამ უსულგულოდ გაიმეტა გასანადგურებლად ეროვნული გვარდია, როდესაც ის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდებარაო.***

– მხოლოდ ლოგიკური აზროვნების დეფიციტით თუ აიხსნება ეგ აბსურ-

*გაგრძელება მე-8 გვ.*

ინტერვიუ

*გოგი ოჩიაური:*

# საქართველოს თითქოს განზრენა სჭირს



*მე-7 გვერდიდან.*

დული მტკიცება! გვკაჩეპე და მისი „პირველი სკრიპკა" გენადი იანაევი, საქართველოს ეროვნულ გვარდიას, რკონში კი არა, ქვესკნელშიც რომ გადამალულიყო, მაშინაც გაანადგურებდა, თუ მართლა აღდგებოდა საბჭოთა კავშირი! ხოლო, თუ გვკაჩეპე დამარცხდებოდა, პრეზიდენტმა ეს რამდენიმეჯერ გაიმეორა, გვარდია ისევ გამოვიდოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებიდან. რომელი გაუნათლებელი გლეხი ვერ გაიგებს ამ მარტივ აზრსა! რა ექნა საქართველოს პრეზიდენტს, დალოდებოდა იმ მომენტს, როცა იანაევი ჩვენს გვარდიაზე დარტყმის ბრძანებას გასცემდა?!

პუტჩისტების ასეთი ალოგიკური მსჯელობა ძალიანა ჰგავს კრილოვის არაკის მორალს: „მე შენი შეჭმა რომ მინდა, მიზეზად ესეც კმარაო!"

ერთ დეტალსაც ვიტყვი საქართველოს პირველი პრეზიდენტის დასახასიათებლად, რათა მასზე, შეძლებისდაგვარად, სწორი წარმოდგენა იქონიოს ყველამ, ვისაც ამის სურვილი აქვს, რასაკვირველია!

ბატონ პრეზიდენტს მიმართეს სუკის ყოფილმა აგენტებმა: ბატონო ზვიად, ადრე თუ გვიან, თქვენ შეიტყობთ, რომ სუკთან ვთანამშრომლობდით, მაგრამ ქვეყნის საზიანოდ ნაბიჯი არასოდეს გადაგვიდგამს და ხომ არ გვაგებინებთ პასუხსო.

აწი შევიტყობ კი არა, ყველას ვინაობა ვიცი, მაგრამ, ეგ არაფერი, თქვენ თქვენი სამსახური გქონდათ და ემსახურებოდით იმპერიას, ახლა დამოუკიდებელი გახდა ჩვენი სამშობლო, თქვენი პროფესიის ხალხი ჩვენთვისაც გამოსადეგია, ვისაც სუფთა გული და ხელები გაქვთ, შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ, იმუშავეთ და ემსახურეთ თქვენს ქვეყანასო.

მე პირადად მომიყვა თავის შესახებ ერთი ზუგდიდელი სუკის მუშაკი. მივედი პრეზიდენტთან და ვთხოვე, რაიმე ძნელად შესასრულებელი დავალება მომეცით, დავამტკიცო მინდა, რომ ერთგული კაცი ვარო. მართლაც, ისეთი საქმე დაავალა თურმე პრეზიდენტმა, რომლის შესრულებასაც ჭეშმარიტად დიდი ვაჟკაცობა სჭირდება. შეასრულა პირნათლად იმ პიროვნებამ ის დავალება! მოვა, ალბათ, დრო და თავადვე იტყვის ყველაფერს საჯაროდ.

***– ბატონო გოგი, რას იტყოდით მერაბ მამარდაშვილის თეზაზე, რომ მისთვის „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღალი ცნებაა"?***

– ძალიან გთხოვთ, ისევე დაწერეთ და გამოაქვეყნეთ, რასაც ახლა გეტყვით: რად მეკითხებით, ხომ იცით, რასაც გიპასუხებთ! ამიტომ, რომ ... აქ სხვა აზრი არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს! სისულელეა!

სხვათაშორის, მან ისიც ბრძანა – თუ გამსახურდიას ხალხი მაინც აირჩევს, მე ხალხის წინაალმდეგ წავალო! რა ვქნათ ახლა, ამ პროფანაციასაც დავურთოთ კომენტარი?!

***– არა, რა თქმა უნდა, უკომენტაროდაც ჩანს აზრის წინასწარგანწირულობა. საოცარი ისაა, რომ ელცინმა მართლა უფსკრულის პირას მიიყვანა უზარმაზარი სახელმწიფო და, არც ერთი არჩევნების წინ, ზიუგანოვი რომ ზიუგანოვია, არ უთქვამს რუს ხალხზე ასეთი რამ! არც ლებედს, სხვათაშორის!***

***ბატონო გოგი, „ესენი" ამტკიცებენ, რომ გამსახურდიას გვარდიის მებრძოლებს, დაცვის ხალხს, თვითონ არ დაეწყოთ სროლა, ჩვენ პირველად არავითარ შემთხვევაში არ ვისროდითო!***

***თქვენ, როგორც ბრძანებთ, წინა დღეებში „ბუნკერში" იყავით. რამდენად შეესაბამება ეს მტკიცება სიმართლეს?***

ეს ხომ აბსოლუტურად გონებადაქვეითებული ხალხის განცხადებაა, ასევე გონებადაქვეითებულ ხალხზე გათვლილი! ამას არც უნდა პასუხი! შეიძლება ვთქვათ, მაგალითად, ელცინს ხალხმა პირველად „თეთრი სახლიდან" ესროლეს ტყვიაო?! არ მალავს ელცინი ამას და არც ამბობს, გვესროლა პირველად ვინმემო!

ელცინიც რომ ვაჟკაცობაში გაჯობებს!..

თუ ამათთვის ამდენად სამარცხვინოა ეს საქციელი, მაშინ რაღაზე ესროლეს და, თუ არაა სამარცხვინო, მაშინ ეთქვათ: ვერ ავიტანეთ გამსახურდიას პოლიტიკა და ვესროლეთო! კი მაგრამ, მარტო იმის მოტივით გადაატრიალეთ სახელმწიფოს ხელისუფლება, რომ ვიღაცამ თოფი ისროლა?! იქნებ პროვოკატორი იყო!

უნდა გქონდეს ელემენტარული კაცური ღირსება, რომ თქვა: მე მივედი და გავუხსენი ცეცხლიო!

***– ბატონო გოგი, 22 დეკემბერს თქვენ სად ბრძანდებოდით, შინ, თუ...***

– შინ ვიყავი, წინა დღეებში ჩვენ, დეპუტატებს გვითხრეს, რომ მორიგეობა იყო საჭირო მთავრობის სახლში. მეც მოვიხადე ვალი და წავედი. სხვათაშორის, მაშინ გავიცანი პირადად ნემო ბურჭულაძე.

22-ში დილით ჩემთან ჩემს სიძეს უნდა გამოევლო და საქმეზე უნდა წავსულიყავით. ამიტომ შინ ვიყავი. 8-ის ნახევარზე გამოვედი ქუჩაში და ველოდები. უცებ ჩვენი მეზობელი, ფერიდე მანაგაძე მეუბნება: შენ რატომ ხარ აქ, სასახლეს ესვრიანო! სახლში არ ამოვსულვარ. პალტო ჩამომიტანეს ქვემოთ, ჩავიცვი და გავვარდი, რომ სირცხვილი არ მეჭამა. ძლივს შევაღწიე სასახლეში. ფანჯრიდან ვხედავდით – როგორ ისროდნენ ჩვენგან პირველი საშუალო სკოლის სახურავიდან სნაიპერები! გამოვიდა შეშფოთებული ზვიადი და გაიჭრა ფანჯრებისაკენ, დამანახეთ ერთი, ვინ არიან ეგ თახსირებიო! მაგრამ დაცვის ბიჭები არ ანებებდნენ.

სხვათაშორის, როდესაც ზემო მხრიდან, სადაც ახლა პარლამენტში შესასვლელია, მივადექით სასახლეს, ფოიეში ბევრი მილიციელი იდგა. ბევრი საკმაოდ. რატომ იდგნენ 8-ის ნახევარზე იქ და რას ელოდნენ, არ ვიცი. თურმე, ნელ-ნელა იპარებოდნენ. როცა ჩამოვედი, მათი ლანდი აღარ იყო. სულ რამდენიმე წუთში გაქრნენ... ახლაც ვერ ვხვდები, რა მიზნით იყვნენ ისინი იქ!..

ზვიადის კაბინეტი, როგორც მახსოვს, მეშვიდე სართულზე იყო. პირველი ტყვიები ზვიადის კაბინეტს დაუშინეს თურმე, როგორც დაცვის ხალხმა დაადასტურა.

ცოტა ხანში, ოდნავ რომ შესუსტდა სროლა, ძირს ჩავედით, ვესტიბიულში, იქ ვნახე დეპუტატები, ვინც მორიგეობდა: ნოდარ წულეისკირი, გურამ პეტრიაშვილი, ირაკლი ჩხეიძე... სამწუხაროდ, ახლა ვერ ვიხსენებ სხვებს, ავღელდი ცოტა ამის მოგონებით... ყველამ ვიცოდით, რომ ტყვია უთავდებოდათ სასახლეში მყოფ დაცვის ბიჭებს. ერთი ძალიან ლამაზი, მოხდენილი ვაჟკაცი იყო... ვიცი მისი გვარი, მაგრამ არ ვამბობ... რა ვიცი, იქნებ თვითონ არ სურს გამხელა! ფანჯრიდან ფანჯრამდე დარბოდა და მარტოკა ისროდა, რომ შთაბეჭდილება მოეხდინა, ვითომც ბევრნი ვართო!.. როცა იმასაც გამოელია ვაზნები, იმ მილიციელებთან მივარდა, მჭიდები გამითავდა, მომეცითო! არავინ მისცა. მერე ჩვენთან მოვარდა – დეპუტატებო, უთხარით ამ ხალხს, რაღაი არ ისვრიან, მჭიდები მაინც მომცენო! თორემ, საცაა, გარედან შემოვლენო! მახსოვს, ეს ბიჭი დაიჭრა და გაიყვანეს მერე.

ერთ დღეს გამოვედი სასახლიდან და ჯაბა იოსელიანს შევუთვალე ზურა ქუთელიას და ზელიმხან ოჩიაურის პირით, რომ სეიფს და მუზეუმს ყარაულები დაუყენოს, თორემ ხელოვნების მუზეუმში კრიმინალები „საშოვარს იშოვნიან" და პასუხისმგებლობა შენზე იქნება-მეთქი. სხვათაშორის, მადლობა შემომითვალა ჯაბამ. მერე მაცნობეს, რომ ომონი დაუყენებიათ იქ პოსტზე. ახლა ამან ამაფორიაქა: ვაითუ ჯაბას გაგზავნილი ხალხი ომონელებმა ბანდიტებად ჩათვალონ და სისხლი დაიღვაროს-მეთქი!

სასახლიდან ია მუხრანელის ვაჟმა გამომიყვანა მანქანით. ის ახალგაზრდა მერე მოკლეს. შესანიშნავი ბიჭი იყო. მერე მოხდა ისე, რომ ვერ მოვახერხე იასთვის მისამძიმრება. ტელეფონი გამორთული გვქონდა, ყოველდღე დარბევის მოლოდინში ვიყავით. ერთხანობას საერთოდ გავიხიზნეთ სახლიდან. აქაურობას ორი ჩემი მეგობარი იცავდა. ხევსური, ერთიც გურული. თავი დადეს, ფაქტობრივად, ჩემი ოჯახის გულისთვის.

ერთი სიტყვით, ისე აწიოკებული ვიყავით, რომ იმ ცხელ გულზე ვერ მოვახერხე ქალბატონ იასთან მისვლა და მისამძიმრება. მერე, უბრალოდ, მეუხერხულა, დრო რომ იყო ბევრი გასული. თუ, ვინიცობაა, ამ მასალას წაიკითხავს, გაზეთიდან ვუცხადებ უღიდეს თანაგრძნობას და ნათელში ამყოფოს იმ ანგელოზივით ახალგაზრდის სული!

პირველი შთაბეჭდილება, როდესაც სასახლიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოვედი, ძალიან მძიმე იყო. მანქანით წავედით ფუნიკულიორის გავლით, ე.წ. „მეავანაძის გზით". რუსულ ელჩისასთან ოდნავ შევყოვნდით. სასახლეს ბოლო ასდის, იწვის ქალაქის გული, არის ბათქაბუთქი, აქ კი ჩვეულებრივი მოქალაქეები, ობივატელები დგანან, მზესუმზირას აკნატუნებენ და მშვიდად უყურებენ ყოველივე ამას. ერთი ზურგშექცევითაც კი იდგა! ეს დამთრგუნველი სანახაობა გახლდათ! ერთგან მანქანით გივი კარტოზიამ და მელიტა იოსელიანმა ჩაიარეს. ძალიან გაუკვირდათ, რომ დამინახეს.

საოცარ სულმოკლეობას წავაწყდი ჩემს ირგვლივ მყოფ საზოგადოებაში; ამ მიტოვებულ ოჯახს, არც მოუარეს, არც მიხედეს, ორი-სამი ჩემი ახლო მეგობრის გარდა! არ ველოდი ასეთ გულცივობას, მაგრამ, ალბათ, ეშინოდათ კიდევაც. არ ვიცი. მე უმეგობროდ პურს ვერ ვჭამდი სახლში. ყველა მიყვარდა, ყველას თავს ვევლებოდი და, მეგონა, ისინიც ასე იყვნენ ჩემდამი განწყობილნი. მაგრამ არა! ამიტომ ბევრი დავკარგე ჩემი ახლობლებიდან. ეს ჩემთვისაც ტრაგედიაა და მათთვისაც, მაგრამ რას ვიზამ, მთაში ნაზარდი კაცი კაცურ პრინციპებს ვერ ვთმობ.

***– ბატონო გოგი, ახლა სადღეისო პრობლემებსაც მივხედოთ. როგორც ამას წინათ ტელევიზიაში გამოსვლისას ბრძანეთ, კენჭს იყრით „დიდგორის" სიით. მაგრამ, რასაკვირველია, პარტიის წევრი არ ბრძანდებით. თქვენ თავიდანვე არჩევნებში მონაწილეობის მომხრე იყავით თუ ახლა ხედავთ ამის აუცილებლობას თუ საჭიროებას?***

– ჩემი აზრით, ყველა პარტია, რომელიც ეროვნულ ძალებს აერთიანებს, ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს – ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლას სისხლისღვრის გარეშე! იმისათვის, რომ ერი გამთლიანდეს, ხელისუფლება უნდა იძლეოდეს, მარტივად თუ ვიტყვით, მაგალითს! მართალია, ეროვნული მსოფლმხედველობის მქონე პარტიები, ცოტა არ იყოს, დაქსაქსულია, მაგრამ მაინც იმედია, რომ ქართველი ამომრჩეველი მათ ყველას მისცემს ხმას, მიუხედავად იმისა, რომელ ალიანსსა თუ ბლოკში არიან გაერთიანებულნი. ჩვენი საამაყო, ჭეშმარიტად ეროვნული პოეტი, მუხრან მაჭავარიანი, აღორძინების ბლოკშია, ასევე ეროვნული სულიკვეთების მწერლები: ნოდარ წულეისკირი და მამუკა წიკლაური, ჩვენთან არიან. „სახალხოსა" და „დიდგორის" ბლოკში, ვნახოთ! არჩევნები კარზეა მომდგარი და იქნებ მართლაც გამოიჩინოს ჩვენმა ხალხმა სიფხიზლე და ეროვნულ ძალებს კიდევ ერთხელ ენდოს. შეცდომებს ნაღდი პოლიტიკოსები იშვიათად იმეორებენ!

ესაუბრა
ბიზო ზარნაძე

# ვინ გვყავს ასარჩევი, ანუ ვინ ვინ არის

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №37

საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაინც საღად აზროვნებს და კარგად ხედავს მის ჭირთა შიგან ჩამგდებს. ხალხის ამ ნაწილის ხმებისათვის იქნება გადამწყვეტი ბრძოლა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, თუკი ისეთ სერიოზულ მოწინააღმდეგესთან დაპირისპირება, როგორც მოქალაქეთა კავშირია, მოხდებოდა ძირითადი ოპოზიციური პარტიების ერთობლივი ფრონტით, მაგრამ ეს სხვადასხვა მიზეზთა გამო არ მოხერხდა, რაც არჩევნებში მათ შანსებს ძალიან ამცირებს, მითუმეტეს, როცა საარჩევნო ბარიერი 7%-მდე გაიზარდა. ასეთი მაღალი ბარიერი ოპოზიციური პარტიებისადმი მიცემული ხმების დაკარგვის რეალურ საშიშროებას ქმნის, რასაც უპირატესად ისევ მოქალაქეთა კავშირი გადაინაწილებს. ამჟამინდელი 7%-იანი ბარიერი მოქალაქეთა კავშირს უკეთეს მდგომარეობაში აყენებს, რის გამოც ამგვარი საარჩევნო კვოტის დაწესება მის წისქვილზე ასხამს წყალს. ასე რომ, ამ შესწორების ინიციატორებს, თითქოს კეთილი მიზნები ჰქონდათ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების გამსხვილებისთვის შეეწყოთ ხელი, მაგრამ რადგან არ მოხდა ოპოზიციური პარტიების რეალური გამსხვილება, ეს შესწორება შესაძლოა ბუმერანგივით მოხვდეს მისივე მხარდამჭერებსა და ინიციატორებს.

ოპოზიციური გაერთიანებებიდან მოქალაქეთა კავშირის კონკურენტად მიჩნეულია საარჩევნო ბლოკი „საქართველოს აღორძინება-21-ე საუკუნე, რის გამოც იგი არჩევნებში გამარჯვების ნომერ მეორე კანდიდატად შეიძლება ვაღიაროთ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ საარჩევნო ბლოკში გაერთიანდნენ საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური პარტიები, კერძოდ: სოციალისტური პარტია, ტრადიციონალისტთა კავშირი და აღორძინების კავშირი, რომლის გვერდითაც ზვიადისტური მოძრაობის ერთი ფრთაც აღმოჩნდა ბოჭორიშვილის მეთაურობით. ამას თუ დავუმატებთ ცნობილ ეროვნულ მოღვაწეებს, ბატონებს მუხრან მაჭავარიანს და რევაზ მიშველაძეს, ელიზბარ ჯაველიძეს რომლებიც აღორძინების ბლოკის სიებში გაერთიანდნენ, მაშინ ცხადი ხდება, რომ აღნიშნული საარჩევნო ბლოკის გამარჯვების შანსები ბევრად იზრდება.

ამ ბლოკის მთავარ ძალად მიიჩნევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი ასლან აბაშიძე. აქედან გამომდინარე, ბლოკს ბათუმურ ალიანსაც უწოდებენ და მის ლიდერად ასლან აბაშიძეა აღიარებული. თავისთავად ცხადია, ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლო ბერკეტები, ანუ ფული და ძალაუფლება ამ ბლოკს საკმაო ძალას მატებს, რასაც კიდევ აძლიერებს ასლან აბაშიძის, როგორც ლიდერისა დ ქვეყნის მმართველის ხალხის ცნობიერებაში დამკვიდრებული იმიჯი, რომელიც მეტოქეობას უწევს პრეზიდენტ შევარდნაძის იმიჯსა და სახელს, მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მმართველი პარტია ბათუმის ხელისუფლების წინააღმდეგ წარმართავს კომპრომატებით ბრძოლას, ცდილობს ამ მეთოდით საარჩევნო ბლოკის სახელით გატეხვას და მისი მაღალი რეიტინგის დაქვეითებას. განსაკუთრებით ხშირ-ხშირად ახსენებენ საქართველოს სანაოსნოს ფინანსურ მდგომარეობას, რაშიც უკანასკნელ ხანს აშკარად სდებენ ბრალს აჭარის ხელისუფლებას და მის ლიდერს ბატონ ასლან აბაშიძეს, ამავე დროს, გაიძახიან, რომ ეს პოლიტიკას არ ეხება და ეს ჩვეულებრივი კრიმინალიაო, არადა, ეს კეთდება კარსმომდგარი არჩევნების წინ, რაც უბრალოდ, ძნელი დასაჯერებელია. საქართველოს პროკურატურამ გამოაცხადა ათ კაცზე დაპატიმრების სანქციის გაცემა, ხოლო პროკურატურის გამომძიებელმა ზურაბ ცინცაძემ პრესკონფერენციაზე დაუფარავად თქვა, განა ასლან აბაშიძეს არ უნდა სცოდნოდა, თუ საიდან ირიცხებოდა ბათუმში ასიათასობით დოლარიო. ეს უკვე აჭარის ლიდერისადმი პირდაპირ ბრალის დადებას ნიშნავს, რაც ამ უკანასკნელის მიერ უნდა იქნას აღქმული გაფრთხილებად, რომ თუ იგი განაგრძობს აქტიურ საარჩევნო კამპანიას, მაშინ ამ სიტყვიერ ბრალდებას მოჰყვება შესაბამისი ქმედებაც. ასლან აბაშიძეს ორი გზა დარჩენია, ან უნდა შეწყვიტოს აქტიური ოპოზიური ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და ენდოს მის მოწყალე გულს, რომ ამის შემდეგ ხელს არ დააკარებენ, ან პირიქით, უნდა იმოქმედოს პრინციპით, რომ თავდასხმა თავდაცვის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა და არჩევნებში გამარჯვებისთვის ბრძოლა გააძლიეროს, რაც წარმატების მეტ შანსს მისცემს და შედეგად ბრალდებულისა და ბრალეულის როლები შეიძლება გაიცვალოს კიდეც.

ასე რომ, მოქალაქეთა კავშირსა დ ბა-

*გაგრძელება მე-11 გვ.*


ირაკლი ჯიქურაშვილი

**რუბრიკა – გზა საქართველოს პარლამენტისაკენ...**

# ამომრჩეველს ვპირდები, რომ ვიქნები გულწრფელი...

***– ბატონო ირაკლი, რატომ გადაწყვიტეთ ხაშურის რაიონში გეყარათ კენჭი მაჟორიტარი დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად?***

– ხაშურთან მრავალი წლის ურთიერთობა მაკავშირებს. მაგრამ მარტო ამით არ არის გამოწვეული ჩემი არჩევანი. ვინაიდან ამ არჩევნებზე ბევრი რამეა დამოკიდებული, ჩემს მოქალაქეობრივ ვალად ვთვლი ვიყარო კენჭი ხაშურში მაჟორიტარი დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად. პარლამენტში უნდა მოვიდნენ მტკიცე და გარკვეული პოზიციის მქონე ადამიანები, რომლებიც დიდ ტვირთს იტვირთავენ მომავალი საქართველოსათვის.

***– ყველა დეპუტატობის კანდიდატი „ოქროს ქარვასლებს" პირდება ამომრჩეველს. გამონაკლისი, ალბათ, თქვენც არ იქნებით. რას პირდებით ხაშურის რაიონის მოსახლეობას არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში?***

– ბევრ რამეს პირდებიან, ერთჯერად დახმარებებს ფქვილის, შაქრის და ა.შ. პროდუქტების სახით. მე ჩემს ამომრჩეველს, რაიონის მოსახლეობას ვპირდები, რომ ვიქნები მათ წინაშე გულწრფელი. ოქროს კოშკებს ნამდვილად ვერ ავუშენებ, დღეს დეპუტატების ამორჩევა ამ ნიშნით არც უნდა ხდებოდეს. ხალხი უნდა ირჩევდეს დეპუტატს არა იმ ნიშნით, ვინ რას დაპირდება კონკრეტულს, ერთჯერადს, არამედ ხვალ ვინ უფრო დასჭირდებს საქართველოს, თავის რაიონს.

მე მაქვს ჩემი რეალური მოსაზრებები, რომლითაც წარვდგები ამომრჩევლის წინაშე. ხაშურთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტები ხორციელდება – აბრეშუმის დიდი გზა, ნავთობის პროექტი. ხაშურის გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთია, რომ ყველა პროექტი მეტნაკლებად მასთან უშუალო შეხებაშია. მე ვფიქრობ, რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა გამოვნახოთ საშუალებები, რომ ამ პროექტების განხორციელების პროცესს რაღაცნაირად მივაბათ რაიონის პრობლემები, უნდა განვითარდეს ინფრასტრუქტურა, შეიქმნას სამუშაო ადგილები და ა.შ. ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება ძალიან ბევრი საინტერესო პროგრამა – განათლების, ჯანდაცვის, მუნიციპალური სისტემებში, მუშაობს სოციალური ინვესტიციების ფონდი. უნდა გამოვნახოთ საშუალებები, რომ ჩვენი ორგანიზაციები რაღაცნაირად ჩავრთოთ ამ პროგრამაში. ბევრი საკითხი არ წყდება იმის გამო, რომ, ელემენტარულად, არ ვიცით, რა მუშაობს. დღეს ახალი სიტუაციებია, ახალი პირობებია და საჭიროა ჩვენი პრობლემები კარგად წარმოვაჩინოთ, მივიტანოთ ჩვენი სატკივარი, სადაც საჭიროა იქ.



მე მაქვს ერთი ჩანაფიქრი ენერგეტიკასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რეალური საფუძველი აქვს ამას, მაინც მიჭირს მასზე საუბარი. ეს არის საინტერესო პროექტი, რომელიც დიდ სიკეთეს მოუტანს ხაშურს და არა მხოლოდ მას. ეს დაპირებებში არ შედის.

მე კონკრეტულს მოსახლეობას არაფერს ვპირდები, გულწრფელობის გარდა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩვენი მოსახლეობის სატკივარი მივიტანო ხელისუფლებამდე და მაქსიმალურად იყოს მხარდაჭერა იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც იმ შესაძლებლობებში აღმოჩნდება, რაც ქვეყანას შეეძლება.

***– მეწარმეები, ბიზნესმენები ცდილობენ პოლიტიკაში მოსვლას. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს?***

– უნდა იყოს კეთილსინდისიერი ბიზნესი. მეწარმეებმა უნდა გადაარჩინონ ქვეყანა, მაგრამ მათ პოლიტიკოსებმა უნდა შეუწყონ ხელი. უნდა იყოს სწორი საგადასახადო სისტემა. ადგილობრივი წარმოება ვითარდებოდეს, შემდეგ ყველაფერი დარეგულირდება – ბიზნესმენები ბიზნესს გააკეთებენ ქვეყნის ინტერესებისათვის და საერთოდ, ყველა თავის საქმეს გააკეთებს.

ბიზნესმენებმა თავისი ურთიერთობა სახელმწიფოსთან უნდა მოაგვარონ და მერე იფიქრონ პოლიტიკაზე. პოლიტიკოსებმა კი კეთილსინდისიერად ხელი უნდა შეუწყონ ბიზნესის განვითარებას. პარლამენტში უნდა მოვიდნენ ეროვნული, ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანები, რომლებიც არიან შეუვალნი და ვინმეს ზეწოლით ან დაინტერესებით არ მოახდენენ ისეთი კანონების ლობირებას, რომელიც საბოლოო ჯამში ხელს არ შეუწყობს ჩვენი ქვეყნის საერთო და ეკონომიკურ წინსვლას.

***– თქვენ დღეს შევბულებაში ბრძანდებით. სამსახურში ყოფნის დროს რა გააკეთეთ ქვეყნისთვის, ხალხისთვის?***

– სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ ბევრი საკითხი ვერ გადაწყდა, პრობლემები არსებობს. ვერ დავიკვეხნი, რომ ბევრი რამე გავაკეთე, ძირითადად ეს განაპირობა ქვეყნის მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ ბევრ სფეროში. კორუფციის და ადამიანთა ერთი ჯგუფის მიზეზით, რომლებიც საკმაოდ გავლენით სარგებლობენ საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში, ვერ ხორციელდება ბევრი გადაწყვეტილება. არადა, ამას ელოდება ხალხი. თუ დეპუტატი ვერ გავხდი, მე აუცილებლად დავბრუნდები ჩემს სამსახურში და ბევრ კორექტივს შევიტან ჩემს საქმიანობაში.

***– ხაშური ერთ-ერთი დიდი სამრეწველო ქალაქია საქართველოში, სადაც ბევრი საწარმოა, რომლის ნაწილი გაჩერებულია. ახლა ფაბრიკა-ქარხნებს, საწარმოებს უცხოელი ინვესტორები იძენენ...***

– პირველ რიგში, უნდა გადაწყდეს ქვეყნის ინტეგრაციის გაღრმავება საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში.

ქვეყანაში უნდა დამყარდეს რეალური მშვიდობა, რომელიც იქნება გარანტი უცხოელი ინვესტორების მოსვლის, მაგრამ სანამ უცხოელები მოვლენ, ჩემი აზრით, უნდა გადაიხედოს პრივატიზებული საწარმოების მდგომარეობა. ვინ როგორ შეასრულა იქ არსებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, არ უნდა შეეცვალათ პროფილი, უნდა შეენარჩუნებინათ სამუშაო ადგილები. ბევრი პრობლემის გადაწყვეტა ადგილობრივი რესურსებით და იმ კონტრაქტორებთან ურთიერთობის გარკვევითაც შესაძლებელია. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, პანაცეა არ არის. აუცილებელია უცხოელი ინვესტორები.

ჩვენთან ძალიან დიდი პერსპექტივებია კვების მრეწველობის საწარმოების ამუშავებით. როგორ შეიძლება საქართველო გამოტენილი იყოს ხილისა და ბოსტნეულის უცხოური კონსერვებით, როცა ასე მდიდარი ბაზა გვაქვს. ხაშურში 14-15 ათასი ტონა ხილი, 4 ათასი ყურძენი, 10-12 ათასი ტონა ბოსტნეული მზადდებოდა. როგორ შეიძლება ეს პოტენციალი არ გამოვიყენოთ. ადგილზე გვაქვს სანედლეულე ბაზაც და ქარხანაც. პარლამენტმა სწორედ ადგილობრივი წარმოების აღორძინებას უნდა შეუწყოს ხელი. ამასთანავე უნდა შეზღუდოს იმავე ნედლეულის იმპორტი. ერთი და ორი კაცის გამდიდრებისათვის არ უნდა ხდებოდეს საგადასახადო კოდექსში დათმობები.

***– ბატონო ირაკლი, საქართველოში არის ორი უდიდესი ტკივილი – აფხაზეთი და სამაჩაბლო. როგორ ფიქრობთ, ახალი პარლამენტი შეძლებს ამ პრობლემის მოგვარებას?***



– საქართველოში ვერც ერთი კაცი ბედნიერი ვერ იქნება, რაც უნდა ეკონომიკურად, მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს, სანამ საქართველო გამთლიანებული არ იქნება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს პოლიტიკური და დიპლომატიური გზებით. მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდა, უნდა ამოქმედდეს გაეროს წესდების მე-7 პუნქტი – ძალის მეშვეობით ქვეყნებში მშვიდობის დამყარების თაობაზე. ეს ჩვეხჩა თაობამ აუცილებლად უნდა გააკეთოს, რათა ჩვენმა შვილებმა ერთიან საქართველოში იცხოვრონ. მე ბევრი მეგობარი მყავდა აფხაზეთში, ჩემს შვილებს ყოველდღე ვესაუბრები, რომ აფხაზები და ქართველები ძმები ვართ. უნდა ვეცადოთ, ბოლოს, სიძულვილი აღმოვფხვრათ ჩვენს შვილებში.

***– თქვენ თქვენი რაიონისთვის ბევრი რამე გააკეთეთ. სამომავლოდ რა ძირითად საკითხებს მოიცავს თქვენი წინასაარჩევნო პროგრამა?***

– მე ხაშურმა უფრო მეტი გამიკეთა, ვიდრე ხაშურს გავუკეთე. პიროვნებად აქ ჩამოვყალიბდი. ვაკეთებდი იმას, რაც შინაგანად მაინტერესებდა. ჩემს ფართო ნაცნობების წრეს ვიყენებდი იმისათვის, რომ რაიონს დავხმარებოდი. პროგრამას რაც შეეხება, გაგაცნობთ ძირითად შტრიხებს საარჩევნო პროგრამიდან:

– აქტიური მონაწილეობა სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებასა და მიღებაში, სადაც პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭება სოციალურად დაუცველი ფენების, ინვალიდების, მოხუცების, მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის, მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ვალების დაბრუნების ახალი, რეალური მექანიზმების შემუშავების საკითხებს.

– რაიონის ხელმძღვანელობასთან აქტიური თანამშრომლობა ხაშურის რაიონში არსებული გაჩერებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ფერმერული მეურნეობების ასაღორძინებლად, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ასევე ქვეყნის შესაძლებლობების ფარგლებში შეღავათიანი სესხების მიღების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, ნედლეულითა და დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის საქმეში.

– „აბრეშუმის დიდი გზის", კასპიისა და ყაზახეთის ნავთობის ტრანსპორტირების, ხაშურის რაიონთან უშუალო შეხებაში არსებული სხვა საერთაშორისო პროექტების განხორციელების პროცესში რაიონის პრობლემების გასათვალისწინებლად, ადგილობრივი მოსახლეობის დასასაქმებლად მიზანმიმართული მუშაობა.

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მუნიციპალური, სოციალური სფეროს, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემების განვითარების პროგრამებში რაიონის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ჩართვის მიზნით აქტიური საქმიანობა.

– რაიონის ახალგაზრდობის წინაშე არსებული პრობლემების, მათი განათლების, სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის, თავისუფალი დროის ორგანიზაციის საკითხებზე ზრუნვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება.

# მერწმუნეთ, იგი ღირსეული პიროვნებაა...

## მსოფლიო ჩემპიონი გიორგი კანდელაკი


ვახტანგ ყანჩაველი

***– ბატონო ვახტანგ, დიდი პოლიტიკისაკენ მიმავალ გზაზე საიდან მოხვედით?***

– მე გარკვეული წლების განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ვმუშაობდი. შემდეგ კარგა ხნით პოლიტიკას ჩამოვშორდი. თუ მაღალფარდოვნად არ გამომივა, ვიტყვი, რომ ხალხმა მოითხოვა ვყოფილიყავი დეპუტატობის კანდიდატი. სიმართლე გითხრათ, თავიდან გამიკვირდა და არც ვიყავი ამისთვის მომზადებული, მაგრამ მოსახლეობამ დამარწმუნა, რომ აუცილებელი იყო ჩემნაირი კაცის ყოფნა პარლამენტში. ხალხს უნდა პოლიტიკურად მომზადებულ ახალგაზრდობასთან ერთად პარლამენტში იყვნენ გამოცდილი სამეურნეო მუშაკები, სპეციალისტები.

***– მსოფლიო ჩემპიონის სიმამრობა ძნელია?***

– გიორგი კანდელაკი 16 წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა. ამ ახალგაზრდა ბიჭს დააწვა მთელი ოჯახის სიმძიმე. მან რასაც მიაღწია, თავისით მიაღწია. გიორგის ჩემპიონობაში ჩემი წვლილი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ ჩამოვაშორე დანარჩენი საქმეები, რაზეც მას უნდა ეფიქრა.

თანდათან მეც ისე აქტიურად ჩავერთე კრივში, რომ ახლახან შექმნილი საქართველოს პროფესიონალური კრივის ფედერაციის პრეზიდენტად ამირჩიეს. 8 ოქტომბერს, გიორგი კანდელაკი ბრძოლას რომ გამართავს, იქნება ამ ფედერაციის პრეზენტაცია.

***– თქვენ დიდი დამსახურება გაქვთ გორის წინაშე. ხომ არ გწყინთ გიორგი კანდელაკის სიმამრად რომ მოგიხსენიებენ?***

– სიმართლე გითხრათ, გორში ამას ნაკლებად ამბობენ. ეს პრესამ აიტაცა, და გორის რაიონს იქით ყველა გიორგი კანდელაკის სიმამრად მიხსენიებს.

***– გორში ორი ვახტანგი იყრის კენჭს – ვახტანგ რჩეულიშვილი და ვახტანგ ყანჩაველი. რომელს უფრო მეტი შანსი აქვს გამარჯვების?***

– მე არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო ბატონ ვახტანგს, მაგრამ მგონია მის მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი – გორში ეყარა კენჭი – დიდი შეცდომა იყო. მას გორში არ უცხოვრია და არც ამ ქალაქის სატკივარით ცხოვრობს.

შემიძლია წინასწარ ვთქვა, რომ დეპუტატი იქნება მხოლოდ და მხოლოდ გორელი, პარტიულობის მიუხედავად.

***– ბატონო ვახტანგ, პარლამენტისკენ მიმავალ გზას ადგახართ, თუ აგირჩიეს დეპუტატად, გორელებს რას პირდებით?***

– ყველა დეპუტატის საერთო მიზანი საქართველოს მთლიანობის აღდგენა და აღორძინება უნდა იყოს. მე პრაქტიკული კაცი ვარ. ჩემი კონკრეტული მიზანი არის ახალგაზრდობის პრობლემებზე ზრუნვა. უნდა მოვაწესრიგოთ სკოლები. ერთი წელი სხვა ყველა საკითხს თავი დავანებოთ და სკოლის წელიწადად გამოვაცხადოთ. ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან ბავშვები გორის რაიონში. ზოგიერთ სკოლებში ისეთი პირობებია, სადაც სწავლება, ელემენტარულად, შეუძლებელია. საუკუნის წინ აშენებული საწყობები არის სკოლებად გადაკეთებული.

მეორე, მინდა, რომ ყველა სოფელში იყოს სპორტული დარბაზები. გორი და გორის რაიონი ქართველი მოჭიდავეების აკვანია. როგორ შეიძლება ჩოჩიშვილის, კურტანიძის, ზუბულურის სამშობლოში არ გვქონდეს საჭიდაო დარბაზი?! არ არის აუცილებელი ვარიანის კომპლექსისნაირი იყოს. აუცილებელია სოფლის ბავშვები რაღაცით იყვნენ დაკავებულნი, სპორტი მაქვს მხედველობაში.

მესამე, ძალიან მინდა ყველა სოფელში იყოს ეკლესია. ეს დიდ თანხებთან არ არის დაკავშირებული. სოფლის თავკაცები და ჩვენ ვეყოფით. ახალგაზრდებში თანდათან უფრო მეტად იდგამს რწმენა ფესვებს.

მე ჩემი ცხოვრების გზა განვვლე. რასაც გავაკეთებ, ახალგაზრდებისთვის გავაკეთებ. თუ ჩვენ მათ არ დავეხმარეთ, ერთი-ორი ახალგაზრდის საზღვარგარეთ განათლების მიღება ქვეყანას ვერ უშველის.

აი, ეს სამი პუნქტი მაქვს ჩამოყალიბებული, რომლის შესრულება აუცილებლად მინდა. თუ გავხდები დეპუტატი, ჩემი საპარლამენტო მუშაობა ძირითადად დაეთმობა საქართველოს ხვალინდელ დღეზე ზრუნვას.

*ჩვენ კი ვიცოდით, რომ ბატონმა ვახტანგმა თავის სიძესთან, მსოფლიო ჩემპიონ გიორგი კანდელაკთან ერთად საკუთარი სახსრებით სოფელ ვარიანში კრივის თანამედროვე სპორტული კომპლექსი ააშენა, მონაწილეობს ძევერის, ვარიანის, ზურგულეთის ეკლესიების აღდგენაში, მაგრამ რატომღაც ჩვენთან საუბარში მას ამაზე ყურადღება არ გაუმახვილებია, ალბათ, თავმდაბლობის გამო.*

*გარდა ამისა, სამომავლოდ მისი მიზანია:*

*საქართველოს მთლიანობა; ხალხის კეთილდღეობა; ქართლის აღორძინება; ახალგაზრდობისადმი ზრუნვა; მოსახლეობის დასაქმება; შესაბამისი ანაზღაურება; ეკონომიკის განვითარება; ხელმისაწვდომი მკურნალობა; კანონის უზენაესობა; კორუფციის მოსპობა; ეკლესიების აღდგენა.*



რუბრიკას უძღვება
იზოლდა ცირდავა

## აშენებენ დსთ-ში სამოქალაქო საზოგადოებას?

დასავლეთ ევროპა, აშშ და საერთოდ ცივილიზებული მსოფლიო ძირეულადაა დაინტერესებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მიმდინარე პროცესებით, რომლებიც თავიანთი შინაარსითა და ხასიათით ძალიან რთული, მრავალწახნაგოვანია და ზოგჯერ გაუთვალისწინებელ, არასასურველ შედეგებსაც იწვევენ. რა თქმა უნდა, რიგ პროცესებს დსთ-ს ქვეყნებში გარკვეულ წილად დასავლეთი და აშშ განაპირობებს, პირველ რიგში ისეთებს, რომლებიც ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას, ბიზნესის, განათლებისა და კიდევ სხვა სფეროებს შეეხება. ზოგ ქვეყნებში იგი სამხედრო თანამშრომლობასაც მოიცავს, როგორც, მაგალითად, ჩვენი ქვეყანა და უკრაინაა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დსთ-ს ქვეყნებში გვხვდება პრობლემათა რიგი, რომლებიც თავიანთი არსითა და მიზნებით ერთმანეთის ანალოგიურია, ზევრიც განსხვავებული. აქ არ გვინდა ვილაპარაკოთ ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, რადგან, ჯერ ერთი, სსრ კავშირის დაშლისთანავე ცალსახად პირი იბრუნეს დასავლეთისაკენ, რომლის წიაღიდანაც ნახევარი საუკუნით ძალდატანებით მოსწყვიტეს; მეორე, ისინი დსთ-ში შემავალი ქვეყნები არ არიან და ამდენად, თანამეგობრობის ფარგლებში არავითარი საერთო ურთიერთვალდებულებები და მათი აღსრულების მექანიზმები არ გააჩნიათ; მესამე, არც ერთ ქვეყანაში არ დგას რუსეთის ჯარები. ამდენად, დსთ-ს და მისი მთავარი ფაქტორის, – რუსეთის გავლენა ბალტიისპირეთის ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე ყოვლად უმნიშვნელოა. გამომდინარე აქედან, იქაური საზოგადოება, სახელმწიფოთმოწყობის პროცესი სავსებით განსხვავებულ პირობებში ყალიბდება და ვითარდება, ვიდრე დსთ-ს ქვეყნების.

პრობლემათა ანალოგიურობას დსთ-ს ქვეყნებში განაპირობებს ამ ქვეყნების არც თუ ისე შორეული წარსული, ანუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საერთო სასტარტო მდგომარეობა, რომლის დიდი მემკვიდრეობის მატარებელიცაა ჯერაც მდგრადი ყოფილი პარტიულ-კომკავშირული ნომენკლატურა. თუმცა, რაც წლები გადის, პრობლემებისადმი, რომლებიც თავიანთი არსით საერთოა დსთ-ს ქვეყნებისათვის, შეიმჩნევა განსხვავების გაჩენა, როგორც მიდგომაში, ისე მათი გადაწყვეტის საშუალებებში. საფიქრებელია, რომ მომავალში ეს განსხვავებანი კიდევ უფრო გაიზრდება სახელმწიფოთმშენებლობის სპეციფიკის, თავად მოსახლეობის მენტალიტეტის თავისებურებების გამო. მათში იგულისხმება ცალკეულ სახელმწიფოთა პოტენციური სიმდიდრისუნარიანობა, გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდგომარეობა, სამხედრო ხარჯები, საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციაში ჩაბმის ტემპები და მასშტაბები, მოსახლეობის რელიგიურობა, განათლების დონე, დასავლური ღირებულებისადმი დამოკიდებულება და სხვ.

დსთ-ს უმეტესი ქვეყნებისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც ბევრგან შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაიზარდა, მაგალითად, მოლდოვაში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ჯერაც არ დასრულებულა სამოქალაქო ომი ტაჯიკეთში, რუსეთს კი ხანგამოშვებით სპონტანური მწვავე სამხედრო კონფლიქტები აქვს ჩრდილო კავკასიაში. მრავალი ნიშანი არსებობს იმისა, რომ აღნიშნული კონფლიქტები კარგა ხანს არა თუ არ დარეგულირდება და ჩაცხრება, არამედ შეიძლება ახლებიც წარმოიშვას.

დსთ-ს ქვეყნებში თითქმის ყველგან უკლებლივ გადაუჭრელ პრობლემად დგას სოციალური საკითხი, საიდანაც უმთავრე-
სია მოსახლეობის ძირითადი მასის საცხ-
ოვრებელი მინიმუმით უზრუნველყოფი-
საკითხი. მას მოსდევს უმუშევრობის, ჯან-
მრთელობის დაცვის პრობლემები და ა.შ.
დსთ-ს ქვეყნებში თითქმის დამთავრებუ-
ლია ქონებრივი და პლუს მას ძალაუფ-
ლებრივი პოლარიზაცია საზოგადოებაში.
ძალები საბოლოოდ გადანაწილდა მქონე-
ბელთა სასარგებლოდ და უქონელთა სა-
ზიანოდ. ამ მოკლე დროში ისე შორს
წავიდა ეს პროცესი, რომ რუსეთს
უკრაინას, აზერბაიჯანს, თურქმენეთს
ყაზახეთს ისეთი საკუთარი ოლიგარქიებ-
მოევლინენ, რომლებიც ტოლს აღარ უდე-
ბენ ბევრ თავიანთ ევროპელ და ამერიკელ
კოლეგას. თუმცა შევნიშნავთ, რომ ა-
უკანასკნელებმა ქონება დსთ-ელი ოლი-
გარქებისაგან განსხვავებით, წინამორბე-
დი თაობების ერთობლივი შრომის შედე-
გად დააგროვეს.

მატერიალური ყოფა-ცხოვრების
თვალსაზრისით შედარებით გაწონას-
წორებული მდგომარეობაა უკრაინაში.
ბელორუსიაში სამოქალაქო საზოგადოე-
ბის მშენებლობაზე გარდამავალ კურს
დსთ-ს სხვა ქვეყნებთან შედარებით, გა-
ილებით მეტი წინააღმდეგობა გააჩნია,
ასევე არაა შორს წასული ქონებრივი პო-

გაგრძელება მე-10 გვ.

### თვალსაზრისი

# დსთ-ს ქვეყნები – კრიმინალურ-მაფიოზური რეჟიმები თუ სამოქალაქო საზოგადოებები?





### აფხაზეთი

# Viva historia ანუ აფხაზეთის ისტორია აფსუების ისტორია არაა

სერვანტესს უთქვამს: „ყალბი ისტორიკოსები ისევე უნდა დაისაჯონ, როგორც ყალბი ფულის მომჭრელებიო“.

რა კარგი იქნებოდა, დროზე რომ ელოთ ყურად გენიალური მწერლის ეს სიტყვები, მაშინ, ვინ იცის, რამდენ უბედურებას აიცილებდა თავიდან ტანჯული საქართველო, რომლის უმდიდრეს ისტორიასა და კულტურას მუდამ უთვალთვალებდნენ ხარბი მეზობლები და აყალბებდნენ მის ისტორიას, დაწყებული ქართული ასომთავრულის მითვისებიდან, დამთავრებული აფსუების არარსებულ აბორიგენობამდე, რომელმაც ფსევდოაფხაზთა ახლანდელ არჩევნებამდე მიგვიყვანა.

გაეროს ბოლო ასამბლეაზე გამოსვლისას სწორედ ისტორიის გაყალბებას ანუ ისტორიული სამართლიანობის პრობლემას დაუთმო ერთ-ერთი მთავარი ადგილი საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, და რომ არა პრეზიდენტის არაადეკვატური გარემოცვა, რომლის წყალობითაც საქართველო ადგილზე „ბუქსაობს“, ალბათ, მთელი ქვეყანა იამაყებდა ამ სიტყვით, მაგრამ...

ბატონმა ედუარდმა ბრძანა, რომ ისტორია ზუსტი მეცნიერება არაა და აქედან გამომდინარე, ვისაც როგორ გაეხარდება, ისეთ ინტერპრეტაციას აკეთებსო.

საკითხით დაინტერესებულთ მოეხსენებათ, რომ ამ სტრიქონების ავტორი, ჯერ მარტო, ხოლო შემდეგ ასოციაცია „ფესვების“ სახელით, თითქმის ათი წელია იბრძვის ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ.

ახლა, როცა ხელთა გვაქვს შესანიშნავი საბაბი ბატონი პრეზიდენტის გამოსვლის სახით, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ისტორიული სამართლიანობის დასადგენად და აღსადგენად.

ამ მიმართულებით მეთაურის როლს უნდა ასრულებდეს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, მაგრამ არც ამ ინსტიტუტიდან და არც ისტორიკოსთა სხვა „სავანებიდან“, ჯერჯერობით მაინცდამაინც საიმედო არაფერი ისმის, თითქოს მათ არ შეეწყოთ ხელი უცხოტომელი თუ ჩვენი მკვლევარებისათვის საქართველოს ისტორიის ულმერთოდ გაყალბებაში.

არადა, სწორედ საქართველოს ისტორიის გაყალბებამ, რომელსაც ხალისით ეწეოდნენ ფსევდო-აფხაზი (აფსუა-აფხაზი), რუსი თუ კონიუნქტურის მიმდევარი ქართველი მკვლევარები, ნიადაგი მოუმზადა აფსუების აგრესიულ სეპარატიზმს და აფხაზეთის დროებით დაკარგვას.

ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ სამუშაო ჰიპოთეზის სახით გამოთქმული ვარაუდი დასავლეთ საქართველოში აფხაზურ-ადიღეური ტომების ცხოვრების შესახებ, იმპერიული ძალების დაინტერესებითა და ხელშეწყობით, აიტაცეს კონიუნქტურის ერთგულმა ქართველმა, აფსუა და რუსმა ისტორიკოსებმა, რომელიც საბოლოოდ ორაბორიგენობის ყალბ თეორიად და პრაქტიკად გადააქციეს.

ჯვარს აცვეს ობიექტურობისა და ჭეშმარიტების მაძიებელი და დამდგენი მეცნიერების (პავლე ინგოროყვა, ნიკო ბერძენიშვილი) ნაშრომები.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღესაც კი, უამრავი უტყუარი არგუმენტის მიუხედავად, ისტორიკოსთა ნაწილი (ნ. ლომოური, ე. ხოშტარია-ბროსე...) კვლავ ჯიუტად დგას ორაბორიგენობის ყალბი თეორიის პოზიციებზე.

ისტორიული სამართლიანობის პრინციპზე რომ დავდგეთ, ე.ი. რომ განვთავისუფლდეთ გაყალბებული ისტორიის მარწუხებისაგან, პირველ რიგში საჭიროა საქართველოში მოვახდინოთ გაყალბებული ისტორიის ავგიას თავლის გაწმენდა, რისი ხალისიც ისტორიის ინსტიტუტს, მიუხედავად ხელმძღვანელის შეცვლისა, ჯერჯერობით, ნამდვილად არ ეტყობა.

ახლა, პატივცემულო მკითხველო, აღიჭურვე მოთმინებით და ერთად გავყვეთ საქართველოს გაყალბებული ისტორიის დახვანჯულ ბილიკებს და დასკვნებიც ერთად გავაკეთოთ.

წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ამ მიმართულებით ტომების დაწერა შეიძლება, მაგრამ, მოდით, მოკლე ექსკურსებს დავსჯერდეთ.

ჩვენს წინაშეა რუკა, რომელიც ამოღებულია ცნობილი ქართველი არქეოლოგის, აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის წიგნიდან „ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის“ (1976).

ამ რუკის მიხედვით, ძვ. წ.ა. III ათასწლეულში აფხაზურ (უნდა იყოს აფსუურ, ბ.თ.)-ადიღეური ტომები ცხოვრობენ დასავლეთ საქართველოში, შავიზღვისპირა ზოლში. კარგად დავიხსომოთ ეს რუკა.

ახლა გადავშალოთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტ. გვ. 360, აკად. გიორგი მელიქიშვილი წერს: „მეორე მხრივ, ცალკეული ქართველი ტომები, უეჭველია, ცხოვრობდნენ ჩრდილო ანატოლიის ქედის სამხრეთით...., მათ მეზობლად აქ ამ დროს ცხოვრობდნენ, ***როგორც ჩანს*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.) აგრეთვე, ცალკეული აფხაზურ-ადიღეური და ვეინახური (ჩაჩნური) ტომები“. საქმე ეხება მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარს.

მაშ, ასე, ესეც დავიმახსოვროთ – მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში აფხაზურ (აფსუურ)-ადიღეური ტომები ცხოვრობენ უკვე მცირე აზიაში.

იგივე კრებული გვ. 546, აკად. გ. მელიქიშვილი „მეორე მხრივ, IIს-ის 30-იან წლებში (იგულისხმება ახ.წ., ბ.თ.). საკმაოდ პატარა აბაზგურმა გაერთიანებამ, ***როგორც*** ჩანს (ხაზი ჩემია, ბ.თ.), თავისი ძალაუფლება განავრცო მდ. ფსოუმდე, ***სადაც იმ დროს უკვე მონათესავე აფხაზურ-ადიღეური ტომები ცხოვრობდნენ. ასე რომ, აქ ადგილი ჰქონდა მონათესავე ტომების დიდი გაერთიანების ჩამოყალიბებას“*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.).

ესეც კარგად დავიმახსოვროთ, პატივცემულო მკითხველო.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, მესამე გამოცემა, ტ. I, გვ. 111 „Абхазы, само название апсуа, коренное население Аб. ССР. Предки абхазов упоминаемые в ассир., а затем в антич. источниках, ***принадлежали к числу древнейших обитателей Черноморского побережья Кавказа.*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.).

ახლა ისევ გ. მელიქიშვილს მოვუსმინოთ: „ქაშქებს ზოგი მკვლევარი პროტოხეთებს უახლოვებს, რადგან ბევრი ქაშქური სახელი თითქოს პროტოხეთური ენით პპოვებს ახსნას, მაგრამ სპეციალისტები ხშირად პროტოხეთურ ენასაც აფხაზურ-ადიღეურ ენებს უახლოვებენ. ამრიგად, ქაშქებში აფხაზურ-ადიღეური თუ პროტოხეთური ტომები შეიძლება ვიგულისხმოთ (სინ, ტ. 1, გვ.360).

იგივე დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.1, გვ.699 “В письменных источниках сер. 1-го тыс. до н.э. предки адыгов были известны под именами: меоты. синды, керкеты и др. Примерно с 13 в (ახ.წ. – ბ.თ.) зап. адыгейские племена начинают складываться адыгейские народности“.

აქ ორი რამაა საყურადღებო: პირველი ის, რომ არაფერია ნათქვამი ადიღეთა ისტორიაზე პირველი ათასწლეულის შუა პერიოდზე უფრო ადრინდელ დროზე, როგორც ეს აკად. ო. ჯაფარიძესთან და აკად. გ. მელიქიშვილთან გვაქვს, და მეორე და მთავარი, თურმე ადიღეები ხალხად იწყებენ ჩამოყალიბებას ახ. წ. მე-13 საუკუნიდან. ასეთ საოცრებებს ფანტასტიკურ რომანებშიც ვერ შეხვდებით.

ახლა ვნახოთ რას წერს ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ადიღეებსა და აფხაზებზე (აფსუა-აფხაზებზე), ქსე ტ.1, გვ.94 – „ძვ. წ. III ათასწლეულში ადიღეს ტერიტორიაზე გავრცელებულია მაიკოპის კულტურა. ადიღეები მეოტების სახელით იყვნენ ცნობილნი; ***მეოტები აერთიანებდნენ კერკეტებს, ზიხებს, სინდებსა და სხვა ტომებს... დაახლოებით XIII საუკუნიდან დას. ადიღეური ტომები ადიღეელ ხალხად ჩამოყალიბდნენ (ხაზი ჩემია, ბ.თ.).***

აქ მოყვანილი ცნობები ზერელობის კლასიკაა.

აქვე არ შეიძლება არ ითქვას, რომ ენციკლოპედიებში დამოწმებული ერთ-ერთი მთავარი წყარო ნოგმოვის წიგნი „История Адыгейсского народа“ (1958) თბილისის საჯარო ბიბლიოთეკიდან 1989 წელს მოუპარავთ (?!), როგორც ჩანს, დაინტერესებულ პირებს.

სამაგიეროდ, საინტერესოა სხვა ავტორთა მონაცემებიც. აი, რას წერენ ადიღეელი მეცნიერები აუტლევი, ლევაკინი და ხორესტლევი წიგნში “Адыги“ (1957). “Адыги являются аборигенами северо-западного Кавказа. Письменные известия о предках

გაგრძელება მე-12 გვ.

# ვინ გვყავს ასარჩევი, ანუ ვინ ვინ არის

მე-8 გვერდიდან.

თუმურ დაჯგუფებას შორის უახლოეს ხანში მეტად საინტერესო მოვლენები განვითარდება, თუ გავითვალისწინებთ აჭარის ლიდერის ფრაზას არჩევნებთან დაკავშირებით: – ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვსო, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბრძოლა მეტად დაძაბული და უკომპრომისო იქნება, რომელშიც დამარცხებულს დასაკარგი მართლაც არაფერი შერჩება.

ზემოთ დახასიათებული ორი კანდიდატის შემდეგ მოდის რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელთაც დღევანდელი გადასახედიდან თითქოსდა თანაბარი შესაძლებლობა აქვთ 7%-იანი ბარიერის გადალახვის. მათ შორის გამოირჩევა ლეიბორისტული პარტია, რომელსაც დღევანდელი ეკონომიკურად გაჭირვებული მოსახლეობისათვის მომხიბვლელი პროგრამა აქვს, რაც ითვალისწინებს უამრავ სოციალურ შეღავათს. ლეიბორისტები ინტუიციით გრძნობენ ხალხის სურვილებს და მოთხოვნილებებს და მათ გრძნობებზე შესანიშნავად თამაშობენ. მაგალითად, ისინი პირდებიან ხალხს იმ ბობოლების დასჯას და მათთვის იმ ქონების ჩამორთმევას, რაც ქვეყნის ძარცვაგლეჯვით მიისაკუთრეს. ეს აბუჩად აგდებულ ხალხზე მალამოსავით მოქმედებს. ლეიბორისტები თავიანთ აქტივში იწერენ უფასო საბავშვო ბაღების, სასწრაფო დახმარებისა და განათლების შემოღებას, რაც ასევე გაჭირვებული ამომრჩევლის სიმპათიას იმსახურებს. ლეიბორისტებს მოძებნილი აქვთ ის თანხებიც, რომლითაც უნდა დაფინანსდეს სოციალური პროგრამები. კერძოდ, ისინი აპირებენ სიგარეტის, ნავთობის, ალკოჰოლური სასმელებისა და მძიმე მრეწველობის სახელმწიფო მონოპოლიზაციას, რის შედეგადაც ქვეყნის ბიუჯეტში 2 მილიარდი დოლარის მოზიდვას ვარაუდობენ. რამდენად რეალურია მათი გეგმები ეს იმ შემთხვევაში გამოჩნდება, თუ ლეიბორისტები პარლამენტში უმრავლესობით მოვლენ, თუმცა ერთი უნდა ითქვას, რომ ეს ექსპერიმენტებით გაუკვალავ გზებზე სიარულს ნიშნავს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ლეიბორისტთა პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის საკმაოდ დიდ ორგანიზატორულ და ორატორულ ნიჭს, რაც ესოდენ აუცილებელია პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, მაშინ არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ლეიბორისტებმა ისეთივე წარმატებას მიაღწიონ საპარლამენტო არჩევნებში, როგორც ეს მოხდა ადგილობრივ არჩევნებში, სადაც ისინი მოქალაქეთა კავშირის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გოგი თოფაძის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ სულ ახლახანს მოევლინა პოლიტიკურ ასპარეზს, მას მაინც მძლავრი პოტენციალი გააჩნია არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად. მარტო ის, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში იგი ამ უმუშევრად დარჩენილ ხალხს სტაბილურ სამუშაოს ჰპირდება, რასაც რეალობას სძენს თოფაძის ლუდის იმპერიაში დასაქმებული ათასობით ადამიანის არსებობა, უდიდესი კოზირია ამ პოლიტიკური მოძრაობის ხელში. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ მოძრაობაში აღმოჩნდნენ პოლიტიკურ ბატალიებში გამოწვრთნილი „დასი“ და ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო ახალგაზრდა ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი, რომლის მიმართაც საზოგადოების დიდი ნაწილი დადებითად არის განწყობილი. არც ის არის ხელწამოსაკრავი, რომ ბლოკს „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ გააჩნია ფინანსური საშუალებებიც, რათა შესაფერისი საარჩევნო კამპანია ჩაატაროს.

არჩევნებში 7%-იანი ბარიერის გადალახვის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ითვლება სახალხო პარტია, რომელმაც ბლოკი შექმნა ორგანიზაცია „დიდგორთან“, რომელშიც გაერთიანებული არიან საზოგადოებისათვის ისეთი საპატივცემულო ადამიანები, როგორებიც არიან ნოდარ წულეისკირი, გოგი ოჩიაური, გოგი ხოშტარია და სხვები. თავად სახალხო პარტია, როგორც ცნობილია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბირთვისაგან შედგება და გამორჩეულია ისეთი პოლიტიკური ლიდერებით, რომლებიც ეროვნულ მოძრაობაში თავიანთი შემართებით იყვნენ ცნობილნი, ასევე სახელი გაითქვეს შემდგომი საპარლამენტო ოპოზიციური მოღვაწეობით. ესენია: მამუკა გიორგაძე, გიორგი კობახიძე, ვანო ხუხუნეიშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ ჩახვაძე, მიხეილ ჯიბუტი, გოგა გოგნიაშვილი და სხვები.

სახალხო პარტია გამოირჩევა სტაბილური ეროვნული იდეოლოგიითა და ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის დაუოკებელი სურვილით.

არჩევნებში გამარჯვების შანსი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასაც გააჩნია, რამელსაც წესით, უნდა ჰყავდეს თავისი სტაბილური ამომრჩეველი, რასაც მისი ლიდერის ირინა სარიშვილ-ჭანტურიას საკმაოდ ეფექტური საპარლამენტო მოღვაწეობაც აძლიერებს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ეროვნულ-დემოკრატებს გარკვეული ლობი ბიზნესმენებშიც აქვთ ბესო ჯუღელის მეთაურობით, თუმცა ბრალდება მოქალაქეთა კავშირთან თანამშრომლობისა მათ აჩრდილივით დაჰყვება და რამდენად მეტად გაფანტავენ ამ ჭორს, იმდენად მეტს მოიგებენ.

დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებში თავისი მოღვაწეობის ისტორიითა და ეროვნულობით გამოირჩევიან სახალხო ფრონტი და ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომლებიც ერთიანი ბლოკით გადიან არჩევნებში. არც ნოდარ ნათაძეს არც თამრიკო ჩხეიძეს საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდებათ, რადგან ისინი ათწლეულების მანძილზე ცნობილნი არიან, როგორც ეროვნული ინტერესებისათვის დაუღალავად და უკომპრომისოდ მებრძოლი პიროვნებები.

ესე იგი, სულ რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია გამოვყავით, რომლებსაც აქვთ საფუძველი იფიქრონ არჩევნებში გამარჯვებაზე. ოცდახუთიოდე კალენდარული დღე დაგვრჩენია ჩვენ, ამომრჩევლებს მათგან და კიდევ დანარჩენებიდან ერთი შევფუცლოთ ჩვენთვის მისაღებად და მივცეთ კუთვნილი ერთი ხმა. ამომრჩეველი სანამ ამ ხმას მისცემს, კარგად უნდა დაფიქრდეს და განსაჯოს, თუ ვის ანდობს ქვეყნის ხელისუფლების საჭეს და თავის ბედსაც, რომ მერე სინანულით არ აღმოხდეს – რატომ ის ხელი არ მომტყდა, რომლითაც შენ დაგიჭირე მხარიო.

**გია თვალავაძე**

# დსთ-ს ქვეყნები – კრიმინალურ-მაფიოზური რეჟიმები თუ სამოქალაქო საზოგადოებები?

მე-10 გვერდიდან.

ლარიზაციის პროცესი და ამ ნიადაგზე მკვეთრად არ იგრძნობა ურთიერთდაპირისპირება თავად საზოგადოების შიგნით. ბელორუსიაში, შეიძლება ითქვას, ერთგვარი სახელმწიფო კაპიტალიზმის სტადიაა. თუმცა ამ კურსს საერთაშორისო არენაზე არც აღიარება აქვს და მითუმეტეს, არც მხარდაჭერა.

ჩვეულებრივ თანამედროვე მსოფლიოში არსებული პრაქტიკისა და წესის მიხედვით, ჯერ ყალიბდება პოლიტიკური სისტემა, მისი უმაღლესი ორგანიზაცია – სახელმწიფო და მის ნიადაგზე სამართლებრივი, სამოქალაქო საზოგადოება. ეს ეტაპი გაიარა დასავლეთ ევროპისა თუ ჩრდილო ამერიკის ყველა ქვეყანამ. ბოლო ათწლეულებში ამ გზით მიდის აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა.





სამწუხაროდ, საპირისპირო ხდება დსთ-ს ქვეყნებში, რაც სახელმწიფოდ და საზოგადოებადმშენებლობის დასავლურ ლოგიკას არ ემორჩილება. თანამეგობრობის ჩამოყალიბების შემდეგ მასმედია დაუსრულებლად ლაპარაკობს დსთ-ს ქვეყნებში პლურალისტური პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბების რეალურობაზე, მისი განვითარების გზებზე, თავისებურებებზე, ცალკეულ სახელმწიფოთა და ხალხთა წვლილზე მასში. მაგრამ ცდილობენ ნაკლები ილაპარაკონ იმაზე, რომ პლურალისტური, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბების ნიღბით სინამდვილეში დსთ-ს ქვეყნებში კრიმინალებთან წილნაყარი, ზოგ ქვეყნებში კი მასში მთლიანად შერწყმული სახელმწიფო სისტემები ჩამოყალიბდა. მან კი თავის მხრივ, გამოიწვია დამახინჯებული, დასავლური ნიმუშებისა და მოდელებისაგან საგრძნობლად განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური განშტოებების შექმნა. სხვათა შორის, რუსეთში ბოლო დროს ხმამაღლა აღიარებენ, რომ ქვეყანას სახელმწიფო-კრიმინალური ზრდა-განვითარების ეტაპი უდგას. მეტ-ნაკლები ხარისხით ეს შეფასება დსთ-ს დანარჩენ ქვეყნებსაც შეეხება და თუ დასავლური თვალთახედვით რაიმე ზოგადღირებული ხდება აქ, ვთქვათ, კანონშემოქმედების, არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობის, მასმედიის თავისუფლების თვალსაზრისით, ყველაფერი ეს მოხერხებული კამუფლაჟია მმართველი ეშელონების ჩინოვნიკთა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის. ამიტომ სახელმწიფოები კლასიკური გაგებით დსთ-ში ჯერაც არ არსებობენ. საქმე იმაშია, რომ ნორმალურ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მკაცრად დადგენილი ბიუჯეტი, სახელმწიფო საზღვრები, მტკიცე საკუთარი ვალუტა, მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების დაცვა-აღსრულების უტყუარი მექანიზმები, აღარას ვამბობთ ტერიტორიულ მთლიანობაზე, სახელმწიფო სუვერენიტეტზე და ა.შ. დსთ-ს არც ერთ ქვეყანას კი მეტნაკლები თანაფარდობით ისინი არ გააჩნია. სახელმწიფო-კრიმინალურ კლანების ცალკეულ წარმომადგენლებს შეუზღუდავად, დაუსჯელად გააქვთ დსთ-ს ერთი ქვეყნიდან მეორეში და იქიდან მის ფარგლებს გარეთ იარაღი, საბრძოლო მასალები და ტექნიკა, ბირთვული იარაღის კომპონენტები, სტრატეგიული ნედლეული და რესურსები, ნარკოტიკები, ფიზიკური სამუშაო ძალა, ინტელექტუალური ქონება, საეჭვო მიზნებით ზოგჯერ გადაჰყავთ გოგონები და ბავშვები. ყოველივე ამ მოვლენების შემყურე, რა მყარ დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებზე და სამოქალაქო საზოგადოების რეალურ მშენებლობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ დსთ-ს ქვეყნებში?

უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო-კრიმინალური განვითარების პერიოდი დსთ-ში კარგა ხანს გაგრძელდება, ალბათ, 15-20 წელი კიდევ. ამას თავისი რიგი გლობალური (დსთ-ს მასშტაბის) და ადგილობრივი სუბიექტურ-ობიექტური მიზეზები გააჩნია. ამიტომ ილუზიაა ფიქრი იმაზე, რომ იგი მალე, თუნდაც უახლოეს წლებში დასრულდება.

სხვათა შორის, კრიმინალური ან მასთან ნაზავი განვითარების პერიოდი დასავლეთის ქვეყნებმა, იგივე აშშ-მაც გაიარეს თავის დროზე, კერძოდ, XVIII-XIX საუკუნეებში და ნაწილობრივ ჩვენს დროშიც, ვიდრე გაუქმდებოდა მსოფლიო კოლონიური სისტემა. თუმცა, სახელმწიფო სტრუქტურებში კრიმინალიზმის ხარისხი და მასშტაბები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირი იყო. ერთი საზომი არასდროს არსებობდა. რა დასამალია და ყველა მეტროპოლი სახელმწიფო სხვადასხვა დროს და ეპოქაში მცირე დანახარჯების ფასად ექაჩებოდა ბუნებრივ სიმდიდრეებს, ქონებასა და იაფ ცოცხალ სამუშაო ძალას კოლონიებიდან. ისტორიიდან, ლიტერატურიდან ამის უამრავი მაგალითია ცნობილი. მხოლოდ ამ ეტაპის დასრულების შემდეგ დასავლეთმა ჩამოაყალიბა მყარი პოლიტიკური სისტემები და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს სამოქალაქო საზოგადოებათა მშენებლობა. ყველაფერი ეს მოხდა II მსოფლიო ომის შემდეგ ამ ბოლო 40-50 წლის განმავლობაში.

დსთ-ს ქვეყნებს ეს გზა გასავლელი აქვთ, ამიტომ დასავლეთთან მათი სრული და საბოლოო ინტეგრაცია კიდევ კარგა ხანს დაიგვიანებს, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე არ მოხდა რაიმე სასწაული და ინფორმატიკა-ტექნოლოგიის სფეროში, ახალი კომუნიკაციების გაფურჩქვნის ხანაში რაიმე ახალმა გამოგონება-მიღწევამ არ წაშალა დიდი სხვაობა, ან მთლიანად არ დააახლოვა და ერთმანეთს არ შეარწყა აღმოსავლეთი და დასავლეთი. მანამდე კი სახელმწიფო-კრიმინალური სისტემის აღზევების პერიოდში ხდება და კვლავაც მოხდება ქონების, უფრო სწორად, უპატრონოდ გამოცხადებული ქონების ძალით მიტაცება, მისაკუთრება. რადგან კონკრეტული პატრონი არ ჰყავს საწარმოებს, სასოფლო-სამეურნეო და სხვა დანიშნულების ობიექტებს, ყველაფერ ამას კლანები ისაკუთრებენ. ისინი მარჯვედ იყენებენ 90-იან წლებიდან პოსტსაბჭოურ საზოგადოებაში მუსირებულ თეზისს უპატრონო, საარვისო საკუთრების შესახებ და ახლა ყველა ხერხის გამოყენებით ეუფლებიან მას. მილიონობით ადამიანი საწარმოების მიღმა რჩება. ამ საკითხებზე დსთ-ს ქვეყნებში აუარება სასამართლო პროცესები იმართება, დავას ბოლო არ უჩანს. მოდავე მხარეებს შორის ბოლო დროს უცხოელი ინვესტორებიც გამოჩნდნენ. სანამ ერთხელ და სამუდამოდ არ გადაწყდება საკუთრებითი დავა საზოგადოებაში, მანამდე ვერ ჩამოყალიბდება მყარი, პოლიტიკური სისტემა ნებისმიერ ქვეყანაში. დსთ-ს ქვეყნებში საფიქრებელია, ეს პროცესი კიდევ 15-20 წელს დაიკავებს. საზოგადოებაში დანაწილება-მიტაცება-მისაკუთრების საკითხში დსთ-ს ყველა ქვეყანა ერთი ხაზით, ერთი მიმართულებით მიდის, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ყველა სახელმწიფოს სასტარტო მდგომარეობა ერთნაირი ჰქონდა. საკუთრებით, ქონების საკითხის გარკვევა-მოწესრიგებაში დსთ-ს ვერც ერთი ქვეყნის პოლიტიკური სისტემა საზოგადოებას, ხალხს ვერაფერ სერიოზულს ან სანუგეშოს ვერ სთავაზობს.

8 წელიწადი ძალიან მცირე დროა იმისათვის, რომ გარდამავალ ეტაპზე მყოფ 12 სახელმწიფოში ძირეულად გარდაიქმნას ძველი ტოტალიტალური ისტებლიშმენტი. ასეთი ბაზისიდან მკვეთრი მოწყდომა და რაღაც ახალ განზომილებაში სწრაფი, მეყსეული გადასვლა ყოვლად შეუძლებელია. ისტორიული გამოცდილება გვეუბნება, რომ სამოქალაქო საზოგადოების პრინციპების ცხოვრებაში დასამკვიდრებლად დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის ქვეყნებში უამრავი აზრი, იდეა. ფილოსოფიურ-ესთეტიკური მიმდინარეობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა წარმოიშვა, განვითარდა და ყოფა-ცხოვრების ქარტეხილებში გადაიხარშა. მათგან აღსანიშნავია ლუთერის მოძღვრება და რეფორმაცია, რენესანსის ეპოქა, განმანათლებლობა, თავისუფალი საზოგადოებისა და რესპუბლიკანიზმის შემოღების მოძღვრებანი XIX საუკუნის ევროპაში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეკოლოგიური მოძრაობანი ჩვენს დროში და სხვ. ყველაფერი ეს და კიდევ სხვა მრავალი აზრი, სასიკეთოდ წაადგა ჩვენს საუკუნეში უკეთესი საზოგადოებრივი წყობილების მუდმივ ძიებაში მყოფ დასავლეთევროპულ და ჩრდილოამერიკულ სახელმწიფოებს.

თავი რომ გავანებოთ ტოტალური, კომუნისტური სახელმწიფო-საზოგადოებრივი განვითარების 70-წლიან პერიოდს, არც მანამდე წინა ეპოქაში გამოირჩეოდნენ დღევანდელ დსთ-ს არეალში შემავალი ქვეყნები და ერები იმ დემოკრატიული იდეებისაკენ სწრაფვით, რომლებიც აქ მოვიხსენიეთ და რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტად იქცნენ დასავლეთის ქვეყნებში. თუ გულახდილები ვიქნებით, დემოკრატიული, პლურალისტული საზოგადოების მშენებლობა-დამკვიდრების მრავალი ელემენტი, როგორც ჩვენ, ისე ჩვენმა ახლობელ-შორეულმა მეზობლებმა ევროპის შუა საუკუნეებისა და მომდევნო ეპოქებიდან უნდა ამოვწიოთ და ჩვენს სახელმწიფოებში რეალობად ვაქციოთ. დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების იდეებიდან და მოძღვრებათაგან აღმოსავლეთის ხალხთა თუ ერების ჩამორჩენა ან განზე დგომა თავად მათი მიზეზით ან რაიმე ახირებით არ მომხდარა. ამის თავი და თავი კომუნიკაციების უქონლობა, უფრო სწორად, არარსებობა იყო. კომუნიკაციები XIX საუკუნის სიახლე და XX საუკუნის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ბუნებრივია, მთელი შუა საუკუნეები, ვიდრე XIX საუკუნის შუახანებამდე, არ არსებობდა ინფორმაციის მიწოდება-გავრცელების ისეთი მაღალეფექტური, სწრაფი და იაფი საშუალებანი, როგორიც ტელეგრაფ-ტელეფონი იყო, ჩვენი საუკუნის 30-50-იანი წლებიდან რადიო-ტელევიზია გახდა, ხოლო 80-იანი წლებიდან კომპიუტერულ-ინფორმატიკული ქსელია. აღნიშნული კომუნიკაციების სწრაფმა გავრცელებამ ევროპა-ამერიკის ქვეყნებში განსაკუთრებით კოსმოსის გამოყენებამ, მნიშვნელოვნად დააჩქარა დასავლური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მთლიანი უნივერსალიზაციის პროცესი. შედეგმაც არ დააყოვნა, შეიქმნა ევროკავშირი, რომლისკენაც პირდაპირი გეზი აიღეს აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის, შუა აზიის ქვეყნებმა, ჩვენმა სამხრეთელმა მეზობელმა თურქეთმა. ფაქტია, რომ უნივერსალიზაციის პროცესს ალტერნატივა არა აქვს.

დასავლურმა მასმედიამ ასევე გადამწყვეტი როლი შეასრულა სსრ კავშირის დაშლის საისტორიო მნიშვნელობის საქმეში. იგი დიდ გავლენას ახდენს პოსტსაბჭოურ საზოგადოებათა ჩამოყალიბება-განვითარების პროცესზე დსთ-ს ქვეყნებში. სავარაუდოა, რომ ინფორმატიკა-კომუნიკაციის საშუალებათა მაღალეფექტური ყოვლისმომცველი მუშაობა 15-20 წელიწადში მჭიდროდ დაუახლოვებს დსთ-ს ქვეყნებს, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურად, ისე სოციალურ-ეკონომიკურად და სხვა პარამეტრებითაც დასავლეთისას. ამით გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგმება ევრაზიის ინტეგრაციისა და უნივერსალიზაციის მიმართულებით.

**გიორგი ბეჟუაშვილი**

მე-10 გვერდიდან.

адыгов имеются у древних греческих писателей, начиная с VI в д.н.э. В то время единого народа адыгов еще не существовало“ (გვ.5).

აქაც ადიღეთა წინაპრებად დასახელებულნი არიან კერკეტები, ზიხები, სინდები...

შემდეგ ***“В древности известную роль в формирования адыгейского народности сыграли скифы, а раннем средновековые - аланы“*** (გვ.6), (ხაზი ჩემია, ბ.თ.).

აქ ყურადღებას იპყრობს რამდენიმე მომენტი – ადიღეელ მეცნიერებს წარმოდგენაც კი არა აქვთ III-II ათასწლეულებზე, ნახსენებიც კი არ არიან მონათესავე აფსუები და ლაპარაკიც კი ზედმეტია რაღაც ნათესაობაზე იბერიულ-კავკასიურ ხალხებთან, რადგან ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ადიღეების ფორმირებაში მონაწილეობდნენ სკვითები და უფრო გვიან, ალანები.

უეჭველია, სკვითური მოდგმის ადიღეების ნათესაობა ე.წ. იბერიულ-კავკასიურ ხალხებთან ქართველი, ფსევდო-აფხაზი და, ალბათ, რუსი მკვლევარების ფანტაზიის ნაყოფია. ეს ცალკე საუბრის თემაა.

ანალოგიურ მოსაზრებებს გვთავაზობს გ. კოკიევიც ნაშრომში “Некоторые сведения у древней историй Адыгов“ (Кабардинцев), 1946.

აქ მითითებულია, რომ ადიღეები ისტორიის ასპარეზზე გამოჩნდნენ გვ. წ. IV საუკუნეში.

## ა ფ ხ ა ზ ე თ ი

# Viva historia ანუ აფხაზეთის ისტორია აფსუების ისტორია არაა



ახლა ისევ ქართულ ენციკლოპედიას მივუბრუნდეთ, ქსე, ტ.2, გვ. 29, პროფ. შ. ინალიფა – ***„ფიქრობენ*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.), რომ ეთნიკურად აფხაზები ენათესავებიან მცირე აზიის უძველეს მკვიდრ მოსახლეობას ქაშქა-აბეშლას ტომებს, რომელთა შესახებ ცნობებს გვაწვდის ასურეთის მეფის ტიგლათფილასერ I-ის (ძვ.წ. XIIს.) წარწერები. ***სავარაუდოა*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.), რომ ძვ. წ. ასურულ „აბეშლას“ ენათესავებოდნენ გვიანდელი აფსილები, რომლებსაც პირველად იხსენიებს პლინიუსი (Iს.). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძვ. აფხ. სატომო გაერთიანება – აბაზგები – პირველად იხსენიება არიანეს „პერიპლუსში“ (IIს.). აბაზგებისა და აფსილების, აგრეთვე აქაველების, სანიგებისა და შავი ზღვის სამხრ. ალმ. სანაპიროს სხვა უძველესი მოსახლეობის ეთნ. ელემენტების მეტნაკლები მონაწილეობით VIII ს-თვის ძირითადად დასრულდა აფხაზი ხალხის (იგულისხმება აფსუები, ბ.თ.) ჩამოყალიბება, მაგრამ კონსოლიდაციის პროცესი თითქმის XVIII ს-მდე გაგრძელდა“ (ხაზი ჩემია, ბ.თ.).

ბატონ შ. ინალიფის ეს სიტყვები ისტორიის გაყალბების კლასიკური ნიმუშია, თავისი სიცრუით, უპასუხისმგებლო, უარგუმენტო აზროვნებით.

მეტი რომ აღარ გავაგრძელოთ, აი, ასეთია ფსევდო-აფხაზი, უპასუხისმგებლო ქართველი და დაინტერესებული რუსი მეცნიერების „მეცნიერული კვლევის“ სტილი, რომლის საშუალებითაც შეიქმნა საოცრად ცინიკური, არგუმენტებს მოკლებული, ყალბი „თეორია“ აფხაზურ (აფსუურ)-ადიღეური ტომების ბინადრობისა დასავლეთ საქართველოში, მცირე აზიაში და ა.შ. და მათი ნათესაობისა ქართველურ ტომებთან. ამ მეცნიერთა მთავარი არგუმენტებია – „ფიქრობენ“, „ვარაუდობენ“, „როგორც ჩანს“, „უეჭველია“ და ა.შ.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ერთი წვეთი იმ ზღვა სიცრუიდან და სიყალბიდან, რომელსაც ქართულისაგან განსხვავებული „აფხაზეთის ისტორია“ ჰქვია და აღწერილია აფსუათა არარსებული ცხოვრების ისტორია საქართველოსა და მცირე აზიაში, სიცრუისა, რომელიც ბოროტად ბარტყობდა ათეული წლების მანძილზე და საბოლოოდ აფხაზეთის დაკარგვა გამოიწვია.

მთელი ეს უზარმაზარი სამეცნიერო-ლიტერატურული პროდუქცია ქართველი, რუსი და ფსევდო-აფხაზი მეცნიერებისა რომ სიცრუე და შეთითხნილი იყო, ღმერთმა უწყის, ვისი კარნახით, დაადასტურა და ამ სიცრუის საიდუმლოს ფარდა ჩამოხსნა 1988 წელს გამოქვეყნებულმა ერთმა პუბლიკაციამ, რომელიც ყუმბარასავით გასკდა და რომელმაც შოკში ჩააგდო ქართული ისტორიოგრაფია.

ამ პუბლიკაციაზე შემდგომში ვისაუბრებთ.

**ბიძინა თავაძე**

**საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვების“ პრეზიდენტი**

## რჩეულთა სიკვდილის ლექსიკონი

# სტალინის მეორე ცოლის აღსასრული

## ნადეჟდა სერგის ასული ალილუევა (1901-1932)

ბელადის პირველი ცოლი, ეკატერინე სვანიძე, გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად, ხოლო ალილუევამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ნადეჟდა ალილუევა ქმარზე 22 წლით უმცროსი იყო. ორი შვილის დედა ძალიან ცდილობდა აქტიური მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ საქმიანობაში. სწავლა განაგრძო სამრეწველო აკადემიაში. მისი ცხოვრების ბოლო წლები სტალინის მხრიდან მისდამი აშკარა უხეშობით გამოირჩეოდა. „ჩემს მიერ განკარგულებაში არსებული მოწმობებიდან – წერს სტალინის ბიოგრაფი დ. ვოლკოგონოვი, – ლაპარაკობენ იმაზე, რომ ალილუევას სიკვდილის მიზეზი სტალინია“. 1932 წლის 9 ივნისს, ნადეჟდა ალილუევა-სტალინამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ასეთი ტრაგიკული საქციელის მიზეზი სხვებისთვის შეუმჩნეველი ჩხუბი იყო, რომელიც სადღესასწაულო წვეულებაზე მოხდა. იქ იყვნენ მოლოტოვი, ვოროშილოვი მეუღლეებთან ერთად. სტალინის მორიგი უხეში გამოხტომა ვეღარ აიტანა მეუღლის სუსტმა ბუნებამ. დიდი ოქტომბრის 15 წლისთავი ბნელმა მოიცვა. ალილუევა შევიდა თავის ოთახში და თავი მოიკლა. ტილი კაროლინა – ოჯახის ეკონომკა, დილით მისვლისთანავე შეუდგა ალილუევას გაღვიძებას, რომელიც მკვდარი დახვდა. იატაკზე ვოლტერი ეგდო. დაუძახეს სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს. არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ მან სიკვდილის წინ წერილი დატოვა. ამის შესახებ შეიძლება ვიფიქროთ, სამყაროში ყოველთვის იყო და იქნება პატარა გაუხსნელი საიდუმლოებები. ნადეჟდა ალილუევას სიკვდილი, ალბათ, შემთხვევითი არ იყო. შესაძლოა, უკანასკნელი, რაც ადამიანში კვდება – ეს იმედია. იმედი და რწმენა ყოველთვის აორმაგებს ძალებს. სტალინის ცოლს ეს ძალა უკვე აღარ ჰქონდა.

საბოლოო, მე-3 ვერსიას ალილუევას თვითმკვლელობის შესახებ ვპოულობთ ნიკიტა ხრუშჩოვის მემუარებში. „მე ვნახე სტალინის ცოლი – მოგვითხრობს ყოფილი ლიდერი. – მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1932 წელს. ჩემის აზრით, ეს იყო მაშინ, როცა ჩვენ ვზეიმობდით ოქტომბრის რევოლუციის წლისთავს. წითელ მოედანზე პარადი იყო. მე და ალილუევა ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ვლაპარაკობდით. იყო ცივი და ქარიანი დღე. როგორც ყოველთვის, სტალინი თავის სამხედრო შინელში იყო. ზევითა ღილი არ ჰქონდა შეკრული. ალილუევამ შეხედა და თქვა: „ჩემი ქმარი ისევ შარფის გარეშეა. იგი გაცივდება და ავად გახდება“. და თუ კარგად დავუკვირდებით იმას, თუ როგორ თქვა მან ყოველივე, მე შემეძლო დამესკვნა, რომ მას მშვენიერი გუნებაგანწყობა ჰქონდა.

მეორე დღეს ლაზარე კაგანოვიჩმა, სტალინთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა პირმა, შეკრიბა პარტიის მდივნები და განაცხადა, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ნადეჟდა სერგეევნა. მე გავიფიქრე: „როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო? ჩვენ ხომ ეხლახან ერთად ვლაპარაკობდით. როგორი ლამაზი ქალი იყო“. მაგრამ ვერაფერს გახდები. ადამიანები ხომ უეცრად კვდებიან ხოლმე.

მეორე თუ მესამე დღეს, კაგანოვიჩმა ისევ იმავე შემადგენლობით შეგვკრიბა და გამოაცხადა:

– მე სტალინის დავალებით გელაპარაკებით. მან თქვენი შეკრება და სიმართლის თქმა მთხოვა იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რა მოხდა. ეს არ ყოფილა უეცარი სიკვდილი. მან თავი მოიკლა.

მას სხვა არაფერი უთქვამს. არც ჩვენ დაგვისვამს შეკითხვები.

ჩვენ დავკრძალეთ ალილუევა. მის კუბოსთან მდგარი სტალინი დანაღვლიანებული ჩანდა. ვერ გეტყვით იმის შესახებ, თუ რა მოსდიოდა მის სულს, მაგრამ გარეგნულად იგი დამწუხრებული გამოიყურებოდა.



სტალინის სიკვდილის შემდეგ მე ალილუევას სიკვდილის ისტორია გავიგე. ეს ისტორია დოკუმენტალურად არსად არ არის დადასტურებული. ვლასოვმა, სტალინის დაცვის უფროსმა, მიამბო, რომ პარადის დამთავრების შემდეგ ყველა სადილად გაემართა სამხედრო კომისრის, ვოროშილოვის დიდ სახლში. როგორც ხდება ხოლმე, ყველამ დალია, როგორც იქნა, ყველა დაიშალა. წავიდა სტალინიც, მაგრამ სახლში არა.

უკვე გვიან იყო. ვინ იცის, რომელი საათი იყო. ნადეჟდა სერგეევნა ნერვიულობდა. მან სტალინის ძებნა დაიწყო. ტელეფონით რეკავდა ერთ-ერთ აგარაკზე. ჰკითხა მორიგე ოფიცერს, იქ ხომ არ იყო სტალინი.

– დიახ, უპასუხა მან, – ამხანაგი სტალინი აქ არის.

უთხრა, რომ მასთან ერთად ქალია, თქვა მისი სახელიც. ეს იყო ერთ-ერთი სამხედრო პირის – გუსევის ცოლი, რომელიც იმ სადილზე იმყოფებოდა. როცა სტალინი წავიდა, მან ისიც წაიყვანა თან. მე მითხრეს, რომ სამხედროს ცოლი ძალზე ლამაზი ქალი იყო და სტალინს ეძინა მასთან ამ აგარაკზე. ამის შესახებ ალილუევა მორიგე ოფიცრის მეშვეობით იგებს.

დილით, როდესაც სტალინი მივიდა სახლში, ნადეჟდა ალილუევა ამ დროისათვის ცოცხალი აღარ იყო. მას არანაირი წერილი არ დაუტოვებია, ჩვენ ამის შესახებ არ გველაპარაკებოდნენ.

მოგვიანებით ვლასოვმა თქვა:

– ის ოფიცერი გამოუცდელი ბრიყვია. მან მას ჰკითხა, იმან კი უთხრა.

შემდეგ გავრცელდა ჭორები, რომ შესაძლოა სტალინმა მოკლა თავისი ცოლი. ეს ვერსია არც ისე გასაგებია, თითქოს პირველი, შედარებით სიმართლესთან უფრო ახლოა. ბოლოს და ბოლოს, ვლასოვი ხომ მისი მცველი იყო“.

შესაძლებელია, სამივე ვერსია სწორია და მართლაც მაგალითად, შეიძლება მომხდარიყო ჩხუბი წვეულებაზე, შემდეგ ალილუევა იგებს, რომ სტალინთან ერთად სხვა ქალია. წყენისა და შეურაცხყოფის შეთავსება მოხდა, ტანჯვის აუტანლობის ზომამ თვითდაცვის ინსტინქტს სძლია. იური სემიონოვს წიგნში „დაუწერელი რომანები“ მოჰყავს გალინა კამენევა-კრავჩენკოსთან საუბრის სტენოგრამა, სადაც იგი ამბობს: „მე დამაპატიმრეს 1932 წელს. მალე, ალილუევას გარდაცვალებიდან... სხვათა შორის, იგი



ცაცია იყო, მაგრამ საფეთქელი დაჩხვრეტილი იყო მარცხენა. საღამოს ამ საათზე ოლგა დავიდოვასთან (კამენევის ცოლი, ტროცკის და) მოირბინა კრემლის საავადმყოფოს ექიმმა ალექსანდრა კაპელმა. მე მას ვკითხე – ლიუცკი – ასე ეძახდნენ ლევ ბორისოვიჩის (ტროცკის) და ოლგა დავიდოვნას შვილს და ჩემი ქმარი ალექსანდრეს: „რა მოხდა?“ მან მიპასუხა: „ნადია ალილუევა დაიღუპა“. მე მივაშურე ოლგა დავიდოვნას, იგი გაჩუმებული უყურებს ექიმ კაპელას. „მწვავე აპენდიციტი იყო, – ჩუმად თქვა ალექსანდრა ულანოვნამ – ჩვენ ვერ შევძელით მისი გადარჩენა...“ ეს ხომ ოფიციალური ვერსია იყო. მე დავბრუნდი ლიუცკთან, მან თავი გააქნია. „ეს ტყუილია, იგი მოკლეს ისეთივე იარაღით, რომელიც მამამ გაჩუქა (ტროცკიმ)“.

მიუხედავად ამგვარი მოწმობებისა, სერიოზული ისტორიკოსები თვითმკვლელობის ვერსიის არსებობას ამჯობინებენ. სტალინს ცოლის განადგურების აშკარა მიზეზი არ ჰქონდა და ნაკლებად შესაძლებელია, რომ მან ამგვარი „აქციისთვის“ ამოირჩია რევოლუციური დღესასწაული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვითმკვლელობა (ნამდვილი თუ ცრუ) აუცილებლად ჩრდილს მოჰფენდა თვით სტალინს. ჩაეფიქრებინა რა ბელადს მკვლელობა, ალბათ, იგი ნაკლებად „ბუნებრივი“ სიკვდილის ვარიანტს ამჯობინებდა.

მოამზადა
ირინა გოჩაშვილმა

## ჩემო ლობიო!

ამდენი ტანჯვა და ჭირ-ვარამი,
გულზე მაწვება როგორც ლოდიო,
ბუნებრივ აირს შენ თუ შეგვიცვლი
ამოლესილო, ჩემო ლობიო!
„ხმოვან" კერძებში რომ ხარ უბადლო,
ამას ვერ მალავს მთელი მსოფლიო
გაზიანობით თვით შამპანურიც
ვერ შეგედრება ჩემო ლობიო!
სამგლოვიარო ჭირის სუფრებზე
დღემდე არა გყავს მჯობის-მჯობიო,
თუმცა არც ლხინში ხარ უცხო ხილი
ბარაქიანო ჩემო ლობიო.
შენ არც ხაში ხარ და არც ხაშლამა,
არც სულუგუნი და არც ღომიო,
გაზებთან ერთად რკინაც ბლომად გაქვს
ომახიანო, ჩემო ლობიო!
გვეყო, არ გვინდა დავა, სისხლისღვრა,
და უსასრულო ძმათა ომიო;
გრადების ზალპებს ის გვირჩევნია
შენ იგრუხუნო ჩემო ლობიო!
იყავი უხვი, მოსავლიანი,
მუდამ მქუხარე, როგორც ლომიო;
ქართული მიწის დამქუცმაცებლებს
დასცხე, დასჭექე, ჩემო ლობიო!

## „მათხოვრების ქვეყანა" — ანუ „დამეხმარე"!..

*„მათხოვრების ქვეყანა,*
*ჩოქვით მომთვიარე,*
*ყოველ ფეხის ნაბიჯზე*
*ცდილის კითხვა ტრიალებს!"*

მათხოვრებით აივსო
ირგვლივ არემარე
ჟღერს ერთი და იგივე
„ძია დამეხმარე!"
ამ პატარებს სირცხვილით,
ვერსად დავემალე
საითაც არ გაუხვევ
ისმის: „დამეხმარე"!
ნორჩებს რომ გავექეცი,
კედელს ავეფარე,
აქ კი მოხუცი ტირის,
„შვილო დამეხმარე!"
გვერდზე მეორე ჩივის:
„ხელფასს ადევს ტაბუ
საერთოდ დაგვივიწყეს
დამეხმარე ბაბუ!"
დღეში ათჯერ რეკავენ,
ვაღებ სახლის კარებს
აქაც ნაცნობი ფრაზა:
„ძია დამეხმარე!"
ბავშვი ქალს ეხვეწება:
„ობოლი ვარ დღეიდან,
დამეხოცა მშობლები
დამეხმარე დეიდა!"
ბავშვების უფლებებსაც
არ იცავენ „ზევიდან"
ისევ თქვენ თუ მიშველით
ქალბატონო დეიდა!"
გათავხედებულებიც
სამწუხაროდ ბევრია;
პირდაპირ ჯიბეებში
უბოდიშოდ ძვრებიან!
ავადმყოფს არ იკითხავთ?
ბავშვია თუ ზრდასრული
კუნტი და ხეიბარი
ქუჩაშია გასული!
მათი ცოდვით ხეებიც,
ზეზეულად იწვიან
არის თხოვნა-მუდარა
„დამეხმარე ბიძია!"
ზედა ეშელონებში
ვითომ ეს არ იციან?
თუ არ ესმით ძახილი;
„დამეხმარე ბიძია?"
ყოველ დილაადრიან
ხელგაწვდილნი გვიცდიან
ძილშიც ყურში ჩამესმის
„დამეხმარე ბიძია!"
ასევე მოგვიმრავლდა
მათხოვარი არტისტი;
მიწის ზევით თუ ქვევით
ყველგან დგას – გიტარისტი!
მთელი დღის დაქანცულნი
ღამით გვიან მიდიან
და შინ სიმწრით ნაგროვებ
„ჯუჯა" ლარებს ითვლიან!
ასე თუ გაგრძელდა და
არ დაგვადგა საშველი
ალბათ ჩემი გიტარით
მეც ქუჩაში დავჯდები!
***P.S.*** ღმერთმა იმ დღეს მოგვასწროს,
თანაც ძალზე მალე
რომ აღარ გავიგონოთ
სიტყვა – „დამეხმარე"!

## ვაი, რა დაკარგე ლეონიდ!.. ანუ ბრეჟნევი და ღირსების ორდენი!

გინესის არაოფიციალურ რეკორდსმენს, ჩინ-მედლებ, ორდენებ, ჟეტონებ, „ჟეშტებ-ზნაჩოკებ", ეპოლეტებ-ჯინჯილაკებ და სხვა მრავალ ფერად-ფერად, პრიალ-პრიალა და ზიზილ-პეპელა ბანტიკებიან, „ბოლტიკებ-გაიკებიან" და „ვინტიკებ-შურუპებიან" ლითონების თრევაში, საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის საამაყო შვილს, „სკპ.ცკ"-ის გენერალურ მდივანს, ლეგენდარულ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომელსაც ამ „მეტალოჯართით" დამძიმებულმა ორფუთიანმა პიჯაკმა ათასი რადიკულიტი, იშიაზი, თიაქარი, კუჭის წყლული, პროთეზების ხშირი ცვლა, ქვედაყბის კანკალი, გლანდებისა და პროსტატის ადენომა, სასქესო ჯირკვლების გადახლართვა-გადაკვარახჭინება და ვინ იცის, კიდევ რამდენი უბედურება დამართა, ოციოდე წელიწადს კიდევ რომ ეცოცხლა (ან კი რატომ არ უნდა ეცოცხლა, როდესაც მუმიად ქცეულ ბელადს არტერიებიდან სისხლს საცურაო აუზის წყალივით ყოველ კვირას უცვლიდნენ), ან ჩვენს დღევანდელ პრეზიდენტს ასევე ოციოდე წლის წინ, ცეკას მდივნობის პერიოდში რომ შემოელო ეს დალოცვილი ღირსების ორდენი და მედალი, რომელიც თავისი უნივერსალობითა და მასშტაბურობით თავად იმსახურებს გინესის რეკორდს. რატომ? აბა, მსოფლიოში სადმე გინახავთ მსგავსი სახელმწიფო ჯილდო, რომლითაც მკერდი დაემშვენებინოთ, როგორც ჭეშმარიტად ღირსეულთ, ასევე: ყაჩაღს, მძარცველს, სამშობლოს მოღალატეს, ტერორისტს, ანტიქართველს და ა.შ. რომელთა კავალრები შესაბამისად, ზოგი ხელისუფლების სავარძლებში ნებივრობდეს, ზოგი ორთაჭალის ციხეს ხეხავდეს და ზოგიც თბილისის ქუჩებს ხვეტავდეს? (სულ ახლახან, ღირსების მედლით დაჯილდოვდა ვაკის რაიონის ღირსეული მეეზოვე და უბადლო მენაგვე, პრეზიდენტისა და „მოქ.კავშირის" თავგამოდებული ქომაგი და მეხოტბე – გრიშა ბაბაჯანოვი). ჰოდა, ამ ჩვენ გულუხვ და ინტერნაციონალურ სულისკვეთებით გაჟღენთილ პრეზიდენტს ამ მადლიანი ორდენით (თუნდაც მედლით) ამხანაგი ბრეჟნევი რომ დაეჯილდოვებინა, მის აღტაცებას და აღფრთოვანებას ექნებოდა საზღვარი? მე თქვენ გეტყვით და ზოგიერთი ჩვენი „ამაყი და კუდაბზიკა გიჟ-ვრაცუასავით" უარს იტყოდა მის მიღებაზე და ხელისუფლებას უკან მიუგდებდა ამ წმიდათა წმიდა ჯილდოს. რას იზამ, დრონი მეფობენ და არა მეფენი!" დანარჩენი ლექსად:

ძვირფასო ილიჩ,
რამეს იკლებდი?
ნადირობას და
აფრიკულ ლომებს?
ჩოგბურთის კორტებს?
„კომსორგებს" კოხტებს,
სხვადასხვა „სორტებს?"
იახტებს და პორტებს
„ხატებს" და „ოდებს"?
ან ახალ მოდებს?
ან ოქროს ზოდებს?
ან „კონის" ბოთლებს?
ან „იკრის" ტორტებს?
ან უცხო ფორდებს?
ან დაფნის ფოთლებს?
და თვით ჰერაკლეც
ვითომ დასძრავდა
შენს ძვირფას ფიტულს
და მასზე მიკრულ
უამრავ ტიტულს?
მედლებს და „ჟეშტებს"
ორდენს შენოდენს?
და მაინც სევდა
დღემდე თან მომდევს,
რომ ვერ მოესწარ
ღირსების ორდენს!

***P.S.***
მწვავს ნოსტალგია
ვიგონებ წარსულს,
ვაი, რა დაკარგე
ლეონიდ... აფსუს!



## სატირისა და იუმორის გვერდი



რუბრიკის მასპინძელია
**გივი თუშიშვილი**

# განათლება სოციალური კი არა, ეროვნული პრობლემაა



საქართველოს განათლების სისტემას დღეს უამრავი პრობლემა აქვს. სისტემატურად იგვიანებს ხელფასები, პერმანენტულად და ულოგიკოდ მიმდინარეობს მასწავლებლების შემცირება, სახელმწიფოში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, თუ რა სახის და რა ხარისხის ცოდნის მქონე თაობა არის საჭირო „სამართლებრივი სახელმწიფოს" ასაშენებლად. ამ პრობლემების ფონზე დღეს სოკოებივით მომრავლებული კერძო და „სუპერგანათლებული" გამოშვების მომამზადებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები, საზოგადოების თვალში, ბუნებრივია, ეჭვს იწვევენ. ისინი ხომ აშორდიას აზნაურობის სიგელებივით დაუფიქრებლად და უსისტემოდ არიგებენ ატესტატებს თუ დიპლომებს. არადა, მათი დირექტორების თუ მასწავლებლების უმეტესობა ერთ მარტივ კითხვასაც კი ვერ გასცემს პასუხს: რამდენი და რა სახის პედაგოგიური მიმდინარეობა არსებობს მსოფლიოში?

რა გაეწყობა, ჩვენ იმით უნდა დავკმაყოფილდეთ, რაც გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს შვილებს თუ ამ ტიპის „ნოვატორული" და „საავტორო" სკოლებისკენ ვუბიძგებთ, ის შეკითხვა მაინც უნდა დავსვათ, რამდენად ეროვნული სულისკვეთებით შეიძლება აღიზარდოს ამ სკოლის მოსწავლე. „ფსევდოდასავლური" „ფსევდოგანათლება" ქართულ-ნაციონალურ ხასიათს თუ ქართულ-გენეტიკურ მეხსიერებას ვერც შეცვლის და ვერც შესწორებს. თუ ვინმე ფიქრობს, საკმარისია ხალხს აუხსნა, რაში მდგომარეობს განათლების სიკარგე და ისინი კარგები და განათლებულები გახდებიანო, – ილუზიებს დროზე უნდა დაანებოს თავი. ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად ეროვნულ ტრადიციებზე მდგომი სკოლები უნდა ავირჩიოთ. განათლება, ბოლოს და ბოლოს, სოციალური კი არა, ეროვნული პრობლემაა.

ვესაუბრებით კერძო, არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოაზისი"-ს დირექტორს, ქალბატონ ნაირა დოლიძეს.

***– როდის გაიხსნა ეს სკოლა და რა მიზნებს ისახავს?***

– სკოლამ ფუნქციონირება 14 სექტემბრიდან დაიწყო, რადგანაც საერო სკოლა ჰქვია, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რომ რაღაც განსაკუთრებული, ტრადიციული ჩაგვედო და 14 სექტემბრიდან დაგვეწყო, ძველი სტილისთვისაც დაგვეკავშირებინა და რაღაც განსაკუთრებული და განსხვავებული არდადეგების და სწავლის დაწყების პერიოდი შეგვერჩია. ასე გადავწყვიტეთ და 14 სექტემბრიდან დავიწყეთ სწავლა. იდეა დიდი ხნის წინ გამიჩნდა. ამ სისტემაში უკვე 20-22 წელია ვმუშაობ, ხოლო უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი ვარ. სკოლებში სწავლების ხარისხი და დონე ჩემთვის ნათელია და ძალიან კარგად ვიცი, რომ მასწავლებლის დიდი უნარისა და შრომის მიუხედავად, ეს დონე ასევე დარჩება თუნდაც იმიტომ, რომ ბავშვების რაოდენობა კლასებში ძალიან დიდია. ჩვენს გეგმებში თავიდანვე გავითვალისწინეთ ძალიან ბევრი ტრადიციული ელემენტის ჩადება: ეროვნული ხასიათის გათვალისწინება და განათლებული თაობის აღზრდა იმ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს, ლეგენდებში რომ აღწერენ ხოლმე. საზოგადოებაში ელემენტარული ქცევის კულტურა ხომ მაინც უნდა ჩამოყალიბდეს. ბავშვის ყოველი ნაბიჯი გაკონტროლდება. მოწვეული გვყავს მაღალკვალიფიცირი სპეციალისტები. ჩემი მიზანი იყო, რაღაც ჩემეული და განსაკუთრებული შემექმნა.

***– შეძელით ეს?***

– რაშია საქმე იცით? მთავარია, დავიწყეთ და შედეგებზე და ჩემი შესაძლებლობების რეალიზაციაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. გარკვეული დრო უნდა გავიდეს, სანამ შედეგებს დავინახავთ და შეცდომებს გავაანალიზებთ. ბავშვის მშობლის და პედკოლექტივის გარემოსთან შეგუებამ მერე უნდა გაგვაკეთებინოს დასკვნა, რას მივაღწიე და რას ვერ მივაღწიე. აი, ამ ერთი კვირის განმავლობაში ერთი რაც გვახარებს და აღგვაფრთოვანებს, აბსოლუტურად ყველას, ვინც აქ ვმუშაობთ, რომ საღამოს 6 სთ-ის შემდეგ ბავშვებს ეხვეწებიან თავიანთი მშობლები, სახლებში გამოგვყევითო. იმდენად მოსწონთ აქ სწავლების თუ გართობის პროცესი, რომ მთელი თავისუფალი დრო იმას ფიქრობენ, როდის მოვლენ სკოლაში. ეს უკვე აშკარად მიღწევაა. მე-7 კლასელის მშობელი მეუბნება, რომ მას მსგავსი არ ახსოვს, როცა ბავშვი დილაუთენია დგება, თავისით ემზადება სკოლაში წასასვლელად. ჩანთას აიღებს და მეხვეწება, ჩქარა წავიდეთ, ჩქარა წავიდეთო. არაფერს არ დავიშურებთ, რომ შედეგები ძალიან მაღალი გვქონდეს.

***– რა პრინციპით ირჩევთ მოსწავლეებს?***

– წელს, იმიტომ რომ მუშაობა დაგვეწყო, განცხადების შემოტანაზე უარს არავის არ ვეუბნებოდით, მაგრამ ეს არ არის ის სკოლა და არ გვაქვს ჩადებული, რომ ძალიან ბევრი ბავშვი მოგვიდეს. მომავალი წლიდან ბავშვების მიღება აუცილებლად კონკურსის სახით მოხდება. მე ამის იმედი მაქვს და ასეც იქნება, შემოვიყვანთ ისეთი კატეგორიის ბავშვებს, რომლებსაც სწავლა ნამდვილად აინტერესებთ. ბავშვი თავისი პროფესიის არჩევის შემდეგ მე-9 კლასიდან იმეცადინებს პროფილით. 5-6 ბავშვიანი კლასი და თანაც ისეთი მასწავლებლები, მე როგორიც მყავს შერჩეული, ნიშნავს, რომ ბავშვს რეპეტიტორი და მომზადება არ უნდა დასჭირდეს. აი, ამას თუ მივაღწიეთ, მაშინ ვიტყვით, რომ შედეგები მაღალი გვაქვს და ღირსეულად ვაკეთებთ იმას, რაც მიზნად დავისახეთ.

***– ამჟამად, რომელი კლასები გყავთ?***

– ეხლა გვყავს III, IV, V, VI, V„ და VIII კლასები. იმედი გვაქვს, რომ ხვალ და ზეგ უფრო ბევრი ბავშვი მოვა. სკოლას ფართი იმ მოსაზრებით გააჩნია, რომ რადგან გახანგრძლივებული სკოლაა, დილის 9 სთ-დან საღამოს 6 სთ-მდე ჩვენ გვაქვს იმის საშუალება, რომ დილით მოსული ბავშვი მე-2 ცვლაშიც დავასაქმოთ. ჩვენ შევძლებთ ჩვენთან სარეფორმო კლასებმაც დაამთავრონ და დამთავრების შემდეგ პრობლემა არ გაუჩნდეთ. ლიცენზია საშუალო განათლებისა გვაქვს და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ბრწყინვალე გამოშვებები გვქონდეს. ერთადერთი, რითაც ბავშვების მოზიდვას ვაპირებთ, არის სწავლების ხარისხი.

***– მატერიალურ-ტექნიკური ბაზა როგორი გაქვთ?***

– მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც კლას-კაბინეტებს შეეხება, ყველაფერი ახალი გვაქვს. სისუფთავეს და ესთეტიკურ მხარესაც არ ვუჩივივართ. გვაქვს არაჩვეულებრივად მოწყობილი სამზარეულო. რაც შეეხება კაბინეტებს შინაარსის მიხედვით, მე ფიზიკოსი ვარ და მაქვს ძალიან ბევრი კონტაქტები და კავშირები და სულ ცოტა ხანში ჩემს ბავშვს ცდებისა და ექსპერიმენტების ჩასატარებლად სხვაგან სირბილი არ მოუწევს. ჯერჯერობით ვსარგებლობთ 112-ე სკოლის ბაზით.

***– სწავლება თქვენთან ფასიანია. რა კრიტერიუმებით ხდება სწავლის ფასის დაწესება?***

– სწავლება ფასიანია, მაგრამ ჩვენ დღევანდელი სოციალური მდგომარეობა გათვალისწინებული გვაქვს. თუ ოჯახიდან 2-3 ბავშვი სწავლობს ჩვენთან (არის ასეთი შემთხვევებიც), მათთვის გარკვეული შეღავათები არსებობს. რა თქმა უნდა, ყველა ვარიანტში სწავლების ხარისხი ყველასათვის ერთნაირი იქნება: ფაქტიურად, 3 ვარიანტს ვთავაზობთ. ჯერ-ჯერობით ზოგიერთი ჩვენი მოსწავლე სხვაგან არის დაკავებული და გაკვეთილების მერე მას შეუძლია სახლში წავიდეს. დღესდღეობით სამივე კატეგორიის მოსწავლეები გვყავს. ასე რომ, ფასები ჩვენთან ხელმისაწვდომია.

გაიხსნა ახალი სკოლა, რომელსაც მთავარი დასაკვეხი კარგი პროგრამა, ბრწყინვალე კოლექტივი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სწავლების კარგი ხარისხი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხელმისაწვდომი ფასები აქვს. ჩვენი საზოგადოებისათვის, ალბათ, ამ პარამეტრების ჰარმონიული შეხამება წარმოუდგენელია, მაგრამ ეროვნული მოტივაციისა დ ქართული ეროვნული კულტფასეულობათა სისტემის წინა პლანზე წამოწევა (ჩვენს უზნეო და უპრინციპო ეპოქაში) უკვე იმის ნიშანია, რომ სკოლას მაღალი შეფასება მივცეთ. ვუსურვოთ, სკოლა „ოაზისს" ბევრი კარგი მოსწავლე და თავისი მიზნების სინდისიერად აღსრულება.

ძვირფასო ბავშვებო, გელოდებათ სკოლა „ოაზისი" მისამართზე: ცოტნე დადიანის ქ №28. 112-ე სკოლის შენობაში.

***– გისურვებთ წარმატებებს.***

**ნათია ჟანტურია**








## ანსამბლ „ორერას“ სოლისტი და კარიკატურისტი ვახტანგ კუცია, ესაუბრა მურმან მერკვილიშვილი

ბატონი ვახტანგი სპეციალობით ეკონომისტი გახლავთ, მაგრამ ხელოვნებამ გადასძალა. მისი გატაცება მუსიკა და მხატვრობაა. მღეროდა ანსამბლ „რეროში“ და „დიელოში“. ამჟამად ანსამბლ „ორერას“ სოლისტია.

ჰობი: კარიკატურების ხატვა და ზომიერი ქეიფი. თუ როგორი მომლხენია იგი, დაინტერესებულთ შეუძლიათ სუფრაზე დაპატიჟონ, რა თქმა უნდა, ჩემთან ერთად (მ.მ.).

### „იავნანამ რა ჰქნა...“

„ორერასთან“ ერთად ანგოლაში ვარ. თვითმფრინავი დაზიანდა და გვითხრეს: მხოლოდ 7 საათის შემდეგ გაფრინდება მოზამბიკში. მანამდე შეგიძლიათ აქაურობა დაათვალიეროთ, ოღონდ დედას გაფიცებთ, არ დაიკარგოთ, დროზე მოდითო.

– კი ბატონო, აქვე ვიტრიალებთ-თქო, დავპირდით ჩვენ – მე და თემო დავითაია. არც კინოში შევალთ-თქო, დანარჩენებმა თვითმფრინავში გამოძინება არჩიეს.

მე მგონი, ხელიხელჩაკიდებულებმა უნდა ვიაროთ, რომ ერთმანეთი არ დავკარგოთ, დამარიგა თემურიმ. ასეც მოვიქეცით. მივდივარ ჭკვიანი პიონერებივით ამ გოლიათ ზანგებს შორის. შავ კაცებს ეცინებათ ჩვენს დანახვაზე. ასე პატარები სად ჯანდაბაში გაჩნდნენ, არადა – თეთრები არიანო, წყდებათ გული შავი შურით.

– თემო, ხელი არ გამიშვა...

– რას ჰქვია გაგიშვა, ჩვენს შორის რომელიმე ზანგი თუ ჩადგა, კარგად მეყოლე, ვეძებოთ მერე ერთმანეთი, რაცია გვაქვს, თუ რა?!

... მოკლედ, მოგვშივდა.

– აქ სულ გველებს და ლოკოკინებს ჭამენ, ზიზღით მეუბნება თემო.

– მოიცა, კაცო, იმხელა გველს რა გადაყლაპავს?

– დაგიჭრიან... „მამშვიდებს“ ხელჩაკიდებული მეგობარი, მთლიანი გველი ძვირია.

მოულოდნელად, ერთმანეთზე მიჯრით ჩადგმული სასაუზმეებიდან ნაცნობი, მშობლიური საჭმლის სუნი წამოვიდა. სუნი ზუსტად დედაჩემის მიერ მომზადებული ნიგვზიანი ხარჩოს სუნს მაგონებს.

– თემო, ზღაპარში ვარ, თუ სიზმარში?

– სიზმარში კი არა – ანგოლაში ხარ.

– ე, ბიჭო, მეგრული ხარჩოს სუნი მცემს.

თემურმა თავისუფალი ხელით (მეორე ჩაჭიდებული აქვს) თვალის უპე ჩამოიწია და დაასკვნა:

– მე მგონი, ჯერ ნორმალურად ხარ. ისე აქ სიცხეებია ძალიან მურტალი...

– კი კაცო, ხარჩოს სუნია! – გეუბნები მე შენ!

– მართალი ხარ, ხო იცი, ენა გამოყო დავითაიამ. ა, ძმაო, ენით ვგრძნობ, ხარჩოს სუნს.

შევედით ხელიხელჩაკიდებულები იმ სასაუზმეში.

– სადაა თქვენი პოვარი? – ვეკითხებით მეგრული ინგლისურით იქვე სკამზე ჩამომჯდარ, ნახშირივით შავ მეპატრონეს.

– აქ... სიგარა გამოაბოლქვა კაცმა.

– შეიძლება, ვნახოთ?

– კი ბატონოო და გამოიყვანა ჩასუქებული პოვარი, რაღაცით ქართველს ჰგავს.

– გისმენთ! – ინგლისურად მოგვმართა პოვარმა.

– იცით, ჩვენ „საბჭოთა კავშირის შეერთებული რესპუბლიკების“ მოქალაქეები ვართ. ხარჩოს სუნი გვცემს... ლოკოკინის ხარჩოა?

– არა, ხორცი, ბრინჯი, ნიგოზი და ა.შ. – აგვიხსნა იმ კაცმა. – კავკასიური კერძია (გადავირიეთ).

– რომელი კავკასიის? – აქ გაქვთ, კავკასია? – ვიკითხეთ ჩვენ.

– არა, საქართველო... ჯორჯია თავი დახარა პოვარმა.

– რა?! – გაუთავდა ჰაერი ორგანიზმში თემოს.

– შტატია ასეთი საქართველოში – „გვიხსნის“ ის...

გონებას ვკარგავ...

– ქართველი ხარ, ბიჭო? – ვიბღავლეთ შუაგულ აფრიკაში.

– ქართველი ვარ – სქან გოლუაფირო...

– ხალი ხომ არ გაქვს მარჯვენა დუნდულ... წამოიწყო „ბაში-აჩუკში“ გაგონილი თემომ, მაგრამ გავაჩერე.

– მეგრელი ვარ მე... საბჭოთა... აჭლოპინდა პოვარი, სიმღერის გუნდს ჩამოვყევი აქ 4 წლის წინ. თვითმფრინავს ჩამოვრჩი და ჩავრჩი. ახლა ფულს ვაგროვებ, რომ ჩემს მშობლიურ ჩხოროწყუში დავბრუნდე.

– ძმაო! – ვიღრიალეთ მე და თემომ და ასე, ხელიხელჩაკიდებულებმა, თავისუფალი ხელები შემოვხვიეთ ატირებულ აფრიკელ მეგრელს.

– ვავააა! – იღრიალა იმანაც და ავტირდით სამ ხმაში.

... არც ჩვენ ვიყავით მოზამბიკელი, არც ის პოვარი ანგოლელი. სამივე ბედკრული საქართველოს შვილები გახლდით.

### ბლიც-მატჩი

ჩამოვედით ჩვენს დალოცვილ მიწაზე.

გურიაში გვაქვს კონცერტები. მამათში ვართ. თუ რა საპასუხისმგებლო კონცერტები გვექნებოდა, თავად განსაჯეთ.

უნდა აღვნიშნო, რომ მამათში მარტო ერთი კაცი არ დაბადებულა, რომელსაც ჭკუა-გონება უჭრის. იქ მრავლადაა ჭკვიანი და დიდი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ხალხი.

... კონცერტი მიჰყავდა ჩვენს საამაყო მეგობარს, დიდი ერუდიციისა და იუმორის პატრონს – ზურა გოშაძეს.

ზურა საკმაოდ ენამახვილია და გურიაში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი – სუფსაში.

– ზურა, ხომ იცი, აქ როგორი „მაკვარანცხი“ ხალხია. არ გაჯობონ სიტყვა-პასუხში – გავაფრთხილეთ.

– ვის კაცო, მეე! – მაიცათ-რა... მასე სადაა.

„მასე სადაა“-ც მალე მოხდა.

ადგილობრივი კლუბის ადმინისტრატორი ეკითხება:

– ბატონო ზურა, რომელ საათზე დავნიშნოთ კონცერტი?

– ჩვენ კონცერტს ასე, ღამის 11-12 საათზე ვიწყებთ, სუფრას რომ მივუჯდებითო – ამან.

– ჩაგეთვალა, ძამა... ჩაგეთვალა (გამოწვევა მიღებულია). ანგარიში 1:0 (ჩვენს სასარგებლოდ).

– აქ, ღამით შუქი ხო არ ქვრება? – ეკითხება ზურა.

– რეიზა მკითხე, ძამა?

– არა, ისე. შუქი რომ ჩაქრეს, კონცერტი ჩაგვეშლება.

– რეიზა, ძამა? – თქვენ მომღერლები არ ხართ?

– აბა, რა...

– მერე, ძამა, სიბნელეში „დეკამერონს„ არც ჩვენ ვკითხულობთ, სიმღერას შუქი რათ უნდა, თუ გიყვარდე?

1:1.

ზურა უხერხულად შეიშმუშნა.

– სიბნელეში, სიმღერის გარდა, რას აკეთებ, ხოლმე ჩემო ბატონო? – არ ეშვება ზურა (თან თვალი ჩაგვიკრა – ხომ კარგად „ვაჯახეო“?).

– კიდომ... ვიძინებთ, – ძამა.

– არა, არა... მასე სადაა... ძილის წინ რას აკეთებთ, ძილის წინ? – არ ეშვება – თქვენ და მეუღლე...

– ძილის წინ... ვახშმობთ, ძამა!

1:2 (წინ გურიაა).

– შევარდნაძის სახლი თუ იცით? – წამოიწყო „ცენტრიდან“ შეტევა ზურამ.

– დემეთხუე ერთი, მაი ვინ არ იცის?

– ვერ მიგვასწავლით?

– რეიზა არა, მარა ბატონ ედუარდს დღეს ვერ ნახავთ.

– რატომ? – იმედი მიეცა ზურას.

– არაა სახლში, მოსკოვში გოვუშვით. პაწა საქმე აქ გორბაჩოვთან და ამ დღეებში ჩამუა თუ მეიცდით (ბატონი ედუარდი მაშინ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ).

– კი მარა, მალე ჩამოვა?

– თუ ვუდეპეშებ – ზურა გოშაძე გიცდის აქანა თქვა, არ მგონია გულმა გუუძლოს... აუცილებლად ჩამუა.

ჩვენმა ხარხარმა იქაურობა შეაზანზარა.

1:3...

რაც მართალია, მინიმალური ანგარიშით წავაგეთ, თუმცა, იქ, სადაც ვიყავით... ეს წაგება – საპატიოა.

### ჩემი ჰობი

ჩემი გატაცება კარიკატურების ხატვაა. უთვალავი იუმორისტული თუ პროპაგანდისტული კარიკატურა დამიხატავს. გამოფენებიც მომიწყვია. საბჭოეთის რიგ ქვეყნებში, მრავალ ჟურნალ-გაზეთში დაბეჭდილა. კონკურსებშიც გამიმარჯვია შინ და გარეთ, თუმცა ვინ გაფასებს.

გაფასებენ კი არა, ერთხელ კინაღამ ოჯახი დავანგრიე ამ ჩემი „ჰობით“.

... თანამედროვე მკითხველს ეცოდინება, ამ რამოდენიმე წლის წინ ჩემი უახლოესი მეგობარი ქალბატონის რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „მეძავი“.

ერთ დღეს მირეკავს ეს მეგობარი ქალბატონი და მსაყვედურობს:

– ვახო, რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს ამდენ კარიკატურებს ხატავ და ბეჭდავ. მე რა დაგიშავე, ძმაო. მეც, ჩემი გაზეთისთვის დამიხატე რამეო.

უარს როგორ ვეტყოდი?!

მივუტანე რამოდენიმე „სექსუალური“ ნახატი. „გრომოს“ დაიბეჭდა. დაიბეჭდა და რომ ვნახე, ცოლს ვურეკავ სახლში.

– ქალო, გაზეთი „მეძავი“ იყიდე, ჩემი კარიკატურები დაიბეჭდა, 10-15 მანეთს „გამოვკარი“ ხელი-მეთქი (მეგონა, გავახარებდი).

– ახლავე ჩავალ, შევიძენო.

ერთ საათში ისევ ვურეკავ – როგორია-მეთქი?

– შე საზიზღარო, გათახ(პირი ქვისკენ)სირებულოო, იდი(პირი ქვისკენ)ოტოო! – მომჭერი და მომჯაყეო... მეზობლებში თავი არ გამომეყოფაო...

– რა იყო, გენაცვალე, რაშია საქმე, რამ გაგამწარა და რამ გაგაგიჟა-მეთქი? – ვცადე დამშვიდება.

– რას ჰქვია, რამ გამაგიჟა, სახლში არ მოხვიდე, იმან გიკეთოს სადილები, ვინცაა... იმან გირეცხოს და მოგიაროსო.

– ვინ იმან, გენაცვალე?

– უყურე, ახლა ამას? შენ გაქვს გაზეთი?

– კი-მეთქი.

– გაშალე მერე და წაიკითხე კარგადო.

სიმართლე გითხრათ, ნახატების ხარისხი კი შევამოწმე სახელდახელოდ, მაგრამ წაკითხვით, არ წამიკითხავს.

არც ჩემს დაქალს (რედაქტორს) უფიქრია ჩემი ოჯახის დანგრევა, მაგრამ გაზეთს ყოველთვის ახლავს კურიოზი. ჩემი კარიკატურების ზემოთ მსხვილი შრიფტით ეწერა: „დღეს „მეძავის“ სტუმარია – ვახტანგ კუცია“ (ქვეშ ვიღაც „ისეთი“ ეხატა უსაცვლებოდ... ძლივს შევირიგე ცოლი...

ესაა საქმე?..

*P.S. ერთხელ, „სოფლის ცხოვრებამ“ ზარმაცი გლეხის დახატვა დამავალა.*

*დავხატე, მივიტანე, ერთი ბოთლით ხელში (თოხი გვერდზე აგდია) გლეხი, რომელიც დამთვრალა და საქმე ფეხებზე ჰკიდია“.*

*ჩემი გვარის განსხვავებული შრიფტით დაბეჭდვა გამორჩენიათ და ტექსტზე იმავე შრიფტით „მაუზამთ“ ვახტანგ კუცია.*

*ტექსტი კი ასე გამოიყურებოდა:*

*„ესაა დღევანდელი ოფურჩხეთელი ლოთი და ზარმაცი გლეხი – ვახტანგ კუცია“.*

*... ასეა... სულ ჩვენ რომ გვაძლევს რედაქცია შენიშვნებს, თვითონ მარტო ბოდიშს სჯერდებიან.*

*არადა, ერთხელაც კოკა წყალზე გატყდება და დამინგრევენ ოჯახს.*

## თავდასხმათა სერიალი გრძელდება

ფირმა „ომეგას“, რომელსაც, ჯერ კიდევ არ ანაზღაურებია ის დიდი მატერიალური ზარალი, რომელიც ე.წ. „ელიზელთა“ ბანდის თავდასხმებით განიცადა შარშან და შარშანწინ, ჯერჯერობით დაუდგენელი 7-8 კაცისაგან შემდგარმა ბანდამ კიდევ მიაყენა ზიანი.

ფირმა „ომეგას“ კუთვნილი ნავაჭრი თანხით (94 ათასი აშშ დოლარი) დუშეთ-თბილისის ტრასაზე მოძრავ ორ ავტომანქანა „ნივას“, რომელშიც ამ ფირმის თანამშრომლები იმყოფებოდნენ დაცვასთან ერთად, ჟინვალჰესის მიმდებარე ტერიტორიის მახლობლად, გზის მოსახვევში მოულოდნელად დაესხა თავს ავტომატებით შეიარაღებული, ნიღაბაფარებული 7-8 ბანდიტი და იმ „ნივას“, რომელშიც, როგორც ჩანს, ფული ეგულებოდათ, საბურავი დაუცხრილეს, მაგრამ მან მაინც განაგრძო მოძრაობა, მეორე „ნივა“ კი იძულებით გაჩერდა. მასში მყოფი ფირმის თანამშრომლები ბანდიტებმა მანქანიდან გადმოსხეს და ავტომატის კონდახებით სცემეს, შემდეგ კი ხელში ჩაგდებული „ნივით“ ბანდიტთა ერთი ნაწილი პირველ „ნივას“ გამოეკიდა. საბურავებდაშვებულ „ნივას“, რომელსაც მალევე წამოეწივნენ, ავტომატებიდან ტყვიები დაუშინეს, რის შედეგადაც თავში მძიმედ დაიჭრა ფირმა „ომეგას“ დაცვის თანამშრომელი გიორგი რაზმაძე და მანაქანაც გაჩერდა. თავდამსხმელებმა გაიტაცეს ნავაჭრი თანხა – 94 ათასი აშშ დოლარი, დაცვის კუთვნილი ტაბელური იარაღი და მიიმალნენ.

როგორც კი ცნობილი გახდა ამ ფაქტის შესახებ, შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დუშეთის პოლიციის ძალებით, მაგრამ დამნაშავეთა ძებნას, ჯერჯერობით, შედეგი არ გამოუღია. არადა, იმ დამნაშავეთა გამოვლენას, რომელთა მოქმედებამაც მესამედ აზარალა სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მეტი თანხების შემტანი ფირმა „ომეგა“, უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს: ჯერ ერთი, ბიზნესის ნორმალურად განვითარებისათვის, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის მთავარი პირობაა, მეორეც – დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრისათვის, რათა ყველამ იცოდეს, ავკაცობა რომ არ შერჩება.

ამ ახალი თავდასხმის ფაქტისადმი სპეციალურად მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ადვოკატმა თემურ გვიშიანმა განაცხადა, რომ დაწყებული გამოძიება პირად კონტროლზე აიყვანა საქართველოს პრეზიდენტმა და სამართალდამცავ ორგანოებს დაავალა ყველა კანონიერი საშუალება გამოიყენონ მის გასახსნელად. ცხადია, არ ვიცი, რა შედეგს გამოიღებს სამართალდამცავთა გარჯა, – განაგრძო ადვოკატმა გვიშიანმა, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ დამნაშავეთა ხელწერა ძალიან ჰგავს უკვე განსჯილ ე.წ. „ელიზელთა“ ბანდის წევრების ხელწერას.

ადვოკატმა გვიშიანმა ისიც განაცხადა, რომ არა დაუსჯელობის სინდრომი, ეს ახალი თავდასხმა შეიძლება არც მომხდარიყო. თუ როგორ ებრძვიან ბანდიტიზმს იქიდანაც ჩანს, რომ ე.წ. „ელიზელთა“ ბანდის ორგანიზატორობისათვის განსასჯელად ცნობილი ელიზბარაშვილი პატიმრობაშიც კი არ აიყვანეს და მესამე წელია ჭიანურდება მისი საქმის დასრულება. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, რომ კიდევ გაბედეს ბანდიტური თავდასხმა? – რიტორიკულად იკითხა თემურ გვიშიანმა.

ასე რომ, გამოძიება, რომლის შედეგებასაც დიდი ინტერესით ელოდება საზოგადოება, გრძელდება. პარალელურად, თბილისის საოლქო სასამართლოც განაგრძობს განსასჯელ ელიზბარაშვილის საქმის განხილვას. გუშინ გამართულ სასამართლო სხდომაზე გაირკვა, რომ დაზარალებულ მალხაზ სეფაშვილს დაცვის ორდერი გაუფორმებია ადვოკატთა კორპორაციის წევრ, ადვოკატ ხათუნა სალუქვაძესთან და ხუთშაბათისთვის დანიშნულ მორიგ სხდომაზე, ალბათ, მას დაზარალებული მხარის სამი ადვოკატის გვერდით ვიხილავთ. რა სიახლეს შეიტანს სასამართლო პროცესში ადვოკატი სალუქვაძე, რომლის შეფი, ადვოკატთა კორპორაციის პრეზიდენტი ქართლოს ღარიბაშვილი ერთხანობას იცავდა ბრალდებულ ელიზბარაშვილს და საქმის ობიექტურად გადასაწყვეტად საჭირო უამრავ ინფორმაციასაც ფლობს, ამას საქმის მსვლელობა გვიჩვენებს.

ნინო მიქაბერიძე

# კვირის ტელეპროგრამა

## 5 ოქტომბერი — 10 ოქტომბერი

## ორშაბათი — 4 ოქტომბერი

### I არხი

7.15 აერობიკა 7.30 ალიონი 9.00 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.15 ტელეფილმი „ნინო ანანიაშვილი" 12.40 ტელემაღაზია 12.50 ჩვენი არქივიდან 13.00, 19.50 მაესტრო 13.10 ტალანტები და თაყვანისმცემლები 13.55 ინტერპანორამა 14.15 დიდების ზღაპარი 14.35 სპა 15.15 ფორტუნა 15.45 ენერგია 16.00 მხ.ფ. „მენავთობე ქალები" 17.30 მუს. პაუზა 17.35 რამპა 17.40 მესაკუთრე 18.15 50X50 18.45 სერიალი „დალასი" 19.35 „ბასტი ბუბუ" 20.50 „რა ხდება?" 21.35 „საფეხბურთო მიმოხილვა" 21.55 „ჩვენი ენა ქართული" 22.00 ვესტნიკი 22.40, 23.04 ეთნოგრაფიული ჩანახატი – „მეთუნეობა" 23.20 ვიდეოპატრული-02 23.35 1001 ღამე 0.15 ღია კარის ღამე 0.45 ქართ. მხ.ფ. „არსენა".

### II არხი

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 დრეიკის მოგზაურობა 21.00 ორატორი 21.15 გოლი 22.00 ოქროს მართვე 22.25 მხ.ფ. „ბეის კეტბოლი" 23.55 ჰიტ-პარადი

### VII არხი

11.30, 18.05, 20.05, 22.30 ტელეგაზეთი 11.40, 20.15 აჩიკუდა 11.55 მხ.ფ. „სასიყვარულო გართობა" 13.35 თიკო ვირტუალურ სამყაროში 18.15, 0.15 მუსიკა 18.20 ნახატი ფილმი 18.30 საფეხბურთო მიმოხილვა 19.05 ტელესერიალი „საჰარის საიდუმლო" 20.35 მხ.ფ. „მარკიზა" 22.40 მხ.ფ. „ახალგაზრდა ამერიკელები" 0.25 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე"

### რუსთავი 2

7.00, 9.50 მუსიკა 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები" 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.30 კურიერი 8.15 მულტსერიალი 9.00 „საიდუმლო მასალები" 10.00, 18.15 „სიყვარულის ოცნებები" 10.30 „ნაითმენი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე" 18.40 აკუნა მატატა 19.25 „ალფი" 21.50 სერიალი „სასწრაფო" 23.30 მხ.ფ. „ბოკა-ა-ბოკა" 1.30 კლასიკა

### კავკასია

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 17.15 მულტფილმი 18.15, 20.20, 21.45 მუსიკა 19.00 სპექტრი 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ოცნებებით მოვაჭრენი" 0.20 მხ.ფ. „ცხრა მილიმეტრი" 1.50 მუს. კალეიდოსკოპი

### ევრიკა

11.00 მუს. კოლაჟი 11.30, 20.00 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ" 14.15 მხ.ფ. „მხოლოდ სიყვარული" 18.00, 0.00 „სტუდია-25" 18.05, 20.30 მუსიკა 18.15 სერიალი „არავინ შენს გარდა" 19.00 ექსტრაორდინალური 20.00 აქტუალური თემა 21.00 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.30 „ეს თქვენი უფლებებია" 23.15 მხ.ფ. „ორშაბათის ბავშვები"

### I სტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ნიანგი მეტსახელად „დანდი -2" 12.25 კლიპ-მიქსი 18.00 დოკ.ფ. „ტიტანიკის საიდუმლო" 18.55 მხ.ფ. „ერთი მშვენიერი დღე" 20.40 მხ.ფ. „მაკბეთი" 22.30 მხ.ფ. „ურთიერთშეთანხმებით" 0.10 მხ.ფ. „მშიერი მგლები" 1.50 ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00, 17.10 მულტფილმი 10.45, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.15, 16.30 მუს-კოლაჟი 12.45, 15.00, 20.50, 23.30, 1.30 მხ.ფ. 14.15 დოკ.ფ. 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

## სამშაბათი — 5 ოქტომბერი

### I არხი

7.15 აერობიკა 7.30 ალიონი 9.00 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.15 „საფეხბურთო მიმოხილვა" 12.35 პრესზონა 13.00 ეთნოგრაფიული ჩანახატი – „მეთუნეობა" 13.15 საღამო მშვიდობისა 14.00 ტელემაღაზია 14.10 ჯემი 14.40, 19.50 მაესტრო 15.15 1001 ღამე 15.30 ფან-კლუბი 15.50 ღია კარის ღამე 16.20 ქართ. მხ.ფ. „არსენა" 18.15 ჯანმრთელობა 18.35 „მამული" წარმოგიდგენთ 18.45 სერიალი „დალასი" 19.35 „ბასტი-ბუბუ" 20.50 „რა ხდება?!" 21.25 „მოსკოვი – თბილისი" 21.45 XX საუკუნე – დრო და ადამიანები 22.00 ვესტნიკი 22.22, 22.42 რეტრო პერსპექტივა 23.20 ვიდეოპატრული-02 23.35 ჭორ-ნიუსი 0.15 კომუნიკატორი 0.45 მხ.ფ. „ხუთი საღამო"

### II არხი

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 კონტაქტი 21.00 სუპერმატჩი 21.30 ექიმის მოსვლამდე 21.45 ჯაზპიტი 22.05 მხ.ფ. „უთაო მხედარი" 23.55 ჰიტ-პარადი

### VII არხი

11.30, 18.05, 20.05, 22.05 ტელეგაზეთი 11.40, 20.15 აჩიკუდა 11.55 ილია 12.00 მხ.ფ. „წითელი ციყვი" 18.15, 18.40, 19.05, 0.00 მუსიკა 18.20 ნახ. ფ. 18.45 დოკ. ფ. „ველური ბუნება" 19.05 ტელესერიალი „საჰარის საიდუმლო" 20.35 მხ.ფ. „ფანფანი" 22.15 მხ.ფ. „მეფური ცხოვრება" 23.40 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 0.15 ტელესერიალი – „შიმშილი"

### რუსთავი 2

7.00, 9.50 მუსიკა 8.00, 8.50 „ტული" 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.35 კურიერი 8.15 მულტსერიალი 9.00, 21.50 სერიალი „სასწრაფო" 10.00, 18.15 „სიყვარულის ოცნებები" 10.30, 19.10 „ნაითმენი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 „Перекресток" 17.10 „კორდიე" 18.50 აკუნა მატატა 19.25 „ალფი" 23.30 მხ.ფ. „ევროპა" 1.45 კლასიკა

### კავკასია

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 17.15 მულტფილმი 18.15, 20.20, 21.45 მუსიკა 19.00 სპექტრი 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „დანაშაულის ისტორია" 0.20 მხ.ფ. „ქურდი ნატურაში" 1.45 მუს. კალეიდოსკოპი

### ევრიკა

11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25" 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ" 14.15 მხ.ფ. „ორშაბათის ბავშვები" 18.05 ბიზნეს-კურიერი 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 21.00 მუსიკალური სამშაბათი 22.30 მხ.ფ. „გალია ჩიტუნებისათვის"

### I სტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ურთიერთშეთანხმებით" 12.10 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმი 19.20 მხ.ფ. 20.40 მხ.ფ. „მეთოჯინეები" 22.30 მხ.ფ. 0.40 მხ.ფ. „რესტავრაცია" 2.40 ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო 10.15, 17.45 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ-პროგრამა 13.00, 15.15, 21.00, 1.30 მხ.ფ. 15.30 მუს.კოლაჟი 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

## ოთხშაბათი — 6 ოქტომბერი

### I არხი

7.15 აერობიკა 7.30 ალიონი 9.00 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.15 ტელემაღაზია 12.25 „მოსკოვი – თბილისი" 12.45 რეტროპერსპექტივა 13.25 (ჩანაწერს „ალაპით" 13.50 ჯანმრთელობა 14.10 XX საუკუნე – დრო და ადამიანები 14.25, 15.35, 19.50 მაესტრო 14.35 ჭორ-ნიუსი 15.15 მრავალჟამიერი 15.45 მხ.ფ. „ალისა საოცრებათა ქვეყანაში" 18.15 50X50 18.45 სერიალი „დალასი" 19.35 „ბასტი-ბუბუ" 20.50 „რა ხდება?!" 21.35 ვიზიტი 22.00 ვესტნიკი 22.25 ტელესინე-ვიდეო 23.00 საქმე 23.20 ვიდეოპატრული-02 23.35, 0.15 კომუნიკატორი 0.45 მხ.ფ. „სილვერადო"

### II არხი

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 საუბრები მართლმადიდებლობაზე 21.00 „რაგბის მოყვარულთათვის" 21.30 პოდიუმი 22.00 ოპტიმისტები 22.25 ქართ. მხ.ფ. „სიყვარული ყველას უნდა" 23.50 ჰიტ-პარადი

### VII არხი

11.30, 18.05, 20.05, 22.15 ტელეგაზეთი 11.40, 20.15 აჩიკუდა 11.55 მხ.ფ. „დალაქი და საშინელება" 18.15, 18.40, 19.05, 0.20 მუსიკა 18.20 ნახ.ფ. 18.45 დოკ.ფ. „ველური ბუნება" 19.05 ტელესერიალი „საჰარის საიდუმლო" 20.35 მხ.ფ. „ღრუბლებს მიღმა" 22.25 მხ.ფ. „კანონის მსახური" 0.00 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 0.35 სერიალი „შიმშილი"

### რუსთავი 2

7.00, 9.50 მუსიკა 8.00, 8.50 „ტული" 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.25 კურიერი 8.15 მულტსერიალი 9.00 მხ.ფ. „სასწრაფო" 10.00, 18.15 „სიყვარულის ოცნებები" 10.30, 19.25 „ალფი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე" 18.40 აკუნა მატატა 21.50 მხ.ფ. „ნიკიტა" 23.50 „ექიმი ფრანსუაზა გაიანი" 1.35 კლასიკა

### კავკასია

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 17.15 მულტფილმი 18.15, 20.20, 21.45 მუსიკა 19.00 სპექტრი 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „მეოთხე პროტოკოლი" 0.15 მხ.ფ. „აკრძალული სიყვარული" 1.50 მუს. კალეიდოსკოპი

### ევრიკა

11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25" 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ" 14.15 მხ.ფ. „გალია ჩიტუნებისათვის" 18.05 მუსიკა 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 21.00 „სტუმარი" 21.30 დოკ.ფ. 22.30 „მზადაა ყველაფერზე".

### I სტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „შურისძიება" 12.40 კლიპ-მიქსი 18.00 დოკ.ფ. 18.55 მხ.ფ. „ჯუნიორი" 20.45 მხ.ფ. „ბრძოლება კოსმოსისათვის" 22.20 მხ.ფ. „მომაკვდინებელი აზრები" 0.05 ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00, 17.30, 20.30, 22.00, 0.20 ექო 10.15, 16.45 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ-პროგრამა 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ.ფ. 14.45 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

## ხუთშაბათი — 7 ოქტომბერი

### I არხი

7.15 აერობიკა 7.30 ალიონი 9.00 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.15 ტელე-სინე-ვიდეო 12.45 საქმე 13.05 ვიზიტი 13.25 მხ.ფ. „ასი მამაკაცი და ერთი ქალიშვილი" 14.45 ტელემაღაზია 15.15 გრიფით საიდუმლო 15.35 მხ.ფ. „სილვერადო" 17.40 მესაკუთრე 18.15 მუსიკა ეთერში 18.35 რამპა 18.45 ლატარია სერიალი „დალასი" 19.35 „ბასტი-ბუბუ" 19.50 მაესტრო 20.50 „რა ხდება?!" 21.35 კავკასიური სამკუთხედი 22.00 ვესტნიკი 22.25 მრავალსახეობა 23.00 ეკოდაიჯესტი 23.20 ვიდეოპატრული-02 23.35 ტეტ-ტაქსი 23.45 ნამდვილი ამბები 0.15 კომუნიკატორი 0.45 მხ.ფ. „სისხლიანი მიმოქცევა".

### II არხი

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 ჰოროსკოპი 21.00 ოაზისი 21.15 დიზაინი 21.40 შეიდეული 22.10 მხ.ფ. „უაიტ ერპ-2" 23.50 ჰიტ-პარადი

### VII არხი

11.30, 18.05, 20.05, 22.20 ტელეგაზეთი 11.40, 20.15 აჩიკუდა 11.55 მხ.ფ. „ცეცხლით ალგვილნი" 18.15, 18.40, 19.05, 0.45 მუსიკა 18.20 ნახ.ფ. 18.45 დოკ.ფ. „ველური ბუნება" 19.05 ტელესერიალი „საჰარის საიდუმლო" 20.35 მხ.ფ. „ანა კარენინა" 22.30 მხ.ფ. „სიცილისათვის" 0.25 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 0.55 სერიალი „შიმშილი"

### რუსთავი 2

7.00, 9.50 მუსიკა 9.00, 9.50 „ტული" 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.35 კურიერი 8.15 მულტსერიალი 9.00, 21.50 მხ.ფ. „ნიკიტა" 10.00, 18.15 „სიყვარულის ოცნებები" 10.30, 19.25 „ალფი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე" 18.40 აკუნა მატატა 23.30 მხ.ფ. „დაუვიწყარი" 1.45 კლასიკა

### კავკასია

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 1..15 მულტფილმი 1;.15, 20.20, 21.45 მუსიკა 19.00 სპექტრი 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „სუპერდანაშაული" 0.15 მხ.ფ. „სიუ" 1.45 მუს. კალეიდოსკოპი

### ევრიკა

11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25" 11.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ" 14.15 მხ.ფ. „მზადაა ყველაფერზე" 18.05, 20.30 მუსიკა 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 20.35 პოლიტიკური პორტრეტი 21.35 „ფეხბურთის ლეგენდები" 23.15 მხ.ფ. „ნიანგი მეტსახელად „დანდი".

### I სტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „მომაკვდინებელი აზრები" 12.15 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმი 19.20 მხ.ფ. „ჯადოსნური ტბა" 21.00 მხ.ფ. 22.55 მხ.ფ. „მებრძოლი" 0.45 მხ.ფ. „სრიალი" 2.10 მხ.ფ. ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო 10.15, 17.15 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა 13.05, 15.45, 21.00, 23.30, 1.15 მხ.ფ. 15.00 მუსიკა 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

## პარასკევი — 8 ოქტომბერი

### I არხი

7.15 აერობიკა 7.30 ალიონი 9.00 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.15 მრავალსახეობა 12.45 ეკოდაიჯესტი 13.05 ტეტ-ტაქსი 13.25 კავკასიური სამკუთხედი 13.45 მულტფილმი 15.15 ტელემაღაზია 15.25 მხ.ფ. „სისხლიანი მიმოქცევა" 17.15 50X50 18.00 სპორტული პროგრამა 20.50 „რა ხდება?" 21.35 ბრჭყალებში 22.00 ვესტნიკი 22.25 მთავარ როლში 23.00 თბილისის დროით 23.20 ვიდეოპატრული-02 23.35 დერიტა ტვ 0.15 საღამო მშვიდობისა 1.00 მხ.ფ. „როცა მამაკაცს უყვარს"

### II არხი

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 დოკ.ფ. „მსოფლიოს შვიდი საოცრება" 21.00 5X5 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 21.55 ანტრე 22.30 მხ.ფ. „ოპერაცია" 23.55 ჰიტ-პარადი

### VII არხი

11.30, 18.05, 20.05, 23.25 ტელეგაზეთი 11.40, 20.15 აჩიკუდა 11.55 მხ.ფ. „დონ ჟუან დე მარკო" 1;.15, 18.40, 19.05, 1.35 მუსიკა 18.20 ნახ.ფ. 18.45 დოკ.ფ. „ველური ბუნება" 19.10 ტელესერიალი „საჰარის საიდუმლო" 20.35 მხ.ფ. „მამაცი გული" 23.35 თიკო ვირტუალურ სამყაროში 22.45 მხ.ფ. „დიდ მამიკო" 1.10 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 1.45 სერიალი „შიმშილი"

### რუსთავი 2

7.00, 9.50 მუსიკა 8.00, 8.50 „ტული" 8.05, 8.30, 11.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 2.40 კურიერი 8.15 მულტსერიალი 9.00 მხ.ფ. „ნიკიტა" 10.00, 18.15 „სიყვარულის ოცნებები" 10.30, 19.25 „ალფი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე" 18.40 აკუნა მატატა 21.50 სერიალია „საიდუმლო მასალები" 23.30 მხ.ფ. „რვა მილიმეტრი" 1.40 „სიმფსონები" 2.10 „ფანტაზიები" 2.50 მუსიკა

### კავკასია

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 17.15 მულტფილმი 18.15, 20.20, 21.45, 23.30 მუსიკა 19.00 სპექტრი 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „სტილიაგები" 0.15 მხ.ფ. „თევზი სახელად „ვანდა" 2.00 მუს. კალეიდოსკოპი

### ევრიკა

11.00, 18.00, 22.00 „სტუდია-25" 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ" 14.15 მხ.ფ. „ნიანგი მეტსახელად „დანდი" 18.05 მუსიკა 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 21.00 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 მხ.ფ. „მეკარის შიში პენალტის წინ".

### I სტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „სპეცაგენტი" 12.35 კლიპ-მიქსი 18.00 დოკ.ფ. 19.00 მხ.ფ. „ჭირვეულის მორჯულება" 20.45 მხ.ფ. „ქარიშხალზე დევნა" 22.25 მხ.ფ. 0.10 მხ.ფ. ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო 10.15, 17.00 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა 13.30, 15.30, 21.00, 23.30, 1.30 მხ.ფ. 15.00 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

## შაბათი — 9 ოქტომბერი

### I არხი

9.00 დილის პაემანი 10.00 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 13.00, 17.50, 14.50 უთუოდ 13.05 ტვ შოპი 13.15 თბილისის დროით 13.35 დერიტა ტვ 13.55 კვალი 14.15 მუსიკა ეთერში 14.35 ანსამბლი „მართვე" 15.00 ვესტნიკი 15.15 რეიტინგი 15.35 ახალი ქართული პროექტი 15.55 დოკ. პროგრამა 16.30 ჩვენ და მსოფლიო 16.45 „ეძიე ქალი..." 17.05 რეგიონები 17.25 საქართველო არის ესე 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 18.10 „საოჯახო ლოტო" 18.35 ინტეგრალი 19.20 სტადიონი 19.40 ბასტი-ბუბუ 20.45 მაესტრო 21.45 „მჯერა!" 22.20 ილუზიონი მხ.ფ. „პერსონა" 0.15 ტერმინალი-72 0.35 მხ.ფ. „ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ აკაკუნებს"

### II არხი

9.00 „დილა" 19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 ჩიპო 19.50 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები 20.15 ექსტრა 21.00 ჯაზ-სპირიტი 21.30 ვარსკვლავები გვამცნობენ... 21.40 საოჯახო ლოტო 22.05 მხ.ფ. „ვენდეტა" 0.05 ჰიტ-პარადი

### VII არხი

17.05, 20.05, 22.15 ტელეგაზეთი 17.15, 20.25 მუსიკა 17.40 დოკ.ფ. „ველური ბუნება" 18.30 გასართობი პროგრამა 19.15 ტელესერიალი „საჰარის საიდუმლო" 20.10 აჩიკუდა 20.40 მხ.ფ. „აჯანყებულები" 22.25 „ბედნიერი ერი" 22.30 მხ.ფ. „უეცარი თავდასხმა" 0.00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური 2.00 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე"

### რუსთავი 2

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 21.00, 1.15 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 საბ. ფილმი 11.15 „სიმფსონები" 11.45, 20.05 „მეორე მე" 12.30 მხ.ფ. 14.30, 18.40 „მანსტრების ოჯახი" 18.20 აკუნა მატატა 19.10 ჩემპიონატთა ლიგის საფეხბურთო მიმოხილვა 21.50 ფსიქო – მხ.ფ. „კორჩაკი" 1.25 „ფანტაზიები" 1.55 ღამის ჯაზი

### კავკასია

12.00, 18.10 მულტფილმი 13.20, 14.50, 20.20 მუსიკა 13.30 მხ.ფ. „დატენილი იარაღი" 15.00 მხ.ფ. „ნირვანა" 17.00, 20.30, 0.00 დღეს 17.30 რელიგიური პროგრამა 18.00 წყლის სიმფონია 19.00 სპექტრი 21.00 ვარსკვლავები 21.45 მხ.ფ. „საწყალი, პატარა, მდიდარი გოგონა-1" 0.15 ჯაზ-პარნასი 0.45 მხ.ფ. „დრაკონების ბრძოლა" 2.15 მუს. კალეიდოსკოპი

### ევრიკა

11.00 „სტუდია-25" 11.30, 18.40 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 მხ.ფ. „ბეთჰოვენი-2" 13.35 "ერალაში" 14.00 შეხვედრა მწერალთან - 15.00 თქვენი ადვოკატი 16.00 მხ.ფ. „უცხოს აღდგომა" 18.00, 22.55 მუსიკა 18.20 სცენის ოსტატები 19.0- პორტრეტი 20.30 ინდ.მხ.ფ. „უშიშარი" 23.00 მხ.ფ. „სატყუარა"

### I სტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. 12.10, 18.00 მულტფილმები 13.15 მხ.ფ. „თავისიანი უცხოებს შორის და უცხო თავისიანებს შორის" 14.50 კლიპ-მიქსი 19.10 მხ.ფ. „უდანაშაულო დამნაშავე" 20.30 მხ.ფ. „ალყა" 22.30 მხ.ფ. „საყვარელი" 1.20 მხ.ფ. „ეროსი" 3.35 ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00, 17.30, 20.30, 22.45, 0.45 ექო 10.15, 17.00 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ.ფ. 15.00, 23.45 მუს. კოლაჟი 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

## კვირა — 10 ოქტომბერი

### I არხი

10.00 დილის პაემანი 11.30 საკვირაო გამოცანა 11.40 ნამდვილი ამბები 11.50, 14.50, 17.50 უთუოდ 12.00 მხ.ფ. „მელი" 13.20 საკვირაო ზღაპარი 13.30 „მჯერა!" 14.00 საყმაწვილო ტელევიზია 14.20 ლიტ. გადაცემა 14.40 ფან-კლუბი 15.00 ვესტნიკი 15.15 მულტსერიალი 15.40 ახალი ქართული პროექტი 16.00 ბუნების კარი 16.30 „ენერგია" 16.45 მსოფლიო ახალი ამბები 16.55 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 17.10 რეგიონები 17.30 სპა 18.00, 0.00 მოამბე 18.10 „ლატარია ყველასათვის" 18.30 შოკოლადის მიკროფონი 18.55 ტოტო-ლოტო 19.10 ინტერპანორამა 19.25 ჩვენი მისამართია 20.00 ტაიმ-აუტი 20.5- აზრი 21.00 „ფორტუნა" 21.45 გალა 22.30 „დიდების ზღაპარი" 22.55 ეფემერა 23.45 სპორტული პროგრამა 0.15 ჯემი 0.45 ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ევროპის ჩემპიონატთა თასის გათამაშების მატჩი. თბილისის „შევარდენი" – ზაპოროჟიეს „ზტრ"

### II არხი

9.00 „დილა" 19.00 „კვირადღე": მულტფილმი, გაილიმე, შვიდეული, სუპერმატჩი, კურპები, კინოსეანსი – თქვენი თხოვნით, ღამის ქალაქი

### VII არხი

17.00, 20.05, 22.10 ტელეგაზეთი 17.05, 20.25, 0.35 მუსიკა 17.40 დოკ.ფ. „ველური ბუნება" 18.30 გასართობი პროგრამა 19.15 ტელესერიალი „საჰარის საიდუმლო" 20.10 „აჩიკუდა" 20.40 მხ.ფ. „გენიოსი" 22.20 „ბედნიერი ერი" 22.25 მხ.ფ. „მთიელი" 0.15 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 0.45 მხ.ფ. „რვანახევარი დოლარი"

### რუსთავი 2

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 0.25 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 ფილმი-ბავშვებს 11.15, 23.55 „სიმფსონები" 11.45, 20.05 „მეორე მე" 12.30 ჩემპიონათა ლიგის საფეხბურთო მიმოხილვა 13.30 მხ.ფ. 15.30, 18.40 „მანსტრების ოჯახი" 18.20 „აკუნა მატატა" 19.10 მაპეტსი დღეს საღამოს 19.40 სპორტული პროგრამა 21.00 „კვირა" 21.50 მხ.ფ. „თავგადასავალთა მაძიებელნი" 0.35 კლასიკა

### კავკასია

12.00 ინდ. მხ.ფ. „უდანაშაულო მსჯავრდებული" 14.30 მულტფილმი 15.00 დეტექტ. სერიალი „ლემფსი და მეიკფისი" 16.40 დებიუტი-99 17.30 რელიგიური პროგრამა 18.00 წყლის სიმფონია 18.10 „ფეხბურთის ლეგენდები" 19.00 მხ.ფ. „დიდი საქმე" 20.30, 0.00 დღეს 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „საწყალი, პატარა, მდიდარი გოგონა-2" 0.15 ჯაზ-პარნასი 0.45 მხ.ფ. „სქინები" 2.15 მუს. კალეიდოსკოპი

### ევრიკა

11.00 „ცისკრის ზარები" 11.05 მულტფილმები 11.30, 11.40 დოკ. ფილმები 12.00, 21.00 ლოცვა 12.03 მხ.ფ. „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში" 13.45 ქართ. ტელესერიალი „წიგნი ფიცისა" 15.00, 18.00 რელიგიის საათები 18.00 სტილი 18.25 საუბრები საქართველოზე 18.55 მოკლემეტრაჟიანი მხ.ფ. „სამი ამბავი ტელეფონით" 19.05 დოკ.ფ. 19.15 მხ.ფ. „დღეს უკანასკნელი დღე პირველი" 20.30 „იქ, სადაც სიყვარულია" 20.45 მუსიკა 23.03 იუმორისტული გადაცემა 21.30 მოკლ. მხ.ფილმები 22.30 მხ.ფ. „არ დაიდარდო"

### I სტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „საყვარელი" 13.15, 18.00 მულტფილმები 14.00 მხ.ფ. „დაზარალებული" 15.25 კლიპ-მიქსი 19.15 მხ.ფ. „არახელსაყრელი ქალი-1" 20.55 მხ.ფ. „არახელსაყრელი ქალი-2" 22.30 მხ.ფ. „პაპარაცები" 0.25 მხ.ფ. „სამოთხეში დაბრუნება" 2.10 მხ.ფ. „ეროსი" ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00 ექო 10.15, 18.00 მულტფილმი 11.00, 18.45 ქართ. მხ.ფ. 12.30 დოკ.ფ. 14.15, 16.30, 20.45, 23.15, 1.45 მხ.ფ. 15.45, 20.15 მუსიკა 22.15 ფარდის გახსნამდე... 1.00 ტელეფილმი.

# ჰოროსკოპი

## 4 ოქტომბრიდან — 10 ოქტომბრამდე

### ვერძი

ოპერაციის წინ ქირურგი პაციენტს ამშვიდებს: „საშიში არაფერია, ეს ჩემი სამოცდამეთხუთმეტე ოპერაციაა და ერთხელ მაინც ხომ შეიძლება შედეგიანად დამთავრდეს...“ ამ პრინციპის სრული დაცვით იმოქმედებს თქვენი კეთილისმსურველთა ერთი ჯგუფი თქვენს ცხოვრებაში კორექტივების შეტანის მცდელობისას.

ორშაბათს სასიხარულო აღმოჩენა გელით. რაღაც შავი და პირქუში რამ, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მოსვენებას არ გაძლევდათ, უეცრად მხიარული ფერებისგან შემდგარ ცისარტყელად გადაიქცევა.

### კურო

სუსანინი შედის მერიაში. „ვინ ბრძანდებით?“ – ეკითხება მდივანი. „სუსანინი“ – „როგორ, ის ლეგენდარული?“ – დიახ, ის ლეგენდარული-ო! ჩვენთვის ეს ისეთი პატივია... თქვენ დაბრძანდით, მე ახლავე ყველას შევკრიბავ. – „დიახ, შეკრიბეთ და შემდეგ წავიდეთ“. არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ ადამიანი, რომელსაც მთლიანად მიენდობით და მისი იდეების გამზიარებელიც კი გახდებით, სწორედ ის სუსანინი აღმოჩნდეს. ხოლო დასკვნების გაკეთება, თქვენთვის მოგვინდვია. სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს მომხდარი მოვლენები მთლიანად შეგაცვლევინებენ აზრს თქვენთვის ახლობელი ადამიანების მიმართ. თუ რა კუთხით, ამას თავად მათი საქციელიც გიჩვენებთ. მოსალოდნელი ოჯახური უსიამოვნებების თავიდან აცილება კი ძალზედ ადვილია. წადით დათმობაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიმართლე თქვენს მხარეზეა.

### ტყუპები

სამგლოვიარო პროცესიას შეხიზნული ცნობისმოყვარე კაცი ეკითხება ერთ-ერთ პირს: „ვის ასაფლავებთ?“ – „სიდედრს“... – „მიცვალებული რატომაა გადაბრუნებული?“ – „როგორ გითხრა, როცა ზურგზე წევს, ხვრინვას იწყებს“. ამ კვირის განმავლობაში თუ რამე „დაგლუპავთ“, ეს საკუთარი ცნობისმოყვარეობა იქნება. თქვენ კი, ყველაფრისმცოდნევ, გაიხსენეთ დეტექტიური შინაარსის ნაწარმოები, და შეიგნეთ, რომ ცხოვრებაში არც თუ კარგი როლი გაქვთ ამორჩეული. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად ოთხშაბათი საუკეთესო დღეა.

### კიბო

ხვდებიან ორნი. „შენ რა, ცოლს წაეჩხუბე?“ – ეკითხება ერთი მეორეს. „საიდან მოიტანე, ჩვენ ძალიან მეგობრულად ვცხოვრობთ“. – „მაშ, ჩანგალი რატომ გაქვს ზურგში გაყრილი?“ იმედია, საქმე აქამდე არ მივა, მაგრამ თქვენი დამოკიდებულება საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან სერიოზულ დახვეწას საჭიროებს. ეს მინიშნება არა მხოლოდ ინტიმურ ურთიერთობებს ეხება. სამსახურშიც საწინააღმდეგო სქესის ხელმძღვანელი თქვენთვის გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენს და რაც უფრო შორს იქნებით მისგან, უკეთესია.

ოთხშაბათს და პარასკევს ფორტუნა კვლავ გაგიღიმებთ, მაგრამ ნუ მოსთხოვთ მას უფრო მეტის გაკეთებას. გაიხსენეთ, „მოხუცის და ოქროს თევზის“ ამბავი.

### ლომი

ზის პანკი ერთ დიდ ქვაზე და საბრალო გოგოს ქვაფენილზე არტყმევინებს თავს. გამვლელმა დაუღრიალა: „მხეცო, რად იგდებ მაგ გოგოს მასხარად?“ „მისთვის ყველაფერი სულ ერთია, იგი უკვე მკვდარია, მკვდარია, მკვდარია...“ რა გვაქვს მხედველობაში? მხოლოდ ის, რომ სამართლიანობისათვის ბრძოლის დრო ჯერ არ დამდგარა. რადგან თქვენი და ხელმძღვანელის დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. უმჯობესია, მიიღოთ სხვისი თამაშის წესები – ამ ეტაპზე ასე აჯობებს.

მორალური დანახარჯის კომპენსაციას საყვარელი ადამიანისგან მიიღებთ, და როგორც არასდროს, ნაზი და ალერსიანი იქნება.

### ქალწული

მძაფრი შეგრძნებების მოყვარულ ქალწულთა უმრავლესობისათვის ურთიერთგაგების არარსებობა (ამ სიტყვის ფართო გაგებით) შესაძლებელია მთელი კვირის მანძილზე ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად გექცეთ. ნუ აჩქარდებით, გაერკვიეთ შექმნილ ვითარებაში, ნუ გადაზრდით პატარა უსიამოვნებას ხმაურიან კონფლიქტში. საქმის გარჩევისათვის დაელოდეთ უკეთეს დროს, გასაგებია ისიც, რომ ინტიმური ურთიერთობებისას საკმაოდ რთულია შეაფასო ბრძნული რჩევის მიღება.

### სასწორი

გაისმის სატელეფონო ზარი მორგში: „გეთაყვა, ნახეთ თუ შეიძლება, არის ვინმე მესამე მაცივარში?“ „არა, არავინ“. პასუხობენ – „აჰა, ესე იგი, მაინც მოვახერხე მანდედან გაქცევა“!!! ხომ ხედავთ, რა არაორდინალურ სიტუაციებშიც კი არ კარგავენ ადამიანები თავდაჭერილობას, ხოლო ახლო მომავალში თქვენი გაუთავებელი, გამოუვალი მდგომარეობები „მოჩვენებითი მდიდარი წარმოსახვის პროდუქტის შედეგი იქნება“.

ოთხშაბათს წარმოგიდგებათ ის არაჩვეულებრივი მანი – სწორედ ისეთი, რომელსაც ათასში ერთს უწოდებენ.

### მორიელი

ხვდებიან ორნი – „რატომ ტირი?“ – „დაირხა ჭორი შენი სიკვდილის შესახებ“ – „რატომ განაგრძობ ტირილს, მე ხომ ცოცხალი ვარ?“ – „რატომ არ მოკვდი? გამოდის, რომ ტყუილად ვღვარე ამდენი ცრემლი?“ დიახ, ასეც ხდება. ის ადამიანები, რომლებზეც დიდ იმედებს ამყარებთ, უბრალოდ არ გაამართლებენ თქვენს მათდამი ნდობას. მაგრამ ეს მოვლენა სერიოზული წყენის მიზეზად არ უნდა აქციოთ, რადგან გაგაჩნიათ საკმარისი ძალა და უნარი, საკუთარი თავის იმედად დარჩენილმა, გაუმკლავდეთ მოზღვავებულ პრობლემებს. შაბათს ერთ არასასიამოვნო სიურპრიზს მოგიწყობთ ადამიანი, რომლის უსაქციელობა გულგრილს ვერ დაგტოვებთ.

### მშვილდოსანი

რეანიმაციაში მყოფი, მომაკვდავი ქმარი მიმართავს ცოლს: „მე ვუშვებ იმ აზრს, რომ შენ ერთგული ცოლი იყავი. მაგრამ სიკვდილის წინ მაინც მინდა სიმართლე ვიცოდე: გიღალატია ჩემთვის...“ „ვაი და არ მოკვდე?“ – პასუხობს ცოლი. მიბაძეთ ამ ქალბატონს და ნუ აჩქარდებით თქვენი კარტების გადაშლისას, განსაკუთრებით თუ ეს კოზირებითა. ამ კვირის დამახასიათებელ ნიშნად, სიტუაციის კალეიდოსკოპის სწრაფად შეცვლას ასახელებენ, ანუ თქვენი კოზირების კურსის გაზრდა და დაცემა მოხდება. ხუთშაბათს და პარასკევს ბედის ჭირვეულობის გამო, არსებითი ზარალი გამორიცხულია. გამწვავებული დაავადების მიმართ მეტი სიფრთხილე და ყურადღება გმართებთ.

### თხის რქა

ტყის ბილიკით მიმავალ ტურისტს მოულოდნელად ბუჩქნარებიდან დათვი გამოუვარდება. ეკითხება: „შენ ვინ ხარ?“ – „ტ-ტ-ტურისტი“. „არა“ – არ ეთანხმება დათვი – ეს მე ვარ ტურისტი, შენ კი ჩემი ნუ შეშინდებით! ამას მინიშნების სახით გიამბობთ მხოლოდ. უახლოეს დღეებში მოულოდნელმა შეხვედრამ შეიძლება ასევე მოულოდნელად შეცვალოს თქვენი ცხოვრება. აქ დასაშვებია სხვადასხვა ვარიანტი: პირად ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს პოზიციურს ვერ უწოდებთ, რადგან ის, ვინც შეგხვდათ. თქვენი ღირსი ნამდვილად არ არის. საქმიან სფეროს რაც შეეხება, შემთხვევითი შეხვედრა სამეფო კარზე წარსადგენად გამოდგება. უქმე დღეები მიუძღვენით დასვენებას. ამას თქვენი გადაღლილი ნერვული სისტემა მოითხოვს.

### მერწყული

ერთმანეთს ხვდებიან დიდი ხნის უნახავი მეგობრები: „საღამოობით სად ატარებ დროს?“ – „სახლში, ცოლთან ერთად...“ – „ჩემო კეთილო, აი, მესმის სიყვარული“ – „რა სიყვარული, ეს რადიკულიტის გამო, თორემ...“ ბოდიშს გიხდით ასეთი სურვილის გამო, მაგრამ თქვენი სახლში დარჩენის სერიოზული მიზეზი სასწრაფოდ მოსაძებნი აქვთ თქვენი ოჯახის წევრებს. კონფლიქტიანობა, რომელიც დამახასიათებელია ამ ბოლო დროს და გასვლა „ხალხში“, სადაც შეიძლება ერთმანეთი იპოვონ კიდეც. ამ შესაძლო შეხვედრის შედეგებზე ნება მომეცით გავჩუმდეთ. როგორც ჩანს, ხუთშაბათს გონს მოხვალთ და მოჭარბებული კონსტრუქციულობა დაგეხმარებათ სერიოზული მოლაპარაკებების მსვლელობის დაგვირგვინებაში. ისარგებლეთ ამ შემთხვევით.

### თევზები

მიდის სპილო და ტირის, ვიღაც ეკითხება: –„შენ რა, ტირი?“ „ნამუსმა მიმტყუნა – პასუხობს სპილო. მაიმუნი სრულიად შემთხვევით შემომაკვდა“. „ეს როგორ მოგივიდა?“ „ არ მომეშვა, შემიყვარე ჩემო სპილო, შემიყვარე. მეც დავთანხმდი. სანამ მიყვარდა – ხითხითებდა, როცა დავანებე თავი, ადგა და სიმწრისგან გასკდა.“ მორალი შემდეგში მდგომარეობს: ნუ აჰყვებით სხვათა შეგონებებს, რამეთუ მათი აზრები უწმინდურია. კვირის დასაწყისში დანაკარგს კვირის ბოლოს აინაზღაურებთ. ხუთშაბათს გაუფრთხილდით თქვენს ორ განძს: ფულს და ჯანმრთელობას.

# კაიფვორდი



**მწოლიარედ:** 4. რაიმე სასიამოვნო საქმის აღსანიშნავად გამართული "დაღარული" მასპინძლობა; 8. ფულის ერთეული, რომელიც თვალში "ესობა"; 10. კარის საკეტის "გასასაღებელი", მოსარგები ინსტრუმენტი; 11. მორფინისტების "კომაში" ჩასაგდები ავადმყოფობა; 12. როგორი "მუნჯური მეთოდით" სრულდება ხოლმე დირექტორის განკარგულება? 13. კედელზე გასაკრავი პირველი "მფრინავი" "აპარატი"; 15. მუშაობას "მორგებული" საზომი ერთეული; 16. ბრაზილიელი "პოსლიკა" ფეხბურთელი, რომელსაც "წყვილად ლანდი" გასდის; 17. სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს წევრებცანცარა, რევოლუციონერი "მჩხვლეტავი" თავმჯდომარე (რუს. კავშ.); 19. "მოსაზელი" ყვავილოვანი მცენარე; 21. დღისა და ღამის "გრანიცა"; 22. "ჭირში" გამოვლილი ბარაქა; 23. მამაკაცივით ძლიერი ქალი, რომელსაც "დაკა-დაკაც" ეხერხება; 26. კაცი, რომელიც "იასა და ლიას შორის არჩევანშია (სახელი); 28. ფრიად სასიხარულო ნიშნების მოყვარული მოსწავლე; 29. დიოგენის "სახლის" მოგვარე ქართველი იუმორისტი და კონფერანსიე; 30. "სპილენძით" დაცული რწმენა, რომელიც ღმერთმა კაცს არ უნდა მოუშალოს; 31. "ლოთი" სოკო;

**მდგომიარედ:** 1. კაცი, რომელსაც "გარშემო სევანის" ტბა არტყია (სახელი); 2. კოხტა "ტანის" მუშკეტერი; 3. "დენის რწმუნებული" კოლორადოს შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 4. "ორჯერ სანატრელი" ტრიალი ბალახოვანი ადგილი; 5. დადებითი თვისების მქონე "სულელი" ადამიანი; 6. ორგანიზაციის თავდაყირა დაყენება "სიფათის" შეცვლის მიზნით; 7. თვე, რომელშიც ია არ ხარობს (მეგრ.ნაწ.კავშ.); 8. ჩაის და ნარკოტიკის "მისატაცებელი" მიწის ნაკვეთი; 9. რიცხვი, რომელსაც მთვრალი ადამიანი ჩოქბჯენში გადაჰყავს; 14. "გამხდარი" მცხოვრებლებისათვის "დადებული" მთა თბილისში (რუს.ნაწ.კავშ.); 18. ქალაქი დიდ ბრიტანეთში, სადაც "ახალ ასლებს" ამზადებენ (ინგლ. და ფეხბურთ. კავშ.); 19. საფრანგეთის ნაკრების ზურგით "მზიდავი" ალჟირელი ფეხბურთელი; 20. ლაპარაკში დაოსტატებული "ორჯერ დატორილი" ადამიანი; 22. მზის "ნაკოლკა" სახეზე; 24. ცოლის ნათესავებისათვის მუდამ "დაძველებული" ვითომ შვილი; 25. სიგრძის საზომი ერთეული ძველად, რომელიც ყველას "საკუთარი" ჰქონდა; 26. ჩანაფიქრი, რომელიც თუ თავში მოგვივიდა, ძალიან გვაწუხებს მისი განხორციელება; 27. ის, რაშიც ჯერ "ექცევიან" და მერე ცდილობენ, "გაარღვიონ".



ჩვენო **ნაირა**, ადამიანის სიკვდილი ყოველთვის დიდი უბედურებაა ნათესავებისა და ახლობლებისათვის, მაგრამ შენი გარდაცვალება განსაკუთრებით დიდი ტკივილის მომტანი იყო ჩვენთვის. შენ ხომ სრულიად ახალგაზრდამ დატოვე შენი პატარა, ლამაზი ოჯახი, შენი სალომე, რომელმაც უნდა განაგრძობს უდროოდ შეწყვეტილი შენი მშვენიერი სიცოცხლე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

ნათია კორახაშვილი


გაზეთ ,,საქართველო“-ს კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ გაზეთების, ჟურნალების, წიგნების დაკაბადონებას, აგრეთვე მცირეტირაჟიანი გამოცემების (5000 ცალამდე), ბეჭდვას რიზოგრაფზე სწრაფად და ხარისხიანად, თანაც, რაც მთავარია, მისაღებ ფასებში

8 გვერდიანი A3 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 50 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +5 ლარი.

4 გვერდიანი A4 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 12 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +3 ლარი.

ქართული წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 13-20 ლარი, სირთულის მიხედვით

უცხოენოვანი წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 15-25 ლარი სირთულის მიხედვით

რიზოგრაფზე ორმხრივი A3 დაბეჭდვა 100 ეგზემპლიარი 8,5 ლარი
500 ეგზემპლიარი 27 ლარი

ჩვენი მისამართია:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5. II სართული, ოთახი №210. ტელ.: 93-20-36, 93-18-41



მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.